

რეზო გიქოშვილი

# მესხური ვაზი და ღვინო





რეზო გიქოშვილი

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მესხური ვაზი და ლვილი

ახალციხე 2015



წინამდებარე ნაშრომში „მესხური ვაზი და ღვინო“ გაშექმულია ვაზის  
ისტორია საქართველოში, საინტერესო რეკვესტია მე პირებისათვის, ვასაც  
აინტერესებს ვაზის გაშენება და ღვინის დაყენება. მოცემულია მესხური  
ვაზის ჯიშების დახასიათება და ღვინის დაყენების წესი. აქეთ საინტერესო  
ფოლკლორული მასალა მესხეთში მევნახვობის განვითარების შესახებ.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს მევნახვობით დაინტერესებულ ქართველ  
ახალგაზრდებსა და ფართო მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი: ნატო ყრუაშვილი  
პედაგოგიკის დოქტორი, პროფესორი

რეკრიტორი: **კონსტანტინე გვიშიანი**

მურად გოგოლაძე  
სამცხე-ჯავახეთის ფერმერთა ასოციაცია  
„ფარვლი“-ს დირექტორი

ფინანსური დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: ამირან  
გოზალიშვილს, პავლე საანიშვილს, რამაზ თედორაძესა  
და ქალაქ ახალციხის მერიას.

რ. გიქოშვილი

გამომცემლობა „გეორგია“

ISBN 978-9941-0-7665-7

საქართველო მეცნიერება-მედინიერების ერთ-ერთი ძირძველი ქვეყანაა. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ამ მხრივ საინტერესოა უცხოური წყაროებიც. მათ შორის ძველი ბერძნების ცნობები, რომელებიც ძვ. წ.-აღ.-ით თარიღდება. ქართველი კაცი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უკლიდა ვაზს და აყენებდა ლვინოს. გამონაკლისს არც მესხეთი წარმოადგენდა. სწორედ მესხეთის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი ყველაზე უძველესი უნიკალური არქეოლოგიური მასალები. მხედველობაში გვაქვს თხუთმეტი მილიონი წლით დათარიღებული, კოდერძის უღელტეხილზე (აღიგენის რაიონი) მიკვლეული გაქვავებული ვაზის ძირი (ზღვის დონიდან 1400 მეტრ სიმაღლეზე) და ქისათიბში (ახალციხის რაიონი) დიატომიტზე აღბეჭდილი ვაზის ფოთოლი და ლერწი (ზღვის დონიდან 1450 მეტრ სიმაღლეზე).

მოძიებული მასალებით დვინდება, რომ ისტორიულად მესხეთში მეცნიერება მეურნეობის დამხმარე დარგს წარმოადგენდა. ვაზის მოვლა და ღვინის დაყწიგა ქართველს შესისხლხორციელები ჰქონდა და სამშობლოს მოვლა-პატრიონობასთან იყო გაიგივებული. მას უდიდესი ეროვნულ-პატრიოტული, რელიგიური, კუნძულიური მნიშვნელობა ჰქონდა. დამპყრობნი საქართველოს სიძლიერეს ვენახს და ღვინოს უკავშირებდნენ. ამიტომაც, შემთხვევითი არ იყო, რომ მტერი შემოსევის დროს ერთიანად ავლებდა მუსრს ხალხსაც და ვენახსაც. ვენახს და ვაზს არც დღეს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. ვენახის მოვლისა და ღვინის დაყწიგების ხალხური ტრადიციების გაგრძელება დღესაც უცილებელი საქმეა. ამ საქმის აუცილებლობა დროულად დაინახა წინამდებარე ნაშრომის ავტორმა ბატონმა რეზო გიქოშვილმა.

ბატონი ივანე (რეზო) გიქოშვილი ძირძველი ახალციხელია. (დედის მხრიდან მიხეილ თამარაშვილის შთამომავალია). იგი თავისი კუთხის ქომაგია და ვენახზე უზომოდ შეკვარებული მესხი. ათწლეულების მანძილზე კრებს, ამენებს მესხური ვაზის

ჯიშებს. ამჟამინდელი მდგომარეობით, სოფელ აწყურში – სოფელის ტერიტორიაზე, მას აქვს ერთ-ერთი საუკეთესო ვენახომიერებულის სამცხე-ჯავახეთში. იგი კარგ მეღვინედ არის ცნობილი ამ გუთხეში. თავის გამოცდილებას უანგაროდ უზიარებს ყველას, ვისაც ვენახი უყვარს და მისი გაშენება სურს.

საქართველოში ვენახზე და ღვინის დაყენების შესახებ მდიდარი ინფორმაცია არსებობს, მრავალი საინტერესო ნაშრომი არის დაწერილი. რასაც ვერ ვატყვით მესხეთის მაგალითზე. მიუხედავად იმისა, რომ მესხეთში მევენახობა ისტორიულად მეურნეობის დამხმარე დარგს წარმოადგენდა, მას ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა მესხი კაცის ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ ამის წარმოჩენაა ბატონ რეზოს ნაშრომის ერთ-ერთი მიზანი. ამასთანავე, სურს თავისი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც შეკრუბულია სამკუნირო ლიტერატურასთან, გაუშიაროს მომავალ თაობას. მისი მიზანსწრაფვა მისასალმებელია და აუცილებელი.

რეზო გიქოშვილის ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ მნ წარმოაჩინა ახალგაზრდა მესხი მევენახები: გიორგი ნათენაძის, ემზარ გაჩეჩილაძისა და კახაბერ ასპანიძის სახით, რომლებმაც დიდი სიყვარულითა და მამულიშვილობის შეგრძნებით მოიძიეს და გადაარჩინეს მესხური ვაზის მრავალი ჯიში, გაშენებული აქვთ საუკეთსო ვენახი მესხური და საერთოდ ქართული ჯიშის ვაზით. ამასთანავე, დიდი მონდომებით ცდილობენ ფართო საზოგადოების დაინეტრესებას მევენახობით.

წინამდებარე ნაშრომი „მესხური ვაზი და ღვინო“ ავტორის პიკელი მოკრძალებული ნაშრომია. ვიტოვებთ იმედს, რომ იგი უდიდეს სამსახურს გაუწევს ქართველი კაცისათვის „ღვთისგან ბოძებული საქმით“ დაინტერესებულ საზოგადოებას. ამასთანავე, მიაწვდის მათთვის აქმდე უცნობ და საინტერესო ინფორმაციას.

## შინაგანი განვითარების მინისტრის მინისტრობის

წინამდებარე ნაშრომი, რომელსაც ვუწოდე „მესხური ვაზი და ღვინო“, მინდა მიუკუმდვნა იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც აინტერესებით ვაზის გაშენება და ღვინის დაყენება. აქედან გამომდინარე, შეძლებისდაგვარად, დაწვრილებით გავაშუქრო ფეხი ის საკითხი, რაც სჭირდება ვაზის დარგვასა და მოვლას. საერთოდ მწვანე ოპერაციების ჩატარებას. ასევე ვაზის დაავადებათა წინააღმდევე ბრძოლას, მის დაქრეფასა და დაწურვას, შემდგომ კი ოჯახის პირობებში ღვინის დაყენებას.

ნაშრომის დაწერის საფუძველი გახდა მეცნიახობის დარგში ცხოვრების მანძილზე შეძენილი საკუთარი გამოცდილება და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა.

ჩემი მიზანია მკითხველს გავაცნო ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ტრადიციები მესხეთში. შესაბამისად დავარწმუნო იმაშიც, რომ მესხი კაცის ყოფაში ვაზს ისტორიულად დიდი აღვილი ჰქონდა დათმობილი. ვიტოვებ იმედს, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მეცნიახობის საკითხთ დაინტერესებულ პირებს.

მინდა მადლიერება გამოვთქვა იმ პიროვნებების მიმართ, რომლებმაც გარკვეული დახმარება გამიწიეს წინამდებარე ნაშრომშე მუშაობისას. კერძოდ, მინდა მადლობა გადაკუნადო როგორც ჩემი, ისე ფეხი ვენახისა და ღვინის მოყვარულთა სახელით: ბატონ გიორგი ბარისაშვილსა და ბატონ გოჩა წერეთლს. სწორედ გიორგი ბარისაშვილის ნაშრომებმა, რომლებიც ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომებად მიმაჩნია, გამაბედინა მესხური ვაზისა და ღვინის შესახებ წინამდებარე ნაშრომის დაწურა. ბატონ გოჩა წერეთლის ინიციატივითა და დახმარებით კი შევძელით ახალციხის ციხის ტერასებზე საუცხოო მესხური და ეკონომიკული ვაზის ჯიშების გაშენება.



გულწრფელი მადლიერება მინდა გამოვხატო პროფესორ თემურაზ ღლონტის მიძართ. იგი სისტემატიურად კვაწვდის საჭირო სამეცნიერო ლიტერატურას ქართული ვაზისა და ლვინის შესახებ, რაც ძალზედ გამოგვადგა წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას.

მინდა ასევე განსაკუთრებული მადლიერება გამოვთქვა საგურამოს მახლობლად სოფელ ჯილაურაში არსებული ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების წარმოების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბატონ ლევან უჯმაჯურიძესა და მისი თანამშრომლის ბესარიონ ჩერქეზიშვილისადმი. ბატონმა ლევანმა თავის კოლექტივთან ერთად სამცხე-ჯავახეთში მოიძია ყურძნის ძველი მესხური ჯიშები, რომლებიც გადაშენების პირას იყო. აჭრა კალმები, ჩაიტანა ჯილაურის სანერგე მეურნეობაში, დაამყნო მწარე საძირებე და შემდეგ უსასყიდლოდ დაურიგა ისევ ამ კუთხის ახალგაზრდობას, (მათ შორის ჩვენც) რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამცხეში ვაზის მოშენებით.

ავტორი

ვაზის ისტორია საქართველოში მიღიონბით წლებს ითვლის. მეცნიერთა შეხედულებას, რომ საქართველო ვაზის სამშობლოა, აუქციოლოგიური მასალები ადასტურებს. კერძოდ, განსაკუთრებულ ფურადლებას იპყრობს მესხეთში – ადიგენის რაიონში, გოდერის უღელტეხილის მიდამოებში აღმოჩენილი მოყვითალო ფერის გაქავებული ვაზის ძირი, რომლის დიამეტრი 30 სმ-ზე მეტია. არქეოლოგთა მიერ მისი ასაკი დაახლოებით 15 მიღიონი წლით დათარიღდა. ასევე მხედველობაში გვაქვს ახალციხის რაიონში, ქისათიბის დიატომიტის საბაზოში აღმოჩენილი ველური ვაზის ლერწისა და ფოთლების ანაბეჭდები, რომელთა ასაკი 10 მიღიონი წლით განისაზღვრა.<sup>1</sup>



(სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი)

ვაზის ფოთლების ანაბეჭდი  
დიატომიტზე (10 მლნ. წ.)



ვაზის შტამპი გაქავებული  
ტყიდან (15მლნ.წ.)



მეცნიერები ვაზის წარმოშობას ვარაუდობენ კარტოგრაფიული მასიური კურსორის საქართველოს სამხრეთ-აღმოსავალით ნაწილში – ქვემო ქართლში. შულავერის გორასა და დანგრეული გორის ქვედა ფენაში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილია კულტურული ვაზის ჯიშების მქონე ფურძის წიპწები, რომელიც თარიღდება ძვ.წ. VII ათასწლეულის დასასრულით. იქვე ნაპოვნი თიხის ჭურჭლის ნატეხები წითელი ღვინის ნაშთით. მოძიებული არქეოლოგიური მასალა ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ძვ.წ VI-IV ათასწლეულებში სამხრეთ საქართველოში მცხოვრებმა ხალხმა იცოდა ვაზის მოშენება-მოვლა და ღვინის დაყენება. კავკასიის გარდა ფურძის ყველაზე ძველი ნაშთები (წიპწები) აღმოჩენილია დასავლეთ ანატოლიაში, რომელიც ძვ.წ. V ათასწლეულებით თარიღდება.<sup>2</sup> გასული საუკუნის 30-იან წლებში თრიალეთში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ჭედური ხელოვნებით დამზადებული ვერცხლის თასი, რომელმაც დიდი მეცნიერული ინტერესი გამოიწვია, როგორც ხელოვნების ნიმუშმა მასზე ასახული მრავალკომპოზიციანი სიუკეტით. არქეოლოგიური აღმოჩენის ინტერესს აძლიერებს თასზე ჭედური წესით შესრულებული სარიტუალო მსვლელობა, რომელიც წმინდა სასმელის გამოყენებით მიმდინარეობს და ფაქტობრივად ძვ.წ XVIII-XVII საუკუნეების ქართველთა უძველესი წინაპრების საკულტო და სამურნეო ურთიერთობაზე მეტად საინტერესო მინიშნებებს შეიცავს. აღსანისნავია, რომ ვერცხლის თრიალეთური თასი ეწ. უნაკერო ნივთთა რიცხვს მიუკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ჩარჩზე ერთი მთლიანი ვერცხლისაგანაა გაკეთებული და ამ შხრივაც საიუველირო ხელოვნების უნიკალურ შედევრს წარმოადგენს. ბრტყელძირა და მუცელფართო სასმისი ორ ნაწილადაა გაყოფილი. დაბალ ფრისზე დედალ-მამალი ცხრა ფურირებია გამოსახული,

რომელნიც განაყოფიერების მომენტის საერთო მინდენშემდებულების მიემართებიან ერთი მხრისაკენ, მეორე ფრისზე რცხვდარი ნიღბიანი მამაკაცია წარმოდგენილი, ისინი ხელში პყრობილი მაღალი თასებით მიემართებიან უფროსი ღვთაებისაკენ. ნიღბიან მამაკაცებს აცვიათ მოკლე ქულაჯები და ფეხსაცმლები. უფროსი ღვთაება საკარძელში ზის და მასაც ხელში უჭირავს მაღალი თასი, მის წინ დიდი ფეხიანი ჭურჭელია, ხოლო ჭურჭლის იქით და აქეთ სამსხვერპლო ცხოველებია. ღვთაების უკან სიცოცხლის ხეა გამოხატული ყველა დროის ხალხთა უნივერსალური სიმბოლო.

მეცნიერ-მკვლევართა უმეტესობა, რომლებიც თრიალეთის თასის სიუჟეტის ახსნას შეეცადა, მიიჩნევს რომ ამ თასების შიგთავსი უნდა იყოს ღვინო, რაც სრულიად ბუნებრივია ღვინის წარმოების უძველესი ქვეყნისათვის – საქართველოსათვის, სადაც ჯერ კიდევ თრიალეთური კულტურის წარმოშობამდე გაცილებით ადრე, მეექვსე ათასწლეულის დასაწყისში, ქართველთა წინაპრებს უკვე შეთვისებული პქონდათ ღვინის კულტურა და მასთან დაკავშირებული საწარმოო ჩვევა-გამოცდილებანი.<sup>3</sup>



ქვწ. IV ათასწლეულის შუა ნანებიდან შესაძლებელია ლაპარაკი ღვინის ფართოდ წარმოებასა და გავრცელებული აკადემიკოს გიორგი წერეთლის გამოკვლევით, სიტყვა ღვინო ჰელა ენაში ქართული ენიდან შევიდა. ის ფაქტი, რომ ამჟამად გავრცელებულია 20 000-ზე მეტი ჯიში ვაზისა, ერთ-ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისაც, რომ მევენახეობის განვითარების დამოუკიდებელი ცენტრი რამოდენიმე იყო: შუა აზისა, ჩინეთისა, დასავლეთ აზისა და სხვა. ამათგან კულტურული ვაზის წარმოშობისა და მეღვინეობის განვითარების მხრივ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და არის საქართველო, სადაც ჩამოყალიბდა 530-მდე ჯიში.

ვაზი საქართველოდან გავრცელდა სირიაში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, იქიდან კი იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პორტუგალიაში, აფრიკაში და სხვა ქვეწიებში. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ბერძნები საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანას უწოდებდნენ.

სხვადასხვა ქვეყანაში ყურძენსა და ღვინოს სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდნენ. საქართველოში რქაწითელისაგან ამზადებდნენ:

- კარგ, მაღალხარისხოვან კახურ, ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს, პორტუგენს, საშამპანურე და საკონიაკე მასალას.

- მშვენიერ, არომატულ, ტკბილ ყურძნის წვენს.  
- ბადაგს - ზამთარში შესანახად და თათარის მოსადუღებლად.

- სასუფრედ.  
- ტკბილ ჩამიჩს.  
- ჩურჩხელას, რომელიც კალორიულობით შოკოლადს არ ჩამოუვარდება.

მტერი როდესაც შემოესეოდა საქართველოს, ხშირად ანდგურუბდა ვენახისა და ხეხილის ბაღებს, რომ ამთ მოესოთ



ქართველი ხალხისათვის არა მარტო ცხოვრების სიამოგნება, არამედ დაწყვრიათ ის საძირკველი, რომელზედაც აშენებული იყო ხალხის ეკონომიკური მდგრამარეობა. მაგრამ უცხოელმა დამპყრობლებმა ვერ მოსაპეს ხალხის ვაზისადმი სიყვარული. როგორც კი ქართველები განდევნიდნენ მტერს თავისი მიწა-წყლიდან, უმაღვე შეუდგებოდნენ ბაღ-ვენახების აღდგენას, ახლის გაშენებას. ღვინის დანიშნულება ქართველთა ცხოვრებაში კარგად იყო ცნობილი უცხოელთათვის. თემურ-ლენგის ისტორიკოსი წერდა „ქართველები უღვინოდ და უხილ-მწვანილოდ პურს არ ჭამენ და ცხოვრების სიამოგნებას ვერ გრძნობენ“.

ქართველთათვის ვენახი მარტო საწარმოო ვენახი კი არ იყო, არამედ იგი იყო სამოთხე ძველი გაგებით, ანუ დასასვენებელი ბალი. ვენახში გაშენებული იყო ერთი ან ორი ძირითადი ჯიში: რქაწითელი და საფერავი – კახეთში; გორული მწვანე, ჩინური, შავკაპიტო – ქართლში; ალექსანდროული და უსახელაური – რაჭა-ლეჩხუმსა და ცაგერში და სხვა. ეს ჯიშები იყო ძირითადი პროდუქტის მომცემი.

ღვინო ქართველი კაცისათვის მხოლოდ მოსალხენი სასმელი არ იყო, არამედ იგი ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გამოსაყენებელი სახმარი პროდუქტი იყო:

„ვენახსა განაპიროსა, ჩაურიგებენ მანასა.

ვინც ღვინოს დაგვალევინებს, იმას მოვუმკით ყანასა“

„დაიცა, მოვალო გრილოში, ჯამი დარიგეს თიხისა, ვენახის სათოხნელათა გული დამიწუებს ღიღინსა, დავკრათ და მიწა ვაბრუნოთ, როგორც ნანგრევი ციხისა, დასხდნენ და ღვინო დაასხეს, მოსდევს სხვაც, სხვილი ჯამითა,

ერთმანეთს უუბნებიან: ასე აივსე ჯანითა.“

ხალხური ზეპირსიტყვაობაც არჩევს სხვადასხვა ღვიძლებს:  
„ღმერთმანი, ბობისხური ღვინო დადგება სქელობითთავა  
ასეთი ღვინო დადგება, წითელი ლალისფერია,  
ველისციხის ღვინოები შავი არის და სქელია,  
იმით დამთვრალი კაცები ტკბილსა ხმაზედა  
მღერიან.“<sup>44</sup>

ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი ახალციხეს ვენახთა  
და ხეხილით დაფარულ წალკოტს უწოდებდა. იგი წერდა:  
„ჰყა არს მშვენიერი, ზამთარს ცივი და თოვლანი, ზაფხულს  
არა ევოდენ ცხელი, გარემოს ქალაქს წალკოტნი, ვენახი და  
ხილი მრავალნი“.

საქართველოში, კერძოდ კი მესხეთში, ვაზი ზღვის დონი-  
დან 1200 მეტრის სიმაღლეში კარგად ხარობს და შესაბამი-  
სად კარგ ღვინოსაც იძლევა. ისიც მართალია, რომ ვაზი  
დასახლებულ სიმაღლეზე თითქმის ყველგან ხარობს, მაგრამ  
ყველგან ერთნაირად კარგად არ იზრდება, ზოგან შე აკლა,  
ზოგან ქარი აწუხებს, ზოგან სინესტე, ზოგან ზედმეტი  
სიმშრალე, ზოგან კირის სიჭარე ან სიმცირე და სხვა.

კონსტანტინე გვიშანის (ახალციხის რაიონის სოფელ  
აწყურის მკვიდრი) განმარტებით ვაზის არსებობა  
დაზუსტებულია ახალციხის რაიონის 55 სოფელსა და  
ნასოფლარში, აღიგენის რაიონის 16 სოფელსა და ნასოფლარში,  
ასეინძის რაიონის 40-ზე მეტ სოფელსა და ნასოფლარში,  
ბორჯომის რაიონის 12 სოფელსა და ნასოფლარში.

ზვარე ადგილას დამწიფებულ ფურძის ტკბილში შაქარი  
ყოველთვის 15-20%-ზე მეტია. სწორედ ამიტომ იყო, რომ  
ვენახი ჩვეულებრივად შენდებოდა მზით განათებულ მთის  
ფურდობებზე. პროფესიონალი მ. რამიშვილი აღნიშნავს: „შეიძლება  
ითქვას, რომ მესხეთი ერთ-ერთი ძირითადი კერა არის  
აბორიგენული ვაზის ჯიშებისა, თავისი მრავალი ვარიაციებითა



და სახეებით“. გაგარეულებული ვაზი გვხვდება მესხეთის კულტურული მემკვიდრეობის ძრობის ცენტრის მინიმუმის ფართობზე, ზღვის დონიდან 900-1700 მეტრამდე ვაზი ყოფილა გავრცელებული.

ასევე დიდ ინტერესს იწვევს ცუნქის ღელეში (ურავლის ხეობაში) ჩორჩო-აგარის მონასტრის მიდამოში, უღრან ტფეში აღმოჩენილი ვაზის იშვიათი ძირი, რომელიც მოუღლ საუკუნეთა მანძილზე მეტად კარგად გრძნობდა თავს ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ზღვის დონიდან 1650 მეტრამდე აღწევს.

ვაზის მეტად ხნიერი ეგზემპლარები გვხვდება აგრეთვე ადიგენის რაიონის სოფელ დიდ სმადაში, რომლის ასაკიც 180 წელზე მეტია, მისი ძირის გარეშემოწერილობა 85 სანტიმეტრს აღემატება.

ვაზის სიყვარული ასეა ქართულ კულტურაში, სიმღერაში, ხუროთმოძღვრებაში, პოეზიაში. ამის დასტურია მეცედემეტრე I-ის მიერ შუასაუკუნებში დაწერილი უკვდავი იამბიკო „შენ ხარ ვენახი!“

ვანსაკუთრებით აღნიშვნის ღირსაა მიქაელ მოდრეკილის - მესხი კაცის მიერ მესხეთში, კერძოდ კი კლარჯეთში შატბერდის მონასტერში „დიღებულ ლავრაში“ შექმნილი ქართული საგალობლები (978-988). შატბერდი აგვიტულია გრიგოლ ხანძთელის მიერ, რომელიც წარმოადგენდა მწიგნობრობის უდიდეს კერას საქართველოში.

ძველად მესხეთში ვენახი ხელოვნურად ბაქან-ბაქან მოვაკებულ ნიადაგზე შენდებოდა, რომელსაც „ოროკოს“ უწოდებდნენ. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ მესხეთის ვენახების ძირითადი მასიურა ძველად გამენებული ყოფილა ასპინძის რაიონის მიდამოებში. (მდინარე მტკვრის ხეობაში) ამას ადასტურებს დიდი რაოდენობის დაბაქნებული ტერასები საროსა და ხიზაბავრის მიდამოებში და ამ ოროკებზე დარჩენილი ვაზის სხვადასხვა ჯიშები სოფლების – ხერთვისის,



ტოლოშის, ოშორის, ნაქლაქევის ბაღებში. საროს, ხეროვანისას, ხიზაბავრის ტერიტორიაზე 50 სართულამდე ტერასებს ვხვდებით, რომელიც აღმართულია 200 მეტრის სიმაღლეზე. იგი ქვით არის ამოშენებული და მზის საკმაო ენერგიასაც იღებს, რაც საკმარისია ვენახის სრული ზრდა-განვითარებისათვის.



ასპინძის რაიონის სოფელ ხიზაბავრის ტერასები

როგორც ბატონი მერაბ ბერიძე მოგვითხრობს, ზემოთ აღნიშნულ ტერასებზე ვაზი შენდებოდა ორგვარად: ჭივოზე და ტერასზე გადმოკიდებულად. ამ უკანასკნელის მოვლა ქვედა ტერასიდან ხდებოდა, ძალზედ საინტერსო სარწყავი სიტემაც ჰქონდათ. წყალი თვითდინებით მოვდინებოდა ტფიდან ან მთის ძირიდან, რომელიც კიბის საფეხურებს მიჰყვებოდა, რომელიც ტერასებს თავსა და ბოლოში აჰყვებოდა. კიბიდან გადმოსული სარწყავი წყალი ტერასს ძირში გაჰყვებოდა



ტერასის ბოლომდე, ტერასები ოდნავ უკან იყო გადახრიდღული რათა ნიადაგის ქოზის წყალს არ მოეხდინა, ტერასის მოწყვეტილი გაჩენილი წყალი ისევ საფეხურებს ჩამოყვებოდა და ასე აგრძელებდა რწყავს ქვედა ტერასებისაკენ.<sup>5</sup>

ტერასებზე ნიადაგი მეტად მწირი იყო. ამიტომ მის გასანაყოფიერებლად მათ შველობელებს მდინარე მტკვრიდან სახედრებით ამოჰქონდათ ლამი, რომელიც ერთ-ერთი სუკროესო საშუალებაა ვენახის ნიადაგის გასანაყოფიერებლად. ისტორიკოს ზურაბ ჭუქმიშვილის გადმოცემით ვენახს შემდეგნაირად აშენებდნენ: ჯერ მიწას გამოთხრიდნენ, მიწის პატარა ნაწილის ამოღების შემდეგ კედელს ჩაუყრიდნენ საფუძველს, შემდეგ კი იწყებოდა ფერდობის გამოთხრა. ამოსული ქვა და ღორლი კედლის შენებლობას ხმარდებოდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კედლის სიმაგრეს, სიმტკიცეს და დახრილობას, რადგან კედელი თუ დახრილი არ იყო პირველივე მორწყვის ან დიდი წვიმის დროს შეიძლება დანგრეულიყო. შენებლობა ხდებოდა შშრალი წყობით, ამოყვანილ კედლებს კი ავსებდნენ მიწით და წვრილი ქვა-ღორლით. კედელი აუცილებლად ორპირი უნდა ყოფილიყო რომ სიმაგრე ჰქონოდა.<sup>6</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასპინძის რაიონში 1959 წლის აღწერით დახხლოებით 10-12 ათასი ტონა ფურმქნი იკრიფებოდა, რომელიც ძირითადად ტერასებზე მოჰყავდათ.

მესხეთში ტერასებს დარიჯეს, ოროვის, ბაქანს, საქვეს უწოდებდნენ. ზურაბ ჭუქმიშვილმა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისა და ადგილობრივ გადმოცემებზე დაყრდნობით დაადგინა განსხვავება დასახელებულ ოთხ ტერმინს შორის. მაგალითად, დარიჯი და საქვე კრთი და ფივე დანიშნულებისაა. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ დარიჯის ფართობი გაცილებით აღემატება საქვესას. საქვე ტერასები კი უფრო დიდი დახრილობის ყოფილა. ხოლო ბაქანი ყველაზე მცირე

ზომის მიწის ნაკვეთს აღნიშნავდა, სადაც მხოლოდ ერთი ან  
ორი ძირი ირგვებოდა<sup>7</sup>

მიხეილ ველჯანაშვილის აზრით, ვენახის ტერასებზე  
გაშენების ერთ-ერთი მიზეზი მიწის ნაკლებობა უნდა  
ყოფილიყო: „ხიზაბავრელები ოდითგანვე მიწის ნაკლებობას  
განიცდიდნენ, ამიტომ მათ მთავრობიანი კლდოვანი ქანობები  
ტერასებად დაუშემავებდათ და ამ სავარგულებშივე ვენახებთან  
ერთად შესანიშნავად ხარობდა ვაშლის - 33, მსხლის - 29,  
ყურძნის - 26 ჯიში, ატმის, ჭერმის, გარგარის, თუთის,  
ჭანჭურისა და ვეება კაკლის ხეები.<sup>8</sup>

მესხეთში ტერასებზე ხილისა და ვაზის ერთად გაშენებაზე  
ყურადღება გაამახვილა ლევან ისაკაძემ. იგი წერდა: „ხილი  
და ვაზი ხშირად ერთად შენდებოდა. ქვის კედლის ძირში  
ჯერ ვაზს რგავდნენ, შემდევ კი ხეხილს. ასეთი წესით  
გაშენებული ბალ-ვენახების დიდი უპირატესობა იმაში  
ძლიომარეობდა, რომ ზაფხულში ქვის კედლები ხურდებოდა,  
რის გამოც ტერასები რა სიმაღლეზეც არ უნდა ყოფილიყო  
მოწყობილი ტემპერატურის ფამი საქმარისი იყო ყურძნის  
დამწიფებისათვის, ხოლო ფერდობზე სისტემატური ნიავისა  
და მაღალი ტემპერატურის შედეგად ადგილი არ ჰქონდა  
ვაზის დაავადებას“.<sup>9</sup>

კონსტანტინე გვიშანის (ახალციხის რაიონის სოფელ  
აწყურის მკვიდრი) განმარტებით ვაზის საყრდენად მესხეთში  
ჭველად გამოყნებული იყო ვაშლის, მსხლის, ჭანჭურის, შინდის,  
კომშის, ალვის, მუხის იფნის, რცხილის და თუთის ხეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხიზაბავრის მოსახლეობა ტერა-  
სებს „დარიჯებს“ უწოდებდა, ხოლო სადაც ვენახი იყო  
გაშენებული დღემდე „ვენახების“ სახელი შემორჩა.  
მთხოვნელთა გადმოცემით, ხიზაბავრელები როცა დაკრეფინენ  
ფურძენს, იქვე მარნებში, ქვის საწნახელებში, დაწურავდნენ,  
გადაიღებდნენ ქვევრებში და დაყენებული ღვინო სოფელში

მიპქონდათ დოქტორა და კოკებით. მევენახეობის განვითარებას შეუძლია მესხეთში ასაბუთებს გურჯისტანის ვილაიეთში დადგინდა დავთარიც. მაგალითად იმ დროს ხიზაბავრას მიწერილი ჰქონდა მომიჯნავედ მდებარე სოფელ გომის ვენახები. ივანე გვარამაძის აზრით მესხეთში მევენახეობას დიდი ზარალი მიაყნეს ოსმალებმა: „ვენახები ოსმალებს მთელ ახალციხისა და ხერთვისის მიდამოს ხეობებში მოუსპიათ და ხიზაბავრის ვენახები კი ვერ მოუსპიათ აღგილობრივ მცხოვრებთ სიძლიერით“.<sup>10</sup> მისივე ცნობით, XIX საუკუნის დასახლებლის ძვიგომარეობით, ხიზაბავრის ვენახებში ათიოდე ჯიშის ფურქნი ყოფილა გაშენებული: „ანდროული, ვეუანა, კლერტ-მაგარი, ცვრივი, ბუდეშური, თითა, ცხენის ჭუჭე, სარისოვალა, საფურავი, ანიჭული“<sup>11</sup>

მთხობელთა გადმოცემითა და სხვადასხვა მასალებიდან დგინდება, რომ 1918-1919 წლებში ოურქთა შემოსევების დროს მოსახლეობამ გაქცევა-გახიზვნის გამო ყურადღება ვეღარ მიაქცია ვენახებს და ისე გადახმა, რომ შემდგომში ვეღარ შეძლო მისი გამობრუნება. იმ პერიოდიდან მოყოლებული მეურნეობის ამ დამხმარე დარგმა არსებობა შეწყვიტა. ამასთანავე, დაინგრა და მოიშალა ტერასებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ასანძის რაიონის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, ხიზაბავრის მოსახლეობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა დაუზოგავი შრომით ტერასები აღდგენილ იქნა 1977-1978 წლებში. ტერასებზე მოშემავე სტუდენტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა მესხეთის მკვიდრი და დიდი ქომავი ბატონი მერაბ ბერიძე.

მესხეთში მევენახეობის ტებობის შესახებ მდიდარი და საინტერესო მასალა შემოგვიხარისებული იყო კართულმა ფოლკლორმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნიმუშად მოვიყვანთ მასალებს ნატო ყრუაშვილის წიგნიდან – ხიზაბავრა. ავტორის გამოყენებული აქვს ილია ალხაზიშვილის მიერ სოფელ

ხიზაბავრაში მოძიებული მასალებიდან მოშაირე სტეფანე ტატიანე  
ტატურაშვილისაგან ჩატერილი ლექსად თქმული ღვეგმიდან არა  
„როგორ გაჩნდა ღვინო“:

ნოემ აშენა ვენახი  
ღვინო ვერ დააყენაო  
დაღონებულსა ნოესა  
ეშმაკი უდგა წინაო.  
— ნოვვ, ვერ გიქებ ღვინოსა,  
შენ ვერ ახარებ ვაზსაო,  
თუ ამხანაგად გამიხდი,  
გასწავლი ვაზის ხესაო.  
ისეთი ღვინო დაგიდგეს,  
კაცი ებრძოდეს ლომსაო,  
ყველა ქართველი გაქებდეს  
თან სვამდეს ყურძნის წვენსაო.

ნოემ დაუთმო ეშმაკს, ამის შემდეგ მან ასწავლა თილისმა:  
ვენახი ვერ წყლით მორწყო, მერე ბატკანი დაკლა და მისი  
სისხლი აპკურა, მესამედ ბულბულის სისხლი აწვეთა ვაზს.  
მეოთხედ მოზვრის სისხლი დაასხა სარს. ბოლოს ღორებიც  
დახოცა და სისხლი აპკურა. ამის შემდეგ ნოემ ქვევრში  
ღვინო დააყენა.

მას აქეთ საქართველოში  
ყველა აშენებს ვაზსაო  
მას აქეთ ღვინოს თან დაჰყვა  
თილისმაც ეშმაკისაო.

ზოგი ღვინოს წყალივით სვამს და კრავივით შშვიდია,  
ზოგიც ბულბულივით ყბედია, ზოგი მოზვერს ემსგავსება —  
შეოთავს და ჭირვეულია, ზოგი ლომ-ვეფხვივითაა, ზოგი კი  
ღორივით ტალახში წვება.“



აღნიშნული ლეგენდა მრავალმხრივ საინტერესო ფოლკლორულ მასალას წარმოადგენს. ბევრ კითხვაზე რომელსაც პასუხს. უპირველესად კი ხაზს უსვამს იმას, რომ ხიზაბავრელნი ისტორიულად მისდევდნენ მევენახეობა-მეღვინეობას, რასაც ასევე ასაბუთებს ცნობილი ხალხური ლექსი:

„ხიზაბავრა ქარიანი,  
დარნები აქვს კარიანი,  
წინ მინდორი და უკან ტყე  
ღვინო იცის გვარიანი.“<sup>13</sup>

ავტორი დასახელებულ წიგნში ასევე ვრცლად საუბრობს ივანე გვარამაძის ფოლკლორისტულ მოღვაწეობაზეც, რაც ხიზაბავრასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. იგი XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული სიკვდილამდე ეწეოდა. მის ერთ-ერთ ხელნაწერში კონკრეტულად არის მითითებული იმაზე რისი ჩაწერაც მოახდინა მან. კერძოდ, „სუფრულები“. ივანე გვარამაძე მიუთითებდა, რომ ე.წ. „მესხური სუფრულების“ უმრავლესობა სოფელ ხიზაბავრაში ჩაიწერა. იგი წერდა: „ამისთანა მტკიცე ნასიათისა და გვარის მოყვარულს ხალხში დარჩენილა მესხური სუფრულები შემკულ-გამშვენებულნი საუცხოვო კილოებით, რომელთ ბადალი არსად მგონია რომ იყოს კიდევ დარჩენილი... საცდელად მე ვთქვი რამოდენიმე სუფრულები სხვადასხვა კილოზე ჩვენს დიდად პატივცემულ მხცოვან პოეტს რაფიელ ერისთავთან, რომელსაც კარგად შესწავლილი აქვს საქართველოს და საიმერეთოს მხარეების ცხოვრება და მითხრა აღარსად აღარ მოიძევა მაგნაირი კილოებით.“

ივანე გვარამაძე იხვეწებოდა, რომ ვინც შეძლებდა ნოტებზე გადაეღო ეს სუფრულები, რადგან დღითიდღე დავიწყებას ეძლეოდა სუფრულების კილოები, ხოლო მათი მცოდნე

მოხუცები ტოვებდნენ ამ წუთისოფელს. მათგან ნასწარულს კი ზოგი ივიწყებდა და ზოგიც ამახინჯებდა. მანვე შემოუვრნასა სუფრულების მცოდნე ხიზაბავრულთა ვინაობაც: „ამ ოცდახუთი წლის წინად მრავალნი მოხუცებულნი იყვნენ ხიზაბავრას მცოდნე კარგის სუფრულებისა, როგორც ლეკოთ პავლე, მამუკათ პეტრე, ველიჯანათ პავლე, დათათ იაკობი, მაზმიანთ იაკობი, მაზათ ბერნადე, ხუციანთ სიმონი და სხვა. ესენი რომ იწყებდნენ ქორწილ-ნათლობაში გაღმა-გამოღმა სუფრულებსა ტკბილის ხმითა, აღტაცებაში მოდიოდნენ მსმენელნი. ამათში შესანიშნი იყო ბევრ რამის ცოდნით სუფრულებისა და შაირების ლეკოთ პალე... ისე ზარივით ხმა ჰქონდა რომ ხიზაბავრას რო სიმღერას შემოსძახებდა თურმე საროს ჩადიოდა ორ-სამ ვერსამდის გარკვევით. დიდი და პატარა ქალით კაცით ფეხზე დგებოდნენ.“

ივანე გვარამაძე თვითონ იყო მესხური სუფრულების კარგი მცოდნე. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „მესხეთში და ჯავახეთში არ ყოფილა არც ერთი სასიმღერო კილო, რომ ივანე გვარამაძემ კარგად არ იცოდეს.“ ივანე გვარამაძემ შეკრიბა, აღადგინა და შეავსო მესხეთის ძველებური გალობები და სუფრულები, რაც უხმარიათ წვეულებას, ნადიმსა და ლხინში. მან მოძიებულ სუფრულებს ერთად მოუყარა თავი, „სამესხეთოს ძველი სიტყვიერება“ უწოდა და უძღვნა თუბილარ მგოსანს – აკაკი წერეთელს. ამდენად, მესხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს „მესხური სუფრულები“. მათ შორის – „ხიზაბავრული სუფრულები“. ნიმუშად მოვიყვანთ ივანე გვარამაძის მიერ ჩაწერილ ერთ-ერთ სუფრულს:

„ვთქათ სადღეგრძელო ღვინითა,  
მათ ჯიხვითა და ჩვენ მინითა,  
ვიზაროთ ტკბილის ლხინითა,  
გავბასროთ მტერი ჟინითა.

კარგია კარგ კაცის ბაძი  
 მტულს ლოთა-გვაცი, ანცი  
 ძმავ, შენ რას გაგაჭეს ფაც-ბაცი  
 დალიე ზომივრად ჭანწი.“<sup>14</sup>

ფოლკლორული მასალებიდან ასევე საყურადღებოა ზურა ქუქჩიშვილის მიერ სოფელ ხიზაბავრაში ჩაწერილი საინტერესო გადმოცემა: სოფელში ერთ გლეხს შავი ხარები დაუკარგავს, მთელი ღამე უძებია მაგრამ ვერ უნახავს. დილით ისევ დაუწყვია ძებნა. ბოლოს დაუნახავს, რომ ხარები დარიჯის ძირში ჩაწოლილიყვნენ და იცოხნიდნენ. დარიჯის კედლები კი ისე შავად ყოფილა დაფარული მსხმიარე ფურმნის მტევნებით, რომ პატრონს იმ შავ ფონზე ვერ შეუმჩნევია თავისი შავი ხარები.<sup>15</sup> ყოველივე ზემოთნათქამი ერთხელ კიდევ ასაბუთებს მესხეთში მევენახეობის განვითარებას. ქართული ფოლკლორის საგანმურშმი მდიდარი და საინტერესო მასალაა თავმოყრილი ამ კუთხეში მევენახეობის განვითარების შესახებ. საყურადღებოა ერთი ცნობილი ხალხური ლექსიც:

პური კლდეს, ღვინო ბოგასა  
 თევზი ეძებე ტობასა  
 წითელი ვაშლი თუ გინდა  
 გაღმა-გამოღმა წყორძასა.

სამცხე-ჯავახეთში ვაზსა და მევენახეობას XX საუკუნეშიც გამოუჩნდნენ მკვლევარნი და მიმდევარნი. მოძიებული მასალებიდან ნათლად ჩანს: ეუმ ვაზის მოვლა-პატრონობას დიდი ყურადღებას უთმობდნებ. ამაზე მეტყველებს სამცხე-ჯავახეთის ხელნაწერთა დამხმარე ფონდში დაცული ერთ-ერთი სიგელი, საიდანაც ვგებულობთ, რომ 1945 წელს თბილისში ჩატარებულა სუფრის საუკეთესო ღვინის



რესპუბლიკური კონკურსი. დასახელებული კონკურსისშემადგრენი მონაწილენი ყოფილან მესხეთის (ახალციხის, აღიგძისა და ასპინძის) წარმომადგენლები. კონკურსის მონაწილეებმა: ახალციხის რაიალმასკომის სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსმა აგრონომმა პეტრე მინდიაშვილმა, ახალციხის მცხოვრებმა მიხეილ წალდაძემ და სოფელ საროს მცხოვრებმა გიორგი მაღრაძემ დამსახურეს სიგელი და ფულადი ჯილდო სამი ათასი მანეთი აღიგორტეს, ხიხვის, შავკაპიტოს, გორული შევანის, ჩინურის და პინო-ფრანის ფერძნის ჯიშებიდან კარგი ხარისხის ღვინოების დაყენებისათვის.<sup>16</sup>

გასულ საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში ვენახის შესწავლა-გაშენების საქმეში განსაკუთრებული დამსახურება მოუძღვის მეცნიერებათა კანდიდატს შალვა წიქვაძეს. იგი მოელი სიცოცხლის მანძილზე იკვლევდა მესხურ ვაზს და ღირებული ნაშრომებიც შექმნა. ეს მისი პროფესიაც იყო და მამულიშვილური ვალიც. მან 1941 წელს წარმატებით დაასრულა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მეცნიერების ფაკულტეტი. იგი ერთხანს მუშაობდა საქართველოს მიწათმოქმედების სამინისტროში მეცნიერების უფროს აგრონომად, 1948 წელს კი დაინიშნა ახალციხის რაიალმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ.

შალვა წიქვაძემ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სამეცნიერო კვლევით მუშაობაში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მებაღეობა-მეცნიერება-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალციხის დასაყრდენ პუნქტს.

შალვა წიქვაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მესხეთში მოიძია და გამოავლინა ვაზის გამძლე და მაღალპროდუქტიული ჯიშები, მეორეს მხრივ გამოსცადა მესხეთში გასავრცელებლად ისეთი ჯიშები როგორიცაა: ხიხვი, აღიგორტე, პინო, რქაწითელი, შავკაპიტო, ჩინური, გორული

წევნე. რაც შეუხება მესხური ჯიშებს შემოყვინარჩუნა მესხური ფურძნის შემდეგი ჯიშები. თეთრყურძნიანი: სამარგობრებულა ხარისთვალა, ცხენის ტუტე, თეთრი ახალციხური, საფარულა, თეთრი ბუდეშური, როკეთულა, ჩიტიკვერცხა თეთრი, ცხენის ტეა თეთრი, მესხური მწვანე.

წითელყურძნიანი: შავი ბუდეშური, საწური, მესხური შავი, შავი ასპინძური, მესხური საფერავი, ხარისთვალა შავი, ცხენისტუტე შავი, ბეჟანა, ჩიტისკვერცხა შავი, ცხენისტუა შავი, კლურტმაგარი.

საუკეთესო მესხურ ვაზის ადგილობრივ ჯიშებს მიაკუთვნა და რეკომენდაცია გაუწია მესხეთში გასავრცელებლად შემდეგ ვაზის ჯიშებს: სამარიობო, ბუდეშური, ასპინძურა, საწური.

შალვა წიქვაძემ მესხურ ყურძენსა და მევენახეობას რამოდგნიმე ნაშრომი მოუძღვნა. განსაკუთრებულ კურადღებას იპყრობს „მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში“. ეს ნაშრომი სამი ნაწილისაგან შესდგება. პირველ ნაწილში მოცემულია მევენახეობის ისტორიული მიმოხილვა და ძველი მესხური ვაზის ჯიშების დახასიათება. მეორე ნაწილში – თანამედროვე მევენახეობის დონე და განვითარების პერსპექტივები მესხეთში. აქვე წარმოდგენილი ადგილობრივი ვაზის ჯიშების განლაგება ზონებისა და მიკრორაიონების მიხედვით. მესამე ნაწილში გამუქებულია მევენახეობის აგროტექნიკის თავისებურებანი მესხეთის მთავრობინი, შედარებით მკაცრი პირობებისათვის.

კონსტანტინე გვიშიანის გადმოცემით შალვა წიქვაძის ერთ-ერთი ნაშრომი „დიდებული მესხეთი“ ამჟამინდელი მდგომარეობით დაკარგულია. შეიძლება ითქვას, რომ შალვა წიქვაძის შემდეგ მესხეთში არ აღმოჩნდა პიროვნება, რომელიც მის დაწყებულ საქმეს – მევენახეობის აღდგენასა და განვითარებას გააგრძელებს.<sup>17</sup>

შეიძლება ითქვას, რომ გასულ საუკუნეში მესხურების მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების საქმეში დადგინდა წვლილი მიუძღვის მოყვარულ მევენახეს ბაგრატ დევნოსაძეს. მან თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ვაზის ძიებასა და გაშენებას მოანდომა. დადიოდა ძველ ნასოფლარებში, იქ შემორჩენილი ვაზის კალმებს კრებდა, რომელთაც ამყნობდა მწარე საძირებზე. მან მიწის ნაკვეთი შეიძინა ზედა ვარძიის ტერიტორიაზე და იქ გააშენა ძველი მესხური ვაზის ჯიშები. გაწეული სამუშაოსათვის საქართველოს ხელისუფლებამ, ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბატონამ ედუარდ შევარდნაძემ იგი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

ბაგრატ დევნოსაძეს სამ სუკუნეში მოუწია ცხოვრება. დაიბადა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და გარდაიცვალა ოცდამეერთე საუკუნის დასწყისში. იგი რევინოში დაფასებული პიროვნება იყო. გადაღებულია თემურ ჩხეიძის ფილმი „რაიკომის მდივანი“. მის მიერ მიკვლეულ ვაზის ძველ ჯიშებს შალვა წიქვაძემ მისი სახელი დაარქვა. მაგალითად როგორიცაა: დევნოსაძის შავი, დევნოსაძის თეორი, დევნოსაძის საწური. ვაზის ეს ჯიშები დარგული და გაშენებული იქნა სოფელ ხიზაბავრისა და აწყურის (სლესის) სანერვებში.<sup>18</sup>

ბატონ ბაგრატთან ერთი საინტერესო მოგონება მაკავშირებს. ერთხელ თავისთან დამიბარა, მითხრა ცუდი სიზმარი ვნახე; ბორჯომის რაიონში, სოფელ დევირში ვიყავი ჩემს ახლობლებთან ხუციშვილების ოჯახში, მინდოდა ვენახი დამეთვალიერებინა, მაგრამ ოჯახის უფროსმა არ შემიშვა. მითხრა: შენ უკვე ცოცხლებში აღარ ითვლები და იქ ვერ შეგიშვებო. მე ალბათ იმისათვის დამიძახა, რომ ეთქვა შენი დღეები დათვლილიაო. მინდა, რომ როგორც ვენახის მოსიყვარულე ადამიანს ჩემი ნაკვეთიდან სხვადასხვა ჯიშის მესხური ქურძნი უნდა გაგატანო. შენც თუ ცაცხვის ხეებს



გამომიგზავნი ფუტკრებისათვის, დიდად მაღლატეულფას  
დაგრჩებით. მან სხვადასხვა ჯიშის მესხური ვაზი გამომუანა,  
მეც დანაპირები შევასრულე. მის მიერ მოცემულმა ვაზის  
ყველა ჯიშმა და ჩემს მიერ გავზავნილმა ცაცხვის ყველა  
ძირმა გაიხარა. თვითონ კი რამოდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ამჟამად სამცხე-ჯავახეთში მესხური ვაზის მოშენებითა  
და ღვინის დაყწებით დაინტერესებული ბევრი ახალგაზრდაა.  
მათ შორის არიან მესხეთის მკვიდრნი: გიორგი ნათენაძე,  
კახაბერ ასაკანიძე, ემზარ გაჩეჩილაძე.

გიორგი ნათენაძე 2008 წლიდან დაინტერესდა მესხუ-  
რი ღვინით და მესხური ვაზით. ეს დაინტერესება ცხოვრების  
ძირითად პროფესიად და უკვე მოვალეობად ექცა. ღვინისა  
და ვაზისადმი ინტერესი მამამ გოჩა ნათენაძემ გაუღვივა.  
მისი ინიციატივით საქართველოს ისტორიაში პირველად  
2009 წელს ნათენაძების მარანში ჩამოისხა მესხური ღვინო.  
მართალია, სულ რაღაც 920 ბოთლი, თუმცა ამ ღვინოშ  
ძალიან დიდი დაინტერესება და პოპულარობა მოიპოვა  
როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ღვინის  
დასაგემოვნებლად უამრავი ტურისტი ჩამოდის მის ოჯახში.

2008 წლიდან მოყოლებული დღემდე მესხი მევენახე  
გიორგი ნათენაძე მუდმივად ეძებს მესხურ ჯიშებს. იკვლევს,  
აფესვიანებს და ამრავლებს მას. მუდმივად მუშაობს მისი  
წარმომავლობის დადგენაზე. აღმოაჩინა კახაბერ ასაკანიძესა  
და ემზარ გაჩეჩილაძესთან ერთად დღემდე უცნობი ისეთი  
ვაზის ჯიშებიც, რომლებიც თავის დროზე არ ჰქონდა  
დაფიქსირებული შალვა წიქვაშეს – სამცხე-ჯავახეთში ვაზის  
მესხური ჯიშების მკვლევარს.

2013 წელს სოფელ ჭაჭარაქში (ქალაქ ახალციხის  
მახლობლად) საკუთარი ხარჯებით გამოსახური მესხური ჯიშების  
საკოლექციო-სადემონსტრაციო ნაკვეთი. აქ თავი მოუყარა  
ვაზის მესხურ ცნობილ და უცნობ ჯიშებს. 2014 წელს

საკოლექციო ნარგაობაში დაემატა მრავალი მესხური ჯიში და საერთო რაოდენობაში დაახლოებით 32-ს მეთველი ასპინძური შავი, ახალციხური თეთრი, ბუდეშური წითელი, ბუდეშური თეთრი, ბეჟანა, თამარის ვაზი, თამარის თვალი, თავდაკიდებული თეთრი, თავცეცხლა ვარდისფერი, კლერტმაგარა, კლდის წითელი, კაბნის წითელი, კლარჯული, მამლითვალა, მესხური შავი, მესხური საფერუ, მესხური მწვანე, მესხური თითა, როკეთულა, საფარულა (საფარული თეთრი), საწური, სამარიაბო თეთრი, ჩიტისკვერცხა შავი, ჩიტისკვერცხა თეთრი, ცხენისძუა შავი, ცხენისძუა თეთრი, ცხენისძუძუ თეთრი, ხარისთვალა შავი, ხარისთვალა თეთრი, ჯავახეთურა, ჩიტისთვალა თეთრი.

2011 წელს ქ. თბილისში დიღუბის საგამოფენო ცენტრში გაიმართა ქართული სასმელების გამოფენა-ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა ქართული სასმელების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. აღნიშნული ფორუმი ორგანიზებული იყო ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ. ფორუმზე მონაწილეობა მიიღეს ძირითადად აზიანა და არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა. იმავე დროს მოხდა სამომავლო პარტნიორების გაცნობა. იაპონელი პარტნიორები, რომლებიც დაინტერესდნენ მესხური ღვინით, ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ ქალაქ ახალციხეში, აკვირდებოდნენ ყურძნის დაწურვისა და ღვინის დაყენების პროცესებს, რის შემდეგაც 2014 წელს მოხდა ღვინის პირველად გატანა იაპონიაში. მესხურმა ღვინომ იაპონელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა, რაც იმაში აისახა რომ კვლავ გაგრძელდა მათ მიერ მესხური ღვინის ექსპორტი.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი ნათენაძე მესხურ ღვინოს დააყენებს შემდეგი ჯიშის ყურძნისაგან: მესხური შავი, მესხური ხარისთვალა, ცხენის ძუძუ თეთრი. 2014 წელს მან პირველად ჩამოასხა ქვეყნში დაყენებული მესხური

შწვანე. მის მარანს ჰქვია ნათენაძის მარანი და შესულია  
ქართული ღვინის გზამკვლევში.

გიორგი ნათენაძემ 2013 წლის გაზაფხულზე ახალციხის  
ციხის განახლებულ კომპლექსში გახსნა მაღაზია „მესხური  
ბრენდი“, სადაც სხვა ქართულ ღვინოებთან ერთად  
წარმოჩენილია მესხური ღვინო, მესხური სუვენირები –  
საკუთარ ოჯახში დამზადებული და მესხური არაყი: თუთის,  
შინდის, ჭანჭურისა და ჭაჭის.



გ. ნათენაძის ღვინის მაღაზია „მესხური ბრენდი“ ახალციხის  
ციხის ტერიტორიაზე

სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ მისი მოღვაწეობით 2013  
წელს დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ  
სააკაშვილი. მან პირადად მოინახულა გიორგი ნათენაძის  
ღვინისა და სუვენირების მაღაზია და აღნიშნული  
საქმიანობისათვის გადასცა „პრეზიდენტის ლინიების ორდენი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის 2014 წელს გიორგი ნათენაძე ამჟამდ მუშაობს სოფელ ხიზაბავრის ისტორიული ტერასების აღდგენაზე. მოხდება სულ 32 ჰექტარის აღდგენა-ათვისება. სადაც ძირითადად გაშენდება მესხური ჯიშის ვაზი. იქვე აშენდება მესხური – მიწურის სტილის მარნები, ტრადიციული ქვევრებითა და ქვის საწნახელებით.

გიორგი ნათენაძემ 2014 წელს ჩამოაყალიბა „სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული მეღვინეობის ასოციაცია“, სადაც გაწევრიანდა ყველა დაინტერესებული და დამწყები მეღვინე. კვლავ განაგრძობს მუშაობას მესხური მეღვინეობის და მევენახეობის აღდგენაზე.



გიორგი ნათენაძის მესხური ვაზის სანუგე, ახალციხის რაიონი  
სოფ. ჭაჭარაქი

2014 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქ გორში ჩატარდა „ქართლის ღვინის ფესტივალი“, სადაც მონაწილეობა მიმღები 60-მდე მეღვინემ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მხოლოდ მათ, ვინც ტრადიციული მეთოდით აყენებს ღვინოს. ფესტივალზე მესხურმა მწვანემ მიიღო 2014 წლის ქვევრის სუკეთესო ღვინის სიგელი. მესხური მწვანე განსაკუთრებით მოეწონათ იაპონელებს, რომლებმაც შეიძინეს თითქმის მთელი ჩამოსხმა.




„ქართლის ღვინის ფესტივალი“ (ქ. გორი)

2014 წლის 22-30 ნოემბერს იაპონიაში, ქალაქ ოსაკაში, კიოტოში და ტოკიოში გაიმართა ქართული ქვევრის ღვინის დეგუსტაციები და სემინარები. პროგრამაში მონაწილეობდნენ ის ქართველი მეღვინეები, რომლებიც აყენებენ ნატურალური ქვევრის ღვინოს და ღვინის ექსპორტს იაპონიაში ეწევიან.

პროგრამაში მონაწილეობა იაპონელი იმპორტიორების  
მოწვევით მოხდა და მთლიანი პროგრამა ღვინის ერგონომული  
სააგენტომ დააფინანსა.

30 ნოემბერს დასრულდა ღვინის საერთაშორისო  
ფესტივალიც, სადაც მონაწილეობდნენ საფრანგეთის, იტალიის  
და საქართველოს გამორჩეული მეღვინეები. ქართულმა ღვინომ  
თავისი სიტყვა თქვა ფესტივალზე. იაპონელები, სომალელები  
და მოწვეული სტუმრები გაოცებას ვერ მაღავდნენ.

გიორგი ნათენაძეს იაპონიაში წარდგენილი ჰქონდა  
მესხური მწვანე, მესხური ხარისთავალა და მესხური ცხენის  
ძუძუ თეთრი. მესხურმა ღვინომ ხაზი გაუსვა მის  
უნიკალურობას და გამორჩეულ გემოს. მესხური ღვინო  
დაყენებული იყო ქვევრში.



გიორგი ნათენაძე იაპონიაში

კანაბერ ასპანიძის ვენახით დაინტერესება ჯერულდევნები ბავშვობის ასაკში დაიწყო. ვაზის სიყვარული პაპში ჩატარდა (მარ) ასპანიძემ და ვასილი ასპანიძემ ჩაუნერგეს. ბავშვობიდანვე პაპამ ასწავლა ვაზის მოვლა და პატივისცემა. იგი მასთან ერთად ნიჯგორში ეცნობოდა მესხური ვაზის ჯიშებს. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ სოფელ ნიჯგორში არის შემორჩენილი ყველაზე მეტი მესხური ვაზის ჯიშები. კანაბერის ვაზისადმი სიყვარული ერთგვარად უკავშირდება მისი გვარის ისტორიას. მისი გვარის თავდაპირველი საცხოვრებელი იყო შავშეთში (დადოს მოებში), თამარ მეფემ გაწეული სამსახურისა და ერთგულებისათვბის მის წინაპარს ზაქარია ასპანიძეს მიანიჭა ფანასკერტელის წოდება. სამშობლოს სიყვარულმა მისი წინაპრები XVIII საუკუნიდან ჯავახეთის მკვიდრად აქცია. მისი წინაპრები იმთავითვე დაინტერესდნენ ვაზით. მათ ჰქონდათ თავიანთი მარანი და საწახელები, რომელმაც დღემდე მოაღწია.

კანაბერი ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც დაიწყო დამოუკიდებლად ვაზის გაშენება სოფელ ნიჯგორში. მას ნიჯგორში – ტერასებიდან მოჰკონდა ვაზის სხვადასხვა ჯიშის კალმები და დამყნობისა და დაფესვიანების გზით ამრავლებდა. იგი დღემდე ემადლიერება პავლე ლონდარიძეს, რომელმაც შეასწავლა ვაზის დამწობა და რომელსაც დღესაც სოფელ საროში გაშენებული აქვს დიდი ვენახი (რამდენიმე ხეზე ასული ძირი). იმავდროულად გამოყვანილ ვაზის ჯიშებს ურიგებდა თანასოფლელებსა და ვაზის მოყვარულებს. ასევე ოჯახის პირობებში აყნებდა ღვინოს. იგი დაუკავშირდა იმ პერიოდში მესხეთში ცნობილ მევნახეს ბაგრატ დევნოსაძეს – „ბაგრატ პაპას“. მას ვენახი გაშენებული ჰქონდა ზედა ვარძიის მიმღებარე ტერიტორიაზე. მისგან წამოიღო და გაშენა ვაზის ახალი ჯიშები.

კახაბერ ასპანიძის ვაზისადმი დაინტერესების საქმეში ახალი პერიოდი დაიწყო 2011 წლის ოქტომბერში, როდესაც თუ სამცხე-ჯავახეთში საგურამოდან ჩამობრძანდა ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალის წარმოების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ლევან უჯმაჯურიძე თავის კოლეგებთან ერთად. მათი მიზანი იყო ვაზის მესხური ჯიშების შესწავლა. მათთან შეხვედრა სრულიად შემთხვევით მოხდა. მოინახულეს მისი ვენახი და საერთოდ ნიჯგორის ტერიტორიაზე შემორჩენილი ძველი მესხური ვაზი. შესწავლის მიზნით აჭრეს თოთოეული ჯიშის კალამი ფოთოლთან და ნაყოფთან ერთად. ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ვაზის ჯიშები იყო აღვილობრივი და ძირძველი. ამის შემდგომ, 2012 წლის გაზაფხულზე, ყველა ჯიშიდან ათასობით კალამი გადაიგზავნა საგურამოს სანერგე მეურნეობაში. ხოლო მომდევნო წლის გაზაფხულზე ლევან უჯმაჯურიძის მიერ მოხდა აღნიშნული ჯიშების ნამყენის (1000-მდე ძირი) გადაცემა, რომლის საფუძველზეც გააშენა ახალი ვენახი ნიჯგორში – ე.წ. კაპნებში. კახაბერ ასპანიძეს ასევე გადაეცა დაფუძვიანებული 200 ძირი სამყენი საძირები. უნდა აღინიშნოს, რომ საგურამოს სანერგე მეურნეობიდან მესხური ვაზის ჯიშების ნამყენები ასევე გადაეცათ გიორგი ნათენაძესა და ახალციხის რაბათის ციხეში – რეზო გიქოშვილს.

ამჟამინდელი მდგომარეობით კახაბერ ასპანიძეს ვენახში გაშენებული აქვს შემდეგი ჯიშის ვაზი: ცხენის ტუბუ თეთრი, ცხენის ტუბუ შავი, ხარისთვალა თეთრი, ხარისთვალა შავი, სამარიობო თეთრი, სამარიობო წითელი, კაპნის წითელი, მესხური რქაწითელი, მესხური თეთრი, მესხური თაფლისფერი, თამარის თეთრი, თამარის შავი, კლერტმაგარა, მელაკუდა, შავი ასპინძურა, კლარჯული, ბეჭანა, მესხური მწვანე, ხიხვი,



მესხური შავი, თითა თეთრი, ჩიტისთვალა, ჩიტის კურცხა, განაკვეთისა  
საინტერესო.

კახაბერ ასპანიძე სამომავლოდ გეგმავს მესხური მარნის გაშენებას, ღვინის დაწურვას საგვარეულო ქვის საწნახელეში, ჩამოსხმას და მის რეალიზებას. მას ასევე სურს, დააფუმნოს „ზაქარია ასპანიძე-ფანას კერტელის“ სახელობის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომელსაც გადაეცემა მის მიერ გაშენებული ვენახში მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი. და საერთოდ, მისი მიზანია, რომ მოსახლეობას გადასცეს თავისი სანერგე მურნეობიდან გასამრავლებლად კალმები და მესხეთში ფართოდ გავრცელდეს მესხური ვაზი.




კახაბერ ასპანიძე, სოფ. ნიჯგორი, ასპინძა

ემზარ გაჩეჩილაძის ვენახით დაინტერესება სრულდად შემთხვევით დაიწყო. მას სახლის მშენებლობისათვის სჭირდებოდა ქვის მასალა. ქვის შეგროვების მომენტში წოხტვის ღელები ნახა განსხვავებული ვაზი, რომელიც ტირიფის ხეზე იყო ასული. ვაზი გასხლა და მისი რამდენიმე რქა სახლის ეზოში დარგო. როცა ნაყოფი მიიღო, შესწავლის შედეგად აღმოჩნდა მესხური ვაზის ჯიში – სამარიობო თური, რომელიც ფაქტობრივად გადაშენებულად ითვლებოდა. ამ აღმოჩნდის შემდგომ მას გაუძლიერდა ინტერესი მესხური ვაზისადმი. თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ბავშობიდანვე იყო საერთოდ დაინტერესებული ქართული ვაზით. მას იმ დროისათვის საკუთარ ეზოში უკვე პქონდა გაშენებული სხვადასხვა ქართული ვაზის ჯიში.

ემზარ გაჩეჩილაძე წლების მანძილზე ეწევა მესხური ვაზის ჯიშების მოძიებასა და გამრავლებას. ამჟამინდელი ძღვომარეობით თავის ნაკვეთში – სოფელ ზიკილიაში გაშენებული აქვს 70 ჯიშის ვაზი. აქედან მესხურია ოცდახუთ ჯიშმაძე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი აქვს ისეთი იშვიათი ჯიშები, როგორიცაა უსახელაური, ალექსანდროული, მუკურეთული, კაბერნე, ხიხვი, ოცხანური საფერო, ბროლა, ცუცქა, ცოლიყური, კახური საფურავი, მანავის მწვანე, ოჯაღები, ალადასტური, შარდონე, ჯვარმტევანი, ალიგოტე, პინო შავი, გორულა, გორული მწვანე, თავკური. იგი აკვირდება ჩამოტანილ ჯიშებს, არავეს ადგილობრივ კლიმატთან შეგუებას და შემდეგ შერჩევის გზით ახდენს ადგილზე მათ გამრავლებას.

საინტერესოა დამწნობის მისეული ხერხებიც: მიწისქვეშა მყნობა (მარტის შუა რიცხვებში), მწვანე მყნობა (მაისის ბოლოდან ივნისის ბოლომდე) და კვირტით მყნობა – 15 აგვისტოს. იგი დაინტერესებულ პირებს აწყურისა და ახალციხის ზონაში ასწავლის მყნობის წესებს.

ემზარ გაჩეჩილაძეს ამჟამად გაშენებული აქვს სანერგეტიკული 5 ათას მირზე. – 25 ჯიშის ვაზი. ახდენს მის რეალიზაციას მირითადად სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაში. სამომავლოდ გეგმავს სანერგეს გაზრდას – 15000 ძირის გამოყვანას.



ემზარ გაჩეჩილაძის სანერგე, სოფ. ზიკილია, ახალციხე

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოკვლეული მასალიდან, ჩანს სამცხეში XX საუკუნის მეორე ნახევარში და XXII საუკუნის პირველ დეკადაში (2015 წლამდე) ხარობდა 60-მდე მესხური ჯიშის ფურძენი, მათ შორის წითელფურძიანი – 36, ხოლო თეთრფურძიანი – 24.

როგორცნ ზემოთ აღინიშნა საგურამოს მახლობლად სოფელ ჯიღაურში დაარსდა „ვაზისა და ხეხილის სარგავი მასალების წარმოების ეროვნული ცენტრი“. ცენტრში, ამჟამინდელი მდგომარეობით, თავმოყრილია 430 ქართული ადგილობრივი ვაზის ჯიში და აგრეთვე 280-მდე უცხოური ვაზის ჯიში. დასახელებული ცენტრის შექმნის მისია საქართველოში თანამედროვე ტიპის სპეციალიზირებული, მოწინავე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საბაზისო სანერგის მოწყობა, სადაც ხარისხის კონტროლის პირობების დაცვით ხორციელდება ჯიშად გარანტირებული ფიტოსანიტარულად ჯანსაღი ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების საბაზისო და სერთიფიცირებული სარგავი მასალების გამრავლება. ბატონ ლევან უჯმაჯურიძემ თავის კოლექტივთან ერთად სამცხე-ჯავახეთში მოიძია და გადაარჩინა ძველი მესხური ვაზის ჯიშები, რომლებიც გადაშენების პირას იყო. შემდეგ უსასყიდლოდ დაურიგა ისევ ამ კუთხის ახალგაზრდობას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამცხეში ვაზის მოშენებით.

2013 წელს ახალციხის ციხის ტერიტორიაზე არსებულ ტერასებზე, ციხის გამწვანების კოლექტივის მიერ, გაშენდა საგურამოს სანერგიდან ჩამოტანილი, როგორც ევროპული ასევე მესხური ჯიშის ფურძენი, დაახლოებით 160 ძირი. ვაზი აყვანილ იქნა ჭივოებზე, ისე როგორც ძველად მესხეთში აშენებდნენ. აქ დაირგო ევროპული ჯიშის სასუფრე ვაზის ნამყენი ფურძენი, როგორიცაა: სულთანინი, კარდინალი, ბურგურდული, პამბურგერის მუსკატი, (რომლის მტვანიც

იწონის 2-3 კვ-ს.). გარდა ამისა, მესხეთში გავრცელებული  
ვაზი – ჩინური და მესხური ჯიშები: მესხური საფერო, თავა  
სამარიობო, ჩიტისთვალა, მესხური მწვანე.




ახალციხის ციხის ტერასაზე ვენახის გაშენება



2014 წლის სექტემბრის თვეში მესხური ვაზით დაინტერესებულმა პირებმა: რეზო გიქოშვილმა, გიორგი ნათენაძემ, ემზარ გამეჩილაძემ და კახაბერ ასპანიძემ მოიარეს მესხეთის ის ძირითადი სოფლები და ნასოფლარები, სადაც ვენახი იყო გავრცელებული. მოგზაურობა დაიწყეს თურქეთის საზღვრიდან – ნასოფლარ ოლოდადან. იქ არსებულ ტერასებზე შემორჩენილია ძველი მესხური ვაზის ჯიშები. ქურძოდ, შავი ასპინძურა და ცხენის ძუძუ თეთრი. ყველა მათგანი ხეებზე იყო ასული და კარგად იყო შემონახული. ვარძიაში მოინახულეს იქ არსებული ყველა მარანი და საწნახელი. ნათენაძების საგვარეულო მამულში – ჭაჭკარში შემორჩენილია 400 წლიანი ვაზი – ცხენის ძუძუ თეთრი. დღესდღეობით ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დიდიმსხმოიარე.

მართლაც გიგანტური ვაზი, რომელიც ვერხვის ხეზეა ასული. კარის დამატებითი მისი დიამეტრი 40 სმ-ს აღწევს.



400 წლიანი ვაზი – ცხენის მუშა თეთრი (სოფ. ჭაჭარი)

აქ ვენახი თითქმის ყველა ხეზე იყო ასული: ვერხვზე, პანტაზე, კაკალზე, შინდზე. ექსპედიციის წევრებმა ნახეს ისეთი შინდის ხეც, რომელსაც ხელი ვერც კი შემოაწვდინეს. ჭაჭარის ჩრდილოეთი ნაწილი კლდეებითაა შემოსაზღვრული. იქ ადრეული პერიოდიდან გამოკვეთილი იყო დიდი ზომის საწნახელები (ცალმხრივი, ორმხრივი), სადაც 3-4 ტონა ყურძენი იწურებოდა, რომელსაც ათავსებდენ დიდი ზომის ქვერებში. ისტორიკოს სერგო ხოსიტაშვილის ინფორმაციით, თვითონ მას მოუძიებია და დაუფიქსირებია მარტო ჭაჭარის ტერიტორიაზე 42 ასეთი საწნახელი, რომლის მსგავსიც

სხვაგან არ ფიქსირდება. ხეებზე ასული ასწლიანი ვენახში ასევე მოინახა მინაძის, კლდის და სხვა სოფლების ტერიტორიაზე ებზეც. ექსპედიციის წევრებმა აიღეს ყველა ჯიშიდან ვაზის ლერწები ფოთოლთან ერთად, რომელიც გადაგზავნილ იქნა საგურამის ლაბორატორიაში გამოსაკვლევად.

საყურადღებოა ისიც, რომ ექსპედიციის წევრები სოფელ ჭაჭარში შეხვდნენ იქ მცხოვრებ 78 წლის მალვა ნათენაძეს, რომელიც არის ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დამთავრებული აქვს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი, არის ხუთი მონოგრაფიისა და ასზე მეტი სტატიის ავტორი. დღესდღუობით დასაქმებულია სამუნიციპალიტეტის მოღვაწეობით და სოფელში შემორჩენილი ვენახისა და საწნახელების მოვლით. ჭაჭარის მიმდებარე ტერიტორიაზე



მდებარეობს ბატონ შოთა ნათენაძისა და ქალბატონ ასპათ დიასამიძის მიერ აღდგენილი მამა-ჟაპურული ტერასები, სადაც მათ გააშენეს გადაშენების პირას მისული ბალ-ვენახები. ამასთანავე, აღადგინეს ეკლესია და მისი შემოგარენი წალკოტად აქციეს. ამით უდიდესი მამულიშვილური მისია შეასრულეს.

ექსპედიციის წევრებმა მესხური ვაზის 30-მდე ძირძველი ჯიში დააფიქსირეს სოფელ ნიჯგორის ტერიტორიაზე. მათ, ასპათის რაიონის გარდა, ასევე მოარეს ახალციხის რაიონიც. კრძოდ, სოფლები: კლდე, წნისი, ზიკილია და აწყური.

2014 წელს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე განხორციელებულმა ექსპედიციამ ნათლად დაადასტურა, რომ მესხეთში ოუ დროზე არ მიექცევა ყურადღება მევენახეობის საქმეს, სავალალო შედეგი ექნება.

## 2063 პენახის გაშენებას პირობებს

ვენახის გაშენება გარკვეული პირობების გათვალისწინებას მოითხოვს. უპირველესად სწორად უნდა შეირჩეს ნაკვეთი, რათა დაცული იყოს ქარისაგან. გამოუსადევარია დაწრდილული აღვილები, ციცაბო ფერდობები, სასურველია შეირჩეს სამხრეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი ფართობის ნაწილი, ნიადაგი კი ყოველგვარი გამოდგება, გარდა დაჭაობებულისა და ჭარბქირიანისა. ამასთანავე, ვენახის გასაშენებლად შერჩეული რადაგი უნდა იყოს ნოყიერი, ფხვიერი, წყლის კარგი გამტარი და წვრილი ქვანარევი.

მას შემდეგ, რაც ნაკვეთი შეირჩევა, ვაზის დარგვის წინ უნდა მოხდეს ნიადაგის ღრმად დამუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ტენის შენარჩუნებას, ფესვებისაკენ იზრდება

ჰაერიზაცია და აქტიურად მიმდინარეობს, როგორც მიკროორგანიზმების მუშაობა, ასევე ორგანულ ნივთებრუმათათავა დაშლა, მინერალიზაცია და მათი წყალში გახსნა, მცენარის მიერ შეთვისება, რითაც აგებულია მთელი მცენარის ორგანიზმი.

ნიადაგი უნდა დამუშავდეს შემოდგომაზე, დარგვამდე დაახლოებით ექვსი თვით ადრე უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი სამუშაოები. კურძოდ, გაკეთდეს ღრმა ხნული (ე.წ. პლანტაჟი) 80 სმ-ის სიღრმეზე, მასში შეტანილი უნდა იქნეს ორგანული და მინერალური სასუქები. კარგი იქნება თუ მასში შევიტანთ კომპოსტს, რომელიც 3-4-ჯერ უკეთესია დამწვარ ნაკელზე.

კომპოსტი საუკეთესო ორგანული სასუქია, დაკომპოსტების მაგალითს თავად ბუნება გვაძლევს - ტყეში ეს პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობს: ჩამოცვენილი ფოთლები, მცენარის გამზარი ნაწილები და სხვა. ორგანული ნარჩენები, ნიადაგის მიკროორგანიზმების ზემოქმედების შედეგად, ნაყოფიერ ტყის მიწად გარდაიქმნება. კომპოსტი ერთი მხრივ აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას და მეორეს მხრივ, უზრუნველყოფს მცენარეებს სასარგებლო ნივთიერებებით. კომპოსტი შემდეგნაირად მზადდება: ვენახის ნაკვეთის ერთ ნახევრად ჩრდილ ტერიტორიაზე უნდა ამოიჭრას მიწა ერთ მეტრ სიღრმეზე. უკეთესია თუ სიგანე იქნება ერთი მეტრი, სიგრძე სამ-ოთხ მეტრამდე. ორმოში უნდა ჩაიყაროს ნებისმიერი ორგანული მასალა, ნებისმიერი სახლისა თუ ბაღის ორგანული ნარჩენები, კომპოსტისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნეს ბაღის ყველა ორგანული ნარჩენები, გარდა ამისა შინაური ცხოველების ნაკელი, მატყლის ნარჩენები, ბამბული ბეწვი, სამზარეულოს ნარჩენები (ორგანული), ჩამოცვენილი ფოთლები, ხეხილის ბუჩქნარისა და ვაზის ანასხლავი, ნახერხი, ხის ქრქი, ნაცარი, ჩალა, კვერცხის ნაჭუჭი და სხვა.<sup>19</sup>



კომპოსტი ფენაფენა მზადდება, პირველ უფრო და დაქუცხაცებული ბუჩქნარის (ვენახის ანასხლავი) ფიჩქნაში ნახერხი, ჩაღა ან სხვა ძნელადშელადი ნარჩენები უნდა ჩაიყაროს. შემდეგ ფენად გამოდგება ნებისმიერი ორგანული ნარჩენები: ნაფუჭებული, ნაჭუჭები და ა.შ. ნებისმიერი ნაკელი, ჩამოცვენილი ფოთლები, სარეველა (საჭიროა რომ ყოველივე ეს დაახლოებით 10-40 სმ-იანი ფენის სახით გაიშალოს). ყოველივე ამას ბაღის 5 სმ-იანი მიწის ფენა უნდა მოყაროს, ღებავ დაინამოს და ცელოფანი გადაეფაროს, რადგან ძლიერმა წვიმებმა ძალზედ არ დაასველოს. დროთა განმავლობაში მას ცელოფანი უნდა მოსცილდეს და მოხდეს მისი ამორფა, ექვსი თვის შემდეგ კომპოსტი მზად იქნება. კომპოსტის შეტანა ნიადაგში ნებისმიერ დროს შეიძლება. კერძოდ, ერთი კვ.მ მიწის ფართობში – 8 კგ კომპოსტი. ერთი წლის განმავლობაში შეიძლება შეტანილი იქნეს რამოდენიმეჯერ, რითაც საუკეთესო სასუქი მიეწოდება მცენარეს.

ვაზის დარგვა შესაძლებელია როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე. მიზანშეწონილია შემოდგომაზე ვაზის დარგვა დამთავრდეს ყინვის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 ნოემბრისა. ვაზის დარგვა მესხეთში დაწყებული უნდა იქნეს გაზაფხულზე, როდესაც ნიადაგში ტემპერატურა 10-15 გრადუსს მიაღწევს არაუგვიანეს 15 აპრილისა, ორივე შემთხვევაში ვაზი უნდა დაირგოს ორმოში.

გაზაფხულზე დაფესვიანებული ნამყენით ვაზის გაშენების შემთხვევაში, როდესაც საჭიროების მიხედვით მორწყვის შესაძლებლობა არსებობს, კოკოლების გაკეთება საგალდუბულო არ არის. (კოკოლა – ახლად დარგულ ვაზის კალამის ზემოდან შემოყრილი გაფხვიერებული მიწა) კოკოლაზე დაყრილი მიწა უნდა მოსცილდეს 15 დღის შემდეგ, ვინაიდან კოკოლებზე გაღვიძებული ჰყირტი ივნისის მეორე ნახევრამდე ვერ ამოდის მიწის ზევით, ხოლო კოკოლაზე თეთრად ამოსული



გაუხევებული და სუსტი ყლორტი შემოდგომამდე ვერ გამოდგენა ასეთის გამოც ნაკლებ ყინვაგამძლეობას იჩენს, ხოლო კოკოლების გარეშე გაშენებული ვაზი 20-25 დღეში იწყებს კვირტების გაშლას და ყლორტების განვითარებას, რომელიც შემოდგომამდე მეტად მკვრივი აგებულების მერქანს ინვითარებს და უფრო მეტ ყინვაგამძლეობას ავლენს. შემოდგომაზე გაშენებულ ვაზს ზამთრის ყინვებისაგან დასაცავად აუცილებლად უნდა გაუკონდეს 15-20 სმ სიმაღლის მიწის კოკოლები.

საქართველოში და შესაბისად მესხეთშიც ვაზის გაშენების რამდენიმე წესი არსებობს:

### ჭიგო ვაზის აყვანა

ჭიგო დამზადებული უნდა იყოს ისეთი ხისაგან, რომელიც დიდხანს ძლებს (აკაცია, მუხა, იფანი, ნეკურჩალი, უხრავი და სხვა). სამწუხაროდ ყველა მათგანის გამოყენება კანონით დაუშვებელია. ამიტომაც ჭიგოები შეიძლება დამზადდეს შედარებით მსუბუქმერქნიანი ჯიშის ხეებისგანაც, როგორიცაა ნაძვი, ფიჭვი და სხვა. სასურველია ჭიგო სიმაღლით იყოს 2-2,5 მ. სიმაღლისა და 6-10 სმ-ის დამეტრის, რომელიც უნდა გაიქრქოს და კარგად გამოშრეს. თუ მას ძირში გაუკეთებოთ რკინის მილს და ისე ჩავასობთ მიწაში უკეთესია, რადგან მას შეუნარჩუნებს გამძლეობას. მანძილი ჭიგოებს შორის სასურველია იყოს 1,5 მეტრი, რათა თავისუფლად შევძლოთ ვაზის მოვლა, ვაზი ჭიგოზე უნდა აიკრას ისეთი მასალით, რომელიც არ დაზიანებს მას. ნამყნი ვაზი თავიდან უნდა დავტოვოთ ორ კვირტზე, შემდევ კი, როდესაც ყლორტი გახდება 20-30 სმ-ის, სუსტი ყლორტი მოვაცალოთ და იგი

დაკტოროთ ქრთ ყლორტზე, რათა უფრო ძლიერ გაიზარდეს უკან  
პარალელურად ფესვთა სისტემაც მოახწრებს განვითარების შემთხვევა  
და დროულად უზრუნველყოფს საკვების მიწოდებას.

## პაზის პულტურა შპალზე

ვაზის აყვანა შპალზე ხასიათდება მთელი რიგი დადგითი  
მხარეებით. ვაზის საყრდენის ამ წესით ძირითად მასალად  
მოითხოვს რკინისა და ბეტონის ბოძებს და მავთულს.  
შპალების საყრდენს აქვს შემდეგი უპირატესობა:

- შპალზე დაყენებული ვაზის ორგანოები თანაბრად  
სარგებლობენ მზის სხივებით და განათებით, რასაც დიდი  
მნიშვნელობა აქვს ზრდა-განვითარებასა და მომავალზე.

- შპალზე დაყენებული ვაზი უკეთესი ხარისხის პროდუქტს  
იძლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეს სუფრის ფურმნის  
ჯიშებისათვის, შპალზე განვითარებული ფურმნი ნაკლებად  
განიცდის ლპობას, როგორც მოსავლის აღებამდე, ისე მისი  
შენახვის პერიოდშიც.

- საყრდენის ეს წესი ხელს უწყობს რა დიდი დატვირთვის  
ვაზების ორგანოების უკეთესად განაწილებას სივრცეში,  
ადიდებს ვენახის მოსავალს და მის ხარისხს.

- ვაზის შპალზე დაყენების დროს საგრძნობლად გაადვილებულია  
მავნებლებისა და დაავადებების წინააღმდევ ბრძოლა.

- ეს წესი ხელს უწყობს მექანიზირებულ საშუალებათა  
უკეთესად გამოყენებას.

გამოკვლეულებმა გვიჩვით: რომ ძალზე დაბალ შპალზე  
(25-30 სმ) ვაზის დაყენებისას ტევნების მიწასთან ახლოს  
ყოფნის გამო ფურმენი წვიმის შხეფებით ზიანდება და ხშირად  
ლპება. ყლორტების ნიადაგთან ახლოს ყოფნის გამო, რადგან  
ნიადაგის ზედაპირზე მზის რადიაცია უფრო ძლიერია,

დაბალშტამპიანი ვაზი გაზაფხულის წაყინვებით, მეტად ზიანდება. კლევებმა გვიჩვენა, რომ 40 სმ სიმაღლის შტამპში ზამთრის ყინვებით ზიანდება კვირტების 45%. 90 სმ სიმაღლეზე 30%, 150 სმ სიმაღლეზე 23%. მიზანშეწონილადაა მიწნეული, რომ ევროპული და შემოტანილი ქართული ვაზის ჯიშები გავაშენოთ ფერდობზე 40-45 სმ სიმაღლის შტამპზე, დაბალი ზონის ვაკე ნაკვეთებზე 80-90 სმ სიმაღლის შტამპზე, ხოლო ადგილობრივ ვაზის ძველი ჯიშები 100-120 სმ სიმაღლის შტამპზე დავაყენოთ.

## ტვრილმავთულიანი შპალები

შპალების მოსაწყობად ძირითადად საჭიროა მწკრივის ბოლოებში და შუალედებში დასაყნებელი ბოძები და მავთული. ძირითადი ბოძები შეარად უნდა იქნეს დაყნებული, დაყნდეს როგორც ვერტიკალურად ისე გადახრილად, შუალედური ბოძები უნდა დაცილდეს ერთმანეთს 6-8 მ-ის მანძილზე, მავთულის გაბმა უნდა მოხდეს სამ მწკრივად, პირველი მწკრივი მიწიდან უნდა იყოს 70 სმ-ის სიმაღლეზე, აქ გაიძება ქრთი მავთული. მეორე მწკრივი 35 სმ-ის სიმაღლეზე ორმაგი მავთულით, მესამე მწკრივი 50 სმ-ის სიმაღლეზე, ასევე ორმაგი მავთულით. მავთული უნდა იყოს 2,5 მმ სისქის. მონიკელებული რკინის მავთული არ შეიძლება, რადგან იგი დაუანგდება და დროთა განმავლობაში გაწყდება. შუალედურ ბოძებზე მავთულის დამაგრება ხდება წვრილი მავთულით, თავსა და ბოლოში საჭირი მოწყობილობით, რომლითაც ყოველწლიურად მოხდება მისი დაჭიმვა, მეორე და მესამე რიგის მავთულები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმწკრივიანია, ეს იმისათვისაა, რომ შუაში გაუუშვათ ყლორტები, რომელიც შემდგომში თავისით დამაგრდება

წვიარებით, პირველ სართულზე კი ყლორტებს დავაბამთ თოკით. ვენახში მწკრივებს შორის მანძილი უნდა იყოს 1.25-1.50მ.

მესხეთში მისდევენ ვაზის კულტურის მაღლარად გაშენებას და მის საყრდენად გამოყენებულია ცოცხალი ხეები ან ხელოვნური სხვადასხვა სახის მაღალი საყრდენები (ტალავერები). საყრდენები ძირითადად რკინის მიღებისგანაა დამზადებული. სასურველია მისი სიმაღლე 2-2.20მ იყოს, რათა აღვილად ხდებოდეს ვაზის მოვლა და ფურთის დაკრეფა, ვაზებს შორის მანძილი სასურველია იყოს 2-2.5მ. ეს ვაზის სიძლიერებულია დამოკიდებული. მძლავრი ვაზების დაცილების მანძილი უფრო მეტი უნდა იყოს.

მაღნარს ის უპირატესობა აქვს, რომ მისი მოსავლიანობა 4-5 ჯერ მეტია დაბლნართან შედარებით.

## ვაზის სხვლა

გასხვლა, როგორც მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება მესხეთში, უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. ვაზი მოსავლიან ყლორტებს იძლევა იმ კვირტებიდან, რომლებიც განვითარებულია წლიურ ნაზარდზე. აქედან გამომდინარე, ზუსტად არის შერჩეული სასხლავი ნაწილები; გასხვლის დროს ამ კვირტების მეტი რაოდენობით დატოვება იწვევს მეტი მოსავლიანი ყლორტების განვითარებას; ვაზზე რამდენადაც მეტი ყლორტია განვითარებული, იმდენად ცალკეული ყლორტების განვითარება სუსტია. ეს ყლორტების თანაბარი განვითარებისათვის აუცილებელია რქის ვერტიკალური მდგომარეობის დარღვევა, რისთვისაც შემოღებულია „შეყელვა“. განსაზღვრული ფორმის შენარჩუნებისათვის და მეტი მოსავლის მისაღებად საჭიროა

მომზადდეს ყოველწლიურად საფორმე ელემენტები და მათი საუკეთესოდ განვითარების უხრუნველსაყოფად ვაჭიშქე ტოვებენ მოკლე ორკვირტიან რქას – „სამამულეს,” რადგან ვაზის გაფორმება ითვალისწინებს განსაზღვრული სიძალვის შენარჩუნებას.

გასხვლის მიზანია მაღალხარისხიანი და რეგულარულად შზარდი მოსავლის მიღება. ვაზის გასხვლა უნდა დავიწყოთ კვირტების დაბერვამდე, კარგი იქნება თუ ამ დროს ვაზი მოირწყვება, რადგან ის ვეგეტაციას შეაჩერებს კიდევ ერთი კვირით, რაც გვიანი ყინვებისაგან გადაარჩენს

## ვაზის მავნეაბლები და მათ ფინააღმდეგ ბოძოლის მეთოდები

ვაზს 60-მდე სახეობის მავნებელი ჰყავს, ყველა მათგანი შწერების კლასს განეკუთვნება, გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე სახის ტკიპა და თაგვისფერი მღრნელი.

ვაზის მავნებლებთან საბრძოლველად იყენებენ შემდეგ მეთოდებს: აგროტექნიკურს, ფიზიკურ-მექანიკურს, ბიოლოგიურსა და ქიმიურს. მათგან ყველაზე მეტად გამოიყენება ქიმიური და აგროტექნიკური მეთოდები. უფრო ნაკლებად კი ფიზიკურ-მექანიკური და ბიოლოგიური.

აგროტექნიკურ მეთოდს ძირითადად ეკუთვნის პროფილაქტიკური ღონისძიებაში. მევნენახეობაში მიმართავენ შემდეგ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს: მავნებლებისაგან თავისუფალი ნიაღავის შერჩევა, მავნებლებისადმი გამძლე და შედარებით იმუნური ჯიშების გამოყენებას, მავნებლებისაგან თავისუფალი და წლიური ნამყენის შერჩევას, სარეველების



მოსპობას, გამძლე საძირე ვაზთა სადედეში მიწით ვაზუქის უკანასია  
დაფარვას და სხვა.

ფიზიკურ-მექანიკური მეთოდის გამოყენება ხდება მაშინ,  
როდესაც მავნებლები მასობრივია და ადვილად დასანახ  
ადგილებში იმყოფება.

მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიური ბრძოლის მეთოდი  
გულისხმობს მავნებლების ბუნებრივი მტრების: მწერების,  
ფრინველების, ბაქტერიების, სოკოვანი დავადებების და სხვათა  
გამოყენებას.

მავნებლების წინააღმდეგ ბიოლოგიურ-ქიმიური მეთოდი  
გულისხმობს სხვადასხვა ნივთიერებების გამოყენებას,  
რომელსაც უწოდებენ ინსპექტიციდებს.<sup>21</sup>

## ვაზის ფამლობა

ვაზის ერთ-ერთი დაავადებაა ჭრაქი. ჭრაქის თავიდან  
აცილებისათვის საჭიროა პირველი წამლობა ჩატარდეს მისი  
საწინააღმდევო წამლით, როდესაც ვაზის ყლორტები 20  
სმ-მდეა. მეორე წამლობა უნდა ჩატარდეს ვაზის ყვავილობამდე,  
მესამე – ყვავილობის შემდეგ, მეოთხე – შეხედულებისამებრ.  
წამლობა ტარდება წყნარ ამნდში ცვარის შეშრობის შემდევ<sup>22</sup>

## ვაზის მღვანე რამაპილები

ვაზის მწვანე ოპერაციებიდან მნიშვნელოვანია ნამხერის  
(ზედმეტი ყლორტი) შეცლა. ნამხერის შეცლა უნდა  
ჩატარდეს ვეგეტაციის პერიოდში 2-3-ჯერ, ერთი ყვავილობამდე,  
მეორე და მესამე ყვავილობის შემდეგ. ნამხერის დაგვანებით  
შეცლის შემთხვევაში ზედმეტად იხარჯება საკვები ნივთიერება,

იბერება ვაზები და სწრაფად ვითარდება სოკოვანი დაავადებანი. გარდა ამისა გახევებული ნამხერი შეცლა სასაცლელი ხდება. ნამხერის ნაადრევად შეცლა იწვევს საასიმილაციო ზედაპირის შემცირებას. ამიტომ, ნამხერის წვერის წაწყვეტა უნდა ჩავატაროთ ისე, რომ დავუტოვოთ ორი ზრდადამთავრებული ფოთელი.

უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი ნამხერის შეცლა, რომელ- ზედაც მტევანია გამოტანილი დაუშვებელია. ასეთ ნამხერზე წავაწყვეტოთ წვერის შემოუსვლელ ფოთლებს და დანარჩენს დავტოვებთ მოსავლის მისაღებად.

ივნისის თვეში ვატარებთ ცის გახსნას, და ზრდადაუმთავრებელი ყლორტების წაჭრას. ცის გახსნით ვაზები მზის სხივებით მეტად სარგებლობენ, რაც ხელს უწყობს ყურძნისა და რქების დამწიფებას, ხოლო ჰაერაციის გაძლიერების გამო ხელი ეშლებათ რქოვანი ავადყოფობის განვითარებას.

ვაზის მწვანე ოპერაციები უკამირდება მწვანე ნაწილების მავთულზე ან ჭიგოზე აკვრას (ახვევას) რითაც პირველ აკვრას ვიწყებთ, როდესაც ყლორტების სიმაღლე 30-45 სმ-ს მიაღწევს. მეორედ ავაკრავთ, როცა ყლორტები 60-80 სმ-მდე გაიზრდება, მესამედ კი საჭიროების მიხედვით.

## ვაზის მორწყვა

მესხეთში, კლიმატის გათვალისწინებით, ვაზის მორწყვა უნდა ჩატარდეს შემდეგ ვადებში. პირველი მორწყვა:

22-27 მაისს, კვირტის გაშლამდე. მეორე 6-11 ივნისს. ე.ი. ყვავილობის დამთავრების შემდეგ. მესამე მორწყვა 1-5 აგვისტოს – ყურძნის სიმწიფის დასაწყისში. ღვინის ხარისხის დასაცავად უკანასკნელი მორწყვა უნდა ჩატარდეს დაკრეფამდე 15-20 დღით ადრე. სასურველია ვაზი მოირწყვეს

ყურძნის დაკრეფის შემდეგაც, რომელსაც ტენდაგრუფთა და  
რწყვა ჰქვია. მორწყვის ვადებისა და ნორმების დაცვისთვის  
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა კულტურის  
მოსავლიანობის გადიდებისათვის. ვნახის, როგორც ხშირი  
მორწყვა, ისე ნიადაგის ზედმეტი სიმშრალე ორივე  
დამღუპველია ვაზისათვის. როგორც ზედმეტი სიმშრალეში,  
ისე ზედმეტი სინესტეში, სუსტდება ნიადაგში  
მიკროორგანიზმების მოქმედება, წყლება ორგანულ ნივთიერებათა  
მინერალიზაცია და მათი მიწოდება მცენარეთათვის, ამის  
შედეგად სუსტდება ასიმილაციის პროცესი და მცირდება  
ნახშირწყლების დაგროვება, ნაკლებად იმოსება მცენარე  
მუმაფოთლებით და არსებულიც ყვითლდება, ვაზი სუსტდება  
და ნაკლებგამძლეა ყინვების მიმართ. სასურ-ველია ყურძნის  
დაკრეფამდე ერთი თვის განმავლობაში მოვერიდოთ ვენახის  
მორწყვას, რადგანაც მაშინ ხდება ყურძნის დამწიფება და  
შაქრიანობის მომატება, იმ დროს მორწყვის შედეგად  
საგრძნობლად ვარდება ყურძნის შაქრიანობა, რაც შესაბამისად  
იმოქმედებს ღვინის ხარისხზე. აღსანიშნავია ისიც, რომ  
მორწყვის ნორმალური რეჟიმი ზრდის მცენარეში  
ყინვაგამძლეობას.

## როგორ დავიცვათ ვენახი ყინვისაგან?

ცნობილია, რომ მოყინული ვაზი ან არანორმალურად  
ვითარდება, ან მოლიანად იღუპება. ვაზის მოყინვის სიძლიერე  
დამოკიდებულია ტემპერატურის დაცემის სიძლიერესა და  
მის ხანგრძლივობაზე, ხოლო ვაზის ყინვაგამძლეობა ვაზის  
კიშე, ნიადაგზე, რელიეფზე, აღილდებარეობაზე, აგროტექ-  
ნიკურ ღონისძიებაზე, შეტეოროლოგიურ პირობებსა (ცივი

ქართ, თოვლის საბურველი) და სხვა ფაქტორებზე. მოყინულ ვაზს მერქანში ემჩნევა მუქი ყავისფერი ზოლები და ლაქები, ხოლო ლაფანი კარგავს მწვანე ფერს.

მოყინული ვაზის კვირტები ღებულობენ მუქ შავ ფერს, ხელის შეხებისთანავე ძირში წყდება და ვარდება. აღსანიშნავია, რომ ვაზები, რომელთაც ძლიერი ზრდა ახასიათებს, ნაკლებ ყინვაგამძლეობას იჩინენ, ხოლო ის ვაზები, რომლებსაც ნელი ზრდა და მკვრივი აგებულების ტანი აქვთ, მუდამ ყინვაგამძლეობით ხასიათდებიან. გარდა ამისა, ისიც შემჩნეულია, რომ ურწყავ პირობებში აღზრდილი ვაზი მეტ ყინვაგამძლეობას იჩინს, ვიდრე სარწყავ პირობებში ლაღად ნაზარდი ვაზი. ყინვებისაგან ვაზი იქ უფრო ზიანდება, საღაც ნიაღავის ტენიანობა დიდია. მდინარის პირზე გაშენებული ვაზი, რომელიც ხასიათდება ძლიერი ზრდით, ყინვისადმი ნაკლებ გამძლეობას იჩინს, როგორც ზამთარში, ისე გაზაფხულზეც. ვინაიდან გაზაფხულზე მიწის შეთბობისთანავე აორთქლებული წყლის ნისლი ფარავს ვაზს, ასველებს და ყინვის დაწყებისთანავე იყინება.

როგორც შალვა წიჭვაძე მოუთითებს ვაზის ყინვაგამძლეობა ბევრადაა დამოკიდებული თვით ვაზის ჯიშზეც. ყინვაგამძლე ჯიშების შერჩევის დროს უპირატესობა უნდა მიეცეს იმ ჯიშებს, რომლებიც გაზაფხულზე გვიან გამოღვიძებით ხასიათდებიან, ამით თავიდან ავიცილებთ გაზაფხულის ყინვებისაგან ვაზების მოყინვის საფრთხეს.

აქედან გამომდინარე, კენახის გაშენების დროს მესხეთში უპირატესობა უნდა მიეცეს ვაზის იმ ადრეულ ჯიშებს, რომლებიც გვიან გამოღვიძებით და ადრე მოსავლით ხასიათდებიან. ე. უპირატესობა ყურძნის სიმწიფის მიხედვით უნდა მიექცეს ისეთ ადრეულ ვაზის ჯიშებს, რომლებსაც მოკლე სავეგეტაციო პერიოდი აქვთ და შემოღვიძის სიცივეების დაწყებამდე ასწრებენ როგორც ყლორტების მომწიფებას, ისე ყურძნში შაქრის საკმაო ოდენობით დაგროვებას.



ადრე გაზაფხულზე გასხლული ვაზი, რომელიც ადრე გაღვიძებით ხასიათდება, დიდი რაოდნობით ღვრის წვენს გაზის გადანაჭერი ლერწმიდან, რომელიც ესხმება ვაზის კვირტებს და ასველებს. ვაზის ზოგიერთ ჯიშს დღე-ღამის განმავლობაში შეუძლია გადმოაქციოს 2-3 ლიტრი წვენი, რის გამოც დასკვლებული კვირტები გაზაფხულის ყინვების დაწყებისთანავე იყინებიან. ამიტომ, სასურველია ვაზი გაისხვლას გვიან გაზაფხულზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვაზის ტირილი გვიან გაზაფხულზე უფრო ძლიერია. მაგრამ გადმოაქცეულ წვენში შძრალი ნივთიერება იმდენად მცირეა, რომ ეს მეტად უმნიშვნელო დანაკლისია იმ დიდ ზიანთან შედარებით, რომელიც მოაქვს ადრე გაზაფხულზე გასხლული ვაზების მოყინვას. ამიტომ, უპირატესობა უნდა მიეცეს გვიან გაზაფხულზე ვაზების გასხვლას (აპრილის მეორე ნახევარი).

მესხეთში მაისის ყინვების დროს ვაზის მოყინვის თავიდან აცილება შესაძლებელია აგრეთვე გაზაფხულზე კვირტების გამლის შეგვიანებით და ნიადაგის გაციებით, რისთვისაც საჭიროა:

- ა) ზამთარში ვაზის ძირში თოვლი შევაგროვოთ და მოვუტებებით.
- ბ) ადრე გაზაფხულზე ჩავატაროთ ვენახის მორწყვა.

## ტყის მნიშვნელობა ვაზის ზრდა- განვითარებისათვის

ახალქალაქის რაიონი, რომელიც ზღვის დონიდან 1715 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ოსმალთა შემოსევამდე ვენახით ყოფილა დაფარული. მას შემდევ რაც, თურქებმა გადაწვეს ჯავახეთში ტყე, რომელიც შვიდი წლის

განმავლობაში იწყოდა, არც ერთი ძირი ვენახი იქ აღარ  
გადარჩენილა.

მიზეზი ნათელია, ტყის დიდი მასივები უდავოდ უწყობდა  
ხელს მევენახეობის განვითარებას. ამგვარად, ტყებმ და  
ტყის საცავმა ზოლებმა, რომელიც საქართველოში გაშენდა  
გასული საუკუნის 50-იან წლებში საგრძნობლად შეცვალა  
ბუნებრივი კლიმატი, ვინაიდან ტყეები იცავენ სოფლის  
მურნეობის კულტურებს, როგორც ცხელი, ისე ცივი ქარების  
გავლენისაგან. დაკვირვებით დადგენილია, რომ ყველა 20-25  
მ-ის სიმაღლის ნარგავებს შეუძლიათ დაფარონ 100-200  
მ-ის სიგრძის ფართობზე სახოფლო-სამურნეო კულტურები  
ცივი ქარების გავლენისაგან. ტყით დაფარულ ტერიტორიაზე  
ჰაერის მოძრაობის შენელების გამო 12-15% -ზე მეტია  
ნიადაგის სინოტივე, ვიდრე ტყით დაუფარავი ადგილები.

## რჩევები მოყვარულ მევენახებს

- ვენახის ფესვის განვითარებისათვის აუცილებელია ხელსაყრელი პირობები: ტენი, სითბო და ჰაერი.
- ვეგეტაცია იწყება მაშინ, როცა ნიადაგი გათბება 6-8 გრადუსამდე.
- ვაზის ყლორტი ივნისის თვეში 25 გრადუს ტემპერატურის დროს დღე-ღამის განმავლობაში იზდრება 10 სმ-მდე.
- ვაზის ყვავილობა იწყება მაისის ბოლოსა და ივნისის დასაწყისში, რომელიც გრძელდება თოთხმეტ დღემდე, ყვავილობა იწყება დილის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე, ის ძლიერად მიმდინარეობს 25-30 გრადუს ტემპერატურის დროს, 15 გრადუს ტემპერატურაზე დაბლა უჭირს ყვავილობა,

არ უყვარს მშრალი და ტენიანი ჰავა, ყვავილობის დორს კენახში არავითარი ოპერაციები არ უნდა ჩატარდეს იმით, რომ ეს გენერაციები არა არის მოსავლიანობა და მოკიდებულია

- ვაზის ზრდა-განვითარება, მოსავლიანობა და მოკიდებულია ტემპერატურათა ჯამზე. მესხეთში ტემპერატურის ჯამი მერყეობს 2800-3000 გრადუსამდე.

- 40 გრადუს ტემპერატურაზე ხდება ვაზის გარკვეული ნაწილების დაზიანება. კერძოდ, ვაზის ფოთლებზე ჩნდება სიდამწვრე.

- ვაზის მწვანე ნაწილები იყინება -2,5 გრადუს ტემპერატურაზე, ხოლო ყურძენი უძლებს -4 გრადუსამდე ტემპერატურას.

- ვაზის ყლორტები იყინება -26 გრადუს ტემპერატურის დროს.

- დადგენილია, რომ ყოველ 170 მეტრზე ზღვის დონიდან ტემპერატურა ეცემა -1 გრადუსით.

- ყველაზე მაღლა ვაზი იზრდება ზღვის დონიდან 3000 მ-მდე.

მესხეთში ნორმალურად ითვლება ვაზის გაშენება ზღვის დონიდან 800-1200 მეტრ სიმაღლემდე სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე – მზის გულზე, რომლებიც დაცულია ცივი ქარებისაგან. პლანტაციებისათვის ყველაზე ხელსაყრელი დროა გვიანი შემოდგომა. ეს დრო აუცილებელია ნიადაგის დაჯდომისათვის და ბელტების დამლისათვის. პლანტაცი ხელით ტარდება 80-სმ-ის სიღრმეზე (დრომულების სახით) ნაკვეთი სიგანეზე ითხრება 1 მ-ის ზომაზე, ორმოს შევსებისას ჯერ იჭრება ზედა შრე, შემდეგ კი ჭვედა, რადგან ზედა შრე ჰუმუსოვან ფენას წარმოადგენს. როცა ორმოში მიწის ზედა შრე იყრება ძირში, შემდეგ შეიძლება მივცეთ დამწვარი ნაკელი, ლაში, კომპოსტი, კომინირებული სასუქი (რომელმიც შედის აზოტი, ფოსფორი, კალიუმი) გამოცდილებამ აჩვენა, რომ სასურველია შეი აკრიოს

გარეცხილი შებელი (დაქუცმაცებულ ქვის ნამსხვრევები), რომელიც ხელს შეუწყობს ნიადაგის ჰაერის გამტარითობას, უნარჩუნებს სითბოს, რაც მეტად სასარგებლოა ფესვთა სისტემის განვითარებისათვის.

ვენახის დარგვის საუკეთესო პერიოდია აპრილის თვის პირველის ნახევარი, თუმცა ვაზი შეიძლება დაირგოს ნოემბრის პირველ ნახევარშიც, შემოდგომის ყინვების დაწყებამდე. ამ დროს მიწის ტემპერატურა არ უნდა იყოს 0 გრადუსზე ჭრვით, რადგან ვაზის ფესვები მგრძნობიარეა სიცივის მიმართ. ვაზი დარგვისთანავე უნდა მოირწყოს.

ვაზის დარგვისას საჭიროა მანძილების დაცვა, როგორც მწკრივში ასევე რიგებში. მწკრივებს შორის მანძილი უნდა იყოს დაბლნარში 1.25-1.50 მეტრი; მაღლნარში კი 2-2.50 მეტრი, რიგებში 3-4 მეტრი.

ვაზის პირველ წელს უნვითარდება მძლავრი ყლორტები, ის არ უნდა წავაცალოთ, ასევე არ უნდა წავაცალოთ ყველა ნამხრევი, რადგან ის იწვევს ვაზის ფოთლის შემცირებას და ვაზის შესუსტებას.

რიგთაშორის არ შეიძლება მაღალტანიანი მცენარეების დარგვა-გაშენება, (სარის ლობიო, კიტრი, პომიდორი და სხვა) შეიძლება დაირგოს დაბალტანიანი მცენარეები (ხახვი, ნიორი, არახვიარა ლობიო და სხვა).

ვაზი პირველ ნაყოფს იძლევა მესამე წელიწადს. არის შემთხვევები, როცა ერთი ან ორწლანი ვაზი ნაყოფს მოისხამს, ის უნდა მოცილდეს, რადგან ენერგიას ართმევს ვაზს, ვერც ასწრებს დამწიფებას და ხელს უშლის ფესვთა სისტემის განვითარებას.

ზაფხულში ნიადაგი უნდა დატუშავდეს 5 სმ-ის სიღრმეზე რამოდენიმეჯერ, ამით ცილდება სარეველები, ნიადაგი კი ფხვიერდება, ინარჩუნებს ტენს და ითვისებს შზის ენერგიას.

სასუქის შეტანა კარგი ნიადაგში, როგორც შემოდგომაზე, ასევე გაზაფხულზე, ვაზიდან 50 სმ-ის დაშორებით იჭრება

ორმო 30 სმ-ის სიღრმეზე, საღაც ჩაიყრება დამწუკარი ნაკელი, დაეყრება მიწა, რომელიც ნელ-ნელა მიაწვდის საკუპის ვაზები. ასევე ის აფხვიერებს ნიადაგს, უფრო კარგად აწვდის წყალს და ინარჩუნებს სითბოს, კარგი იქნება თუ ნაკელთან ერთად შევიტანთ კომბინირებულ სასუქს, მორწყვის დროს კარგია თუ პერიოდულად შევიტანთ წუნწუხს, როგორც ძროხისას, ასევე ქათმისას, რომელიც უნდა დამზადდეს ჭურჭელში ორი კვირის განმავლობაში.

უნდა ვერიდოთ ყვავილობის დროს ვაზის მორწყვას, იგი უნდა მოირწყოს კვირტების დაბერვამდე ერთხელ და ყვავილობის დამთავრების შემდეგ 2-3-ჯერ. ე.ი. ივლისის თვეში და აგვისტოს პირველ ნახევარში, რადგან აგვისტოს მეორე ნახევრიდან ვაზი იწყებს ნაყოფის დამწიფვებას, შემდეგ კი შაქრის დაგროვებას.

ყურძენი მაღალკალორიული საკვებია, შაქრის შემცველობასთან შეფარდებით 1 კგ ყურძენი იძლევა 1000 კალორიას, როცა 1 კგ ვაშლი იძლევა 500 კალორიას. დამწიფებული ყურძენი შეიცავს წყალს, შაქარს, ორგანულ მჟავეებს, ცილებს, მინერალურ მარილებს და სხვა. შაქრები – გლუკოზა და ფრუქტოზა, რომელსაც ყურძენი შეიცავს ადვილი მოსანელებელია, ყურძენი მდიდარია ვიტამინებითაც.

ყურძენი უნდა დაიკრიფოს მშრალ ამინდში, დილის 10-11 საათიდან საღამომდე, ყურძნის კრეფა არ შეიძლება რკინის ვედროებით, რადგან ამ დროს ყურძნის ტებილი „მდიდრდება“ თუთითა და რკინით. ის უნდა დაიკრიფოს ხის ან პლასტმასის ვედროებით. ასევე არ შეიძლება მისი მოთავსება რკინის ჭურჭელში, იგი უნდა მოთავსდეს ხის ან პლასტმასის ფუთებში, მისი დაწურვა უნდა მოხდეს დროულად, დიდი ხნის გაჩურების შემდეგ ყურძნის ზოგი მარცვალი იწყებს ლპობას, რაც უარყოფითად მოქმედებს ღვინის ხარისხზე.



შესანახად უტკობესია შეირჩეს ისეთი ფურძენი, რომელსაც აქვს მეჩხერი მტევანი მკვრივეკანიანი მარცვლებით. უპირატესობა ეძლევა წნიერი ვაზის ფურძენს, რომელიც მსუბუქ და დახრილ ნიადაგზეა მოწეული.

სასუქებითა და რწყვით გაუღენთილ ნიადაგზე მოყვანილი ფურძენი დიდხანს არ ძლებს, ამიტომ შესანახადაც არ ვარგა. შესანახად ფურძენს სრულ დამწიფებამდე კრეფენ, რადგან შენახვის დროს მისი მეჯვანობა მცირდება.

ფურძენი ინახება სხვენზე, ჩრდილოეთის მხარის ოთახში, შერალ ადგილში, რომელიც კარგად უნდა ნიავდებოდეს და ფანჯრებზე ბადე უნდა ჰქონდეს აკრული მწერებისაგან დასაცავად. უპირატესობა ენიჭება ბნელ, კარგად იზოლირებულ და მდგრად ტემპერატურის ადგილს. ფურძნის შეტანამდე ოთახს კარგად ასუფთავებენ, კირით ათეთობენ და დეზინფექციას უკეთებენ გოგირდის დაწვით, 3 დღის განმავლობაში შენობა დაკეტილია, შეძლევ კი უნდა განიავდეს. დაკრეფილი, კარგად გამოშერალი ფურძენი ლაგდება დაბალ ფუთებში ერთობენ ან ლაგდება თაროებზე, ფუთები ეწყობა ერთმანეთზე და ზევიდან ეფარება ქაღალდი. ყლორტის ნაწილთან ერთად მოჭრილი ფურძენი შეიძლება შევინახოთ აკიდოებად, გაჭიმულ მავთულზე ჩამოკიდებული. ძველად მესხეთში ფურძენს ინახავდნენ ხის ჭურჭელში, მშრალად ხის ნახერხში.

ფურძნის დაწურვისას ფურადლება უნდა მიექცეს მის ხარისხისას, კარგი ფურძნის შაქრისობა უნდა აღემატებოდეს 18%-ს მაინც. სასურველია შეირჩეს ორი-სამი ჯიშის ფურძენი და კუპაჟის სახით დაიწუროს, რათა ღვინო იყოს მაღალი ხარისხის, სასიამოვნო შეფერილობის, სუნის, არომატისა და გემოსი. ფურძნის დაწურვისას სასურველია, რომ შენობა იყოს სუფთა, ასევე ჭურჭელი კარგად გარეცხილი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დუღილის დროს დიდი

რაოდენობით გამოიყოფა ნახშირორუანგი, რაც ცუდად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ჭურჭლის თავზე უნდა მივარგოთ ფიჭვის ხისაგან დამზადებული სახურავი, რადგან ჭაჭა ზევით არ აძლევიდეს და სითბოს ენერგია ღვინომივე გამოიყოფოდეს. ღულილის დროს სასურველია შენობის ტემპერატურა იყოს 20-22 გრადუსი სითბო, ჭურჭლად საუკეთესოა ქვევრი და მუხისაგან დამზადებული კასრი, თუ ფეხი ზემოთ ჩამოთვლილი პირობები დაცულია, ღვინოც საუკეთესო გამოდის.

ღულილის სწორ მიმდინარეობაზე მოქმედებს ტემპერატურა, ფანგაბადი, ალკოჰოლი, შაქარი, გოგირდორუანგი და სხვა. 35 გრადუს ტემპერატურაზე საფუარის მოქმედება იზღუდება, ხოლო 40 გრადუს ტემპერატურაზე წყვეტის მოქმედებას, 12-15 გრადუს ტემპერატურაზე ფერმენტაცია ძნელდა იწყება, საჭიროა ღულილის დროს ბადაგის ტემპერატურის რეგულირება.

ბადაგი, რომელიც 30 გრადუსზე მეტ შაქარს შეიცავს, ძნელად ღულდება, როცა ალკოჰოლი ღვინოში ჭარბობს, 13 გრადუსზე ის იწყებს საფუარის მოქმედების შეზღუდვას, ხოლო 18 გრადუსზე ღულილი წყდება.

ალკოჰოლური ღულილი მიმდინარეობს ორ ეტაპად: მძაფრი და წყნარი ღულილი. ძლიერი ღულილი გრძელდება 6-7 დღეს და ხასიათდება შაქრის სწრაფი დაშლით და ტემპერატურის აწევით. ღვინის ჩამოყალიბება ხდება წყნარი ღულილის დროს, რომელიც 3 კვირას გრძელდება.

ღვინის მისაღებად ფერმენტი იჭყლიტება და ღულს კანთან, კლერტთან და წიპრასთან ერთად. რვა დღის ღულილის შემდეგ მთავრდება პირველი ჩქარი ღულილი, ამიტომ ბადაგი გადატანილი უნდა იქნეს ახალ ჭურჭელში, სადაც რჩება სამი კვირის განმავლობაში, იქ ღვინო დაიწმინდება და შემდეგ გადაღებული იქნეს მინის ბოცებში.



ღვინის გადმოლება კასრიდან უმჯობესია რეზინის ბნელასტმასის მიღით, რომელსაც ამავრებენ ჯონზე და ჰურჭელში უშვებენ ისე, რომ მისი ბოლო ფსკერიდან 10 სმ სიმაღლეზე იყოს. ღვინო რომ არ აიმღვრეს, დაწყებული გადასხმა არ უნდა შეწყვიტოთ.

ბოცაში გადაღებული ღვინო დროთა განმავლობაში კედლებზე და ფსკერზე იკეთებს ფუნას, რომელსაც ღვინის ქვა ჰქვია. იგი უარყოფითად არ მოქმედებს ღვინის ხარისხზე, როცა ღვინო გათბება ზაფხულის მოსვლასთან დაკავშირებით, სასურველია ღვინო გადავიღოთ ახალ ჰურჭელში, რადგან ღვინის ქვა იხსნება ღვინოში და ამღვრევს მას.

არასოდეს ღვინის ჰურჭელი არ უნდა შევავსოთ ახალგაზრდა ღვინით, აუცილებელია ახალი შეივსოს ძველით, რადგან ახალი ღვინო ჯერ კიდევ განიცდის ჩუმ დუღილს და მასზე უარყოფითად იმოქმედებს.

ჭაჭის შენახვა უკეთესია მშრალი ხერხით, ჭაჭას ჰერისაგან დაცვის მიზნით ნეილონით ფარავენ, ხოლო ნეილონზე 5 სმ-ის სისქის სუფთა ქვიშის ფენას აყრიან. ზოგჯერ ჭაჭაზე დებენ და შლიან თივას, რომელსაც სკელი თიხით გადაზეულენ, ასე აღკოროლი მოლიანად ინახება და არ ხდება ჭაჭის ბეჭის მოკიდება ან დამჭავება.

ჭაჭისაგან არაყის გამოხდისას ჰურჭელში მოთავსების დროს ემატება  $1/5$  დან  $1/3$ -მდე წყალი, რომ არ მიიწვას, კარგი იქნება ფსკერზე თუ ჩააფენენ თივას ან ჩალას, რომ არ მიიწვას, ჰურჭელს უნდა დაკლდეს 15 სმ-ის მასა, რომ არ გადმოვიდეს, აღუღებისას თავსახურს ადებენ ცივ ტილოს, აღუღებამდე ცეცხლი ძლიერი უნდა იყოს, შემდეგ კი ნელი და სტაბილური. არაყის თვისებების გასაუმჯობესებლად, გადმოსული არაყის  $3\%$  ცალკე უნდა გადავიღოთ, რათა თავიდან მას დიდი რაოდენობით ეთერზეთები მოყვება, რაც მავნებელია ადამიანის ორგანიზმისათვის, იგი შეიძლება



გამოვიყენოთ სამედიცინო სპირტის სახით, არაყის არომატიზებული  
რომ უკეთესი იყოს მას დუღილის დროს უნდა ჩავაჭროთ  
კომში, ერთ ქვაბზე 2-3 კგ თავისი კურკებით.

## მესხ ური თეთრზურმნიანი ვაზის ჯიშები

### ხარისხთვალა თეთრი

ხარისხთვალას ახასიათებს მეტისმეტი ყვავილცვენა და  
30-40% წვრილმარცვლოვანობა, მაღალ აეროტექნიკურ ფონზე  
მისი მოვლა-მოშენებით შესაძლებელია მივიღოთ უხვომსავ-  
ლიანი და ადრეული სუფრის ყურძენი.

მტევნი კონუსისმაგვარია, მარცვალი მსხვილია და  
თხელკანიანი, სავეგეტაციო პერიოდი 150-160 დღეს არ  
აღემატება, ახასიათებს ძლიერი ზრდა. ფურძნის შეთვალვა  
იწყება 5-10 სექტემბრიდან. სრულ სიმწიფეს აღწევს 10  
ოქტომბრისათვის. ვაზი დიდ გამბლეობას იჩენს სოკოვანი  
დაავადებისა და გვალვისადმი.

ხარისხთვალას მტევნის საშუალო წონა 220 გრამამდეა,  
მისი ცალკეული მტევნები კი 600 გრამამდე იწონის. წვენის  
გამოსავალი მარცვალში 70% აღწევს, შაქრის დაგროვება  
მარცვალში 16%, საერთო მჟავიანობა 13%-მდეა.

### ჩიტისკვერცხა თეთრი

მისი ხნოვანება 40 წელს არ აღემატება, იკეთებს პატარა  
წვრილმარცვლიან მტევნას, მეტად გემრიელია და წვნიანი,  
მტევნი ცილინდრულია. ჩიტისხთვალა ითვლება საშუალო  
პერიოდის ჯიშად, რომლის სავეგეტაციო პერიოდი 170  
დღემდე აღწევს, ფურძნის შეთვალვა იწყება 20 სექტემბრიდან,

სრულ სიმწიფეში შედის 15 ოქტომბრისათვის, დიდ გამძლეობას იჩენს სოკოვანი დაავადებებისა და გვალვანის მიმართ.

ჩიტისთვალა საღვინე ჯიშია. საშუალო მტევნის წონა 70 გრამია, ცალკეული მტევნები 150 გრამამდე აღწევს, წვენის გამოსავალი მარცვალში არის 75%, შაქრის დაგროვება 18%-მდეა, მჟავიანობა 11%-მდე.

## მესხური მწვანე

მესხური მწვანე საგვიანო ჯიშია, იგი დასაშვებია გავრცელდეს მესხეთის რაიონის დაბალ ზონაში, სუფრის ღვინოა და საკუპაჟე მასალა შამპანური ღვინის დასაყენებლად. მტევნი კონუსისმაგვარია, მარცვალი მწვანეა და წვნიანი, სქელკანიანია. იგი საგვიანო ჯიშია, საკეგეტაციო პერიოდი 180 დღემდე აღწევს, ყურძნის შეთვალვა იწყება 15 სექტემბრიდან, სიმწიფეში შედის 20 ოქტომბრამდე, დიდ გამძლეობას იჩენს ნაცრისა და ჭრაქის მიმართ. მტევნის საშუალო წონა 125 გრამამდეა, წვენის ფერი მწვანეა, გამოსავალი 75% აღწევს, შაქრიანობა 15%-ს, მჟავიანობა - 12%-მდეა.

## სამარიობო

მესხეთის პირობებში იგი ყველაზე უფრო ადრეული ფურძნის ჯიშია. მტევნი კონუსისმაგვარია, მტევნი თხელია, წვენი ღია ჩალისფერია, აქვს კომპოტის სასიამოვნო სუნი, მარცვალი წვნიანია, კანი თხელი. სამარიობოს საკეგეტაციო პერიოდია 140-150 დღე. ყურძნის შეთვალვა იწყება 15 აგვისტოდან, სრულ სიმწიფეს აღწევს 20 სექტემბრამდე. დაავადებათა მიმართ გამძლეა, ყინვისა და გვალვისადმი იჩენს

დიდ გამძლეობას. სამარიობოს საშუალო მტევნის წონა 180 კრისტენისათვების გრამამდე იწონის. მოზრდილი მტევანი 270 გრამამდეცისათვების აღწევს. წვენის გამოსავალი ყურძენში 75%-ია, შაქრიანობა 19%-ია, მუვანობა 8,5 %. იგი არის როგორც სასუფრე, ისე საღვინე ყურძენი, ასევე საშამპანურე მასალაც.

### ცხენის ძუძუ თეთრი

ეს ჯიში მაღლარია, იგი ხნოვანებით 100 წლამდე აღწევს, შედარებით ადრეული ჯიშია, მტევანი კონუსისმაგვარია, ახასიათებს თხელი მარცვალი. მარცვალი მოგრძოა, ქარვისფერი. კანი თხელი აქვს და წვნიანია, მისი სავაჭეტაციო პერიოდი 160-170 დღემდე აღწევს. ყურძნის შეთვალვა იწყება 20 აგვისტოდან, მწიფებულება 10 ოქტომბრისათვის, მაღალმოსავლიანია, დაავადებათა მიმართ გამძლეა, ყურძნის მტევნის საშუალო წონა 150 გრამია, წვენის მოსავლიანობა ყურძენში 70%-ია, შაქრიანობა 18%, მუვანობა 11%-ია. იგი საღვინე ჯიშია. ასევე სასუფრეცაა. წვენი ღიაჩალისფერია, არის მეტად არომატული და გემრიელი.

### თეთრი ახალციხური

ეს ყურძნის ჯიში ცოცხლობს 60 წლამდე, მტევანი კონუსისმაგვარია, მარცვალი მრგვალია და თხელკანიანი, ყურძნის სავაჭეტაციო პერიოდი 160 დღემდეა. მისი შეთვალება იწყება 25 აგვისტოდან, მწიფებულება 15 ოქტომბრისათვის, დაავადებათა მიმართ ძალზე მგრძნობიარება. მტევნის საშუალო წონა 120 გრამია, არის 300 გრამიანიც, წვენის გამოსავლიანობა 80%-მდეა, შაქრიანობა 18%, მუვანობა 12%. იგი მაღალხარისხოვანი საღვინე ჯიშია, წვენი ჩალისფერია, აქვს მეტად სასიამოვნო არომატი.

## როკეთულა

მისი ძირები 120 წელიწადს აღწევს. იგი ხასიათდება მაღალმოსავლიანობით, ყინვაგამძლეობით, დგება მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო, რომელსაც აქვს კარგი ბუკეტი და არომატიც. მტევანი კონუსისმაგვარია, მარცვალი მომწვანოა, წვნიანი, კანი სქელი, მისი სავეგეტციო პერიოდი 160 დღემდეა. ყურძნის შეთვალება იწყება 20 აგვისტოდან, შეიფეხულის 5 ოქტომბრისათვის, მაღალმოსავლიანია, დაავადების, ყინვისა და გვალვის გამძლეა, მტევნის საშუალო წონა 210 გრამია, ზოგი 400 გრამიცაა, წვენის მოსავლიანობა 75%-ია, შაქრიანობა 17%-ია, სიმჟავე 11%. საღვინე ჯიშია, ასევე მზადდება საშამპანურე მასალაც, აქვს კარგი არომატი და შუშხუნაა.

## ცხენისძუა თეთრი

მისი ხნოვანება 80 წელს აღწევს, მტევანი უფორმოა და დატოტვილი, მარცვალი სქელკანიანია, წვრილია და ქარვისფერი, იგი საგვიანო საღვინე ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 180 დღემდე აღწევს, შეთვალებას იწყებს 10 ოქტომბრიდან. შეიფეხულის 15 ოქტომბრისათვის. იგი დაავადების, ყინვის, გვალვის გამძლეა, მტევნის საშუალო წონა 100 გრამია, ზოგი 200 გრამიცაა, შაქრიანობა 16%, მჟავიანობა 14%.



## წითელი ბუდეშური

მისი ხნოვანება 70 წელს აღემატება, იგი საღვინე ჯიშია, მტევანი კონუსისმაგვარია, მარცვალი სქელკანიანია და ხორციანი, წვენი ღია შინდისფერია. ბუდეშური საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 170 დღემდე აქვს, ფურძნის შეთვალვა იწყება 20 სექტემბრისათვის, სრულ სიმწიფეში შედის 15 ოქტომბრისათვის. იგი მაღალმოსავლიანია, დიდ გამძლეობას იჩენს სოკოვანი დაავადებების მიმართ, გვალვის ამტანი და ყინვაგამძლება. ვაზი საღვინე და სასუფრე ჯიშია. მისი მტევნის წონა 155 გრამამდეა, წვენის გამოსავალი მარცვალში 70% აღწევს, შაქრის დაგროვება -18%-ს, მუვანიანობა 12%-მდეა. ამ ვაზის კულტურულ ფორმებში მოვლა-მოშენებით შესაძლებელია სამურნეო ტექნოლოგიური თვისებების შემდგომი გაუმჯობესება და მაღალხარისხოვანი პროდუქტის მიღება.

## საწურავი

საწურავი მესხური ვაზის ტკელი ჯიშია, მისი ხნოვანება 90 წელს აღწევს, იგი უხვმოსავლიანია, საღვინე ვაზის ჯიშია, მტევანი კონუსისმაგვარია, მარცვალი შავია, თხელკანიანი და წვენიანი. იგი ითვლება ვეგეტაციის საშუალო პერიოდის ჯიშად. მისი სავეგეტაციო პერიოდი 170 დღემდე აღწევს, ფურძენი შეთვალვას იწყებს 5 სექტემბრიდან, სრულ სიმწიფეში შედის 10 ოქტომბრისათვის. იგი ხასიათდება მაღალი მოსავლით, დიდ გამძლეობას იჩენს სოკოვანი დაავადებისადმი, სუსტია ზამთრის ყინვების მიმართ, უხვმოსავლიანია, საშუალო მტევის წონა 250 გრამს აღწევს, ცალკეული მტევნები 500 გრამამდე იწონის, წვენის



გამოსავალი 80% აღწევს, შაქრიანობა 17%-მდეა, მუავიანობა 12% არ აღემატება. მისი მოშენება მიზანშეწონილია მიკრორაიონებში, რომლებიც ბუნებრივად დაცულია ცივი ქარებისაგან და უზრუნველყოფილია სარწყავი წყლით.

## მესხური შავი

იგი ხასიათება მაღალი ხარისხიანობით, ასაკით 70 წელს აღწევს, მტევანი კონუსისმაგვარია, მარცვალი თხელკანიანია და წვნიანი. მუქი წითელი ფერისაა, საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 170 დღემდე გრძელდება. შეთვალვას იწყებს 10 სექტემბრამდე, სრულ სიმწიფეში შედის 15 ოქტომბრისათვის. სოკოვანი დაავადებით ნაკლებად ზიანდება, გვალვისა და ყინვის მიმართ გამძლეა. იგი ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, საშუალო მტევნის წონა 110 გრამია, ცალკეული მტევნის წონა 330 გრამამდე აღწევს. წვენის გამოსავალი 75%-ია,, შაქრის რაოდენობა წვენში კი 15%, მუავიანობა 13%, წვენი შინდისფერია, ღვინო არომატული და სასიამოვნო დასალუვი. საღვინე ჯიშია, კარგ შედეგს იძლევა მესხეთის რაიონების დაბალ ზონაში.

## მესხური საფერავი

იგი წითელწვნიანი ვაზის ჯიშია, ახასიათებს უხვმისავლიანობა, საშუალო პერიოდის ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 160 დღემდე აღწევს, მარცვლის შეთვალება იწყება 15 სექტემბრამდე, სრულ სიმწიფეში შედის 10 ნოემბრისათვის. იგი უხვი მოსავლიანობით ხასიათდება, ყინვისა და დაავადებათა მიმართ გამძლეა, საღვინე ჯიშია, საშუალო მტევნის წონა 95 გრამია, ცალკეული მტევნები 250 გრამამდე იწონის, წვენის გამოსავლიანობა 80% აღწევს, შაქრიანობა 18%-მდეა, მუავიანობა 10%-მდეა. მისი ფერი მუქი შინდისფერია, აქვს სასიამოვნო არომატი და მუტად სასიამოვნო დასალუვია, მისგან



შესაძლებელია მაღალხარისხოვანი მესხერი სუფრის წითელფრენი ღვინის დაყენება. ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემისთვის საფერავის თავდაპირველი სამშობლო ყოფილა მესხეთი – კერძოდ შავშეთი.

## ხარისთვალა შავი

იგი 100 წელზე მეტს ხარობს, უხვმოსავლიანია, სუფრის ფურმის ჯიშა, მტევნი კონუსისმაგვარია, მარცვალი მსხვილია, ხორციანი, სქელი კანით და აქვს შავი შეფერილობა. იგი თველება საშუალო პერიოდის ჯიშად. სავეგეტაციო პერიოდი 160 დღემდე აღწევს, შეთვალვა იწყება 1 სექტემბრიდან და სრულ სიმწიფეში შედის 30 სექტემბრისათვის. ნაკლებად გვალვაგამძლეა და სუსტია დაავადებათა მიმართ. მტევნის საშუალო წონა 130 გრამია, ცალკეული მტევნები 400 გრამამდე იწონის, წვენის გამოსავლიანობა 70%-ია, შაქრიანობა -17%-ია, მჟავიანობა 13%.

## შავი ასპინძურა

იგი უხვმოსავლიანია, მაღლარია, მისი ხნოვანება 150 წელს აღწევს, შემორჩენილია ასპინძის რაიონში. კერძოდ, ხიზაბავრის ტერასებზე. დავადგის, ყინვის, გვალვის გამძლეა, საღვინე და საშაბანურე ვაზის ჯიშა, მტევნი კონუსისმაგვარია, მარცვალი თხელკანიანია და წვნიანი, მრგვალია, შეფერილია შავად. იგი საგვიანო ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 170 დღეა, შეთვალვას იწყებს 10 სექტემბრისათვის, მწიფედება 15 ოქტომბრისათვის, საშუალო მტევნის წონა 140 გრამია, ზოგისა 400 გრამამდეცაა, შაქრიანობა 19%, მჟავიანობა 9%.

## ცხენის ბუბუ (შავი)

მისი მტევნი კონუსისებრია, მარცვალი მუქი შავი ფერისაა. მოგრძოა, სქელკანიანი და კნატუნა, საგვიანო ჯიშია,

სავეგეტაციო პერიოდი 170 დღემდე, შეთვალვა იწყება 10 სექტემბრისათვის, მწიფედება 15 ოქტომბრისათვის, ნაკლებმოსავლიანია, დაავადების, ყინვის და გვალვის მიმართ გამბლეა, მისი საშუალო მტევნის წონა 122 გრამია, ზოგიც 160 გრამამდეა, გამოსავლიანობა 70%-ია, შაქრიანობა 17%, მჟავიანობა 10%. იგი არის შავი ფერის ფურძენი.

### ბეჟანა

მისი ასაკი 100 წლამდე აღწევს, მტევანი ცილინდრულია, მარცვალი შავი, ზოგი ყავისფერი და მწვანეც. ამიტომ, მას ადრე მოზაიკასაც უწოდებდნენ, მსხვილია, თხელკანიანია და წვნიანი. ტკბილი გემოთი. ბეჟანა ყველაზე საგვიანო ფურძნის ფერია. სავეგეტაციო პერიოდი 190 დღეა, დაავადების და ყინვის მიმართ გამბლეა, მტევნის საშუალო წონა 350 გრამია, ზოგისა 900 გრამიც, წვენის გამოსავლიანობა 80%-ია, შაქრიანობა 10%, მჟავიანობა 15%.

### ჩიტისკვერცხა შავი

იგი მაღლარი ფურძნის ჯიშია. მისი წნოვანება 50 წელს აღწევს. წვრილმარცვლიანია, ნაკლებმოსავლიანი, მტევანი თხელი და უფორმოა. მარცვალი მომრგვალოა, სქელკანიანია და კნატუნა. წვენი ღია შინდისფერია, სავეგეტაციო პერიოდი 170 დღეა, შეთვალვა იწყება 10 სექტემბრისათვის, დაავადებათა მიმართ სუსტ გამბლეობას იჩენს, ყინვისა და გვალვის მიმართ გამბლეა, იგი პატარა მტევნიანია, წვრილმარცვლიანი, საშუალო მტევნის წონა 60 გრამია, ზოგისა 100 გრამი. შაქრიანობა 16%, მჟავიანობა 10%. იგი საღვინე ჯიშია.

### ცხენისძუა შავი

იგი მაღლარია, მისი წნოვანება 80 წელს აღწევს, სუსტი ზრდა-განვითარებით ხასიათდება, მტევანი უფორმოა და

დატოტვილი. თხელმარცვლიანია, წვრილმარცვლიანია სქელკანიანი, წვნიანი, წვენი ღიაშინდისუერია. იგი საფუძვლია ჯიშია, სავეგეტაციო პერიოდი 170 დღეა, შეთვალვას იწყებს 10 სექტემბრისათვის, მწიფედება 15 ოქტომბრისათვის. დაავადების, გვალვისა და ყინვის მიმართ გამძლეა. მისი მტკვნის წონა 71 გრამს უდრის, წვენის გამოსავლიანობა 60%, მისი შაქრიანობა 11 %, მჟავიანობა 14%.

### კლერტმაგარა

იგი საგვიანო ჯიშია, მისი მარცვალი მრგვალია, წვნიანი, მცირებოსავლიანი. ამიტომაც, მის გაშენებას მესხეთში არ აქცევენ ფურადღებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში ინახება შალვა წიქვაძის მასალები (ხელნაწერი) – „მევენახეობა, 1975 წელი“, სადაც ავტორს მოხსენიებული აქვს მესხური ვაზის ისეთი ჯიშები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის დაფიქსირებული. ესენია: მელიგუდა, ღობიერის შავი, თამარის შავი, კანარეთის შავი, დევნოსაძის შავი, სტამბოლა და სმადის შავი.

შალვა წიქვაძის მასალებში ასევე აღმოჩნდა 1966 წელს აწყურში – სლესის სანერგეში დარგული ვაზის ჯიშები: ორჯონიქიძის წითელი, დევნოსაძის საწური.

შალვა წიქვაძეს თავის მასალებში აგრეთვე დასახულებული აქვს 1977 წელს ხიზაბავრის სანერგეში შეგროვილი და დარგული ვაზის ადგილობრივი ჯიშები: ტოლოშის თეთრი, თეთრი ასპინძურა, ხიზაბავრის შავი, ყაზარას შავი, ყაზარას საწური, დევნოსაძის თეთრი.

ამრიგად, შალვა წიქეაძის მიერ მოძიებულ იქნა მუსხური ვაზის 16 ჯიში. ვფიქრობთ, ეს დააფიქტებს მესხ ახალგაზრდებს და შემდგომში კვლევის საგნად გადაიჭირო.

## მესხეთში გავრცელებული კაზის ჯიშები

### ალიგოტე

ალიგოტე ფრანგული თეთრყურძნიანი ვაზის საღვინე ჯიშია, მისგან მზადდება მაღალი ხარისხის ღვინო და საშამპანურე ღვინოებასალა. სავეგეტაციო პერიოდი 160 დღემდე აღწევს, მწიფედება სექტემბრის მეორე ნახევარში, ფორმით ცილინდრულია, მარცვალი თეთრ-მომწვანოა, მზის მხრიდან მოყვითალო, თხელკანიანი, მცირე ხორციანი, წვნიანი, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით, მტევნის საშუალო წონა 160 გრამია, ცალკეული მტევნები 250 გრამს იწონის, შაქრიანობა 21%-ს აღწევს, მუვანობა 8%-ია, ყინვისა და დაავადებათა მიმართ გამძლეა, იგი მხოლოდ დაბლარად შენდება.

### გორული მწვანე

გორული მწვანე ცნობილია როგორც მაღალხარისხიანი პროდუქციის მომცემი საღვინე ჯიში. მას ამ კუთხით ქართლის ვაზის ჯიშებს შორის პირველ ადგილს უთმობენ. მისი პროდუქცია ძირითადად თეთრი ხარისხიანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად არის განკუთვნილი, მის ფურძენს დაწურვისას აკუპაჟებენ ჩინურთან. ამ ორი ჯიშის ნარევს აღუღებენ თავკვერის ტკბილზე და ჭაჭაზე, ამის შემდეგ იღებენ ხიდისთავურ წითელ ღვინოს, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებას იპყრობს. მტევნის ფორმა კონუსურია, მარცვალი სიმწიფის პერიოდში ყვითელ-მომწვანოდ

არის შეფერილი, ოდნავ მოგარდისფრო ელფერი, ყურძენი სრულ სიმწიფეს ოქტომბრის მეორე დეკადაში აღწევს საშუალო მოსავლიანია, დაავადებათა მიმართ ნაკლებად გამძლეა, ყინვაგამძლეა, მტევნის საშუალო წონა 130 გრამამდეა, წვენის გამოსავალი 77%-ია, შაქრიანობა – 20%, მჟავიანობა 9%.

## ჩინური

ჩინურის სახელწოდება სიტყვა „ჩინიდან“ და „ჩინებულიდან“ მოდის, რადგან მას ახასიათებს მთელი რიგი დადებითი ნიშნები (ძლიერი ზრდა, უხვი მოსავალი, ლამაზი აღნავობის მტევანი და მარცვალი, ყურძნის შენახვის კარგი უნარი და ტრანსპორტაბელობა) დაავადებათა მიმართ საკმაოდ გამძლეა, ხოლო მისგან დამზადებული ღვინო კი მაღალი ხარისხისაა. ყველა ამ თვისებათა გამო შეარქვეს მას როგორც ჩინებულ ჯიშს - ჩინური.

როგორც გადმოგვცემენ მისი პროდუქცია განკუთვნილი იყო როგორც ყურძნად მოსახმარად, ასევე მაღალხარისხოვანი თეთრი სუფრის ღვინოების დასაყენებლად, რომელიც ადრე ცნობილი იყო ე.წ. „ატენური“ ღვინის სახელწოდებით. ჩინური შეიძლება გაშენდეს როგორც დაბლარად ისე მაღლარადაც.

მტევანი ცილინდრული მოყვანილობის აქვს. მარცვალი მწვანეა, სიმწიფეში შესული ქარვისფერია, ხორციანია და საკმაოდ წვნიანია, სასიამოვნო ტექნიკური გემოთი, ვეგეტაციის პერიოდი 190 დღემდე გრძელდება. ყურძნის შეთვალვა იწყება აგვისტოს ბოლოს და მწიფდება ოქტომბრის შეარცხვებისათვის. მტევნის საშუალო წონა 175 გრამს აღწევს, წვენის მოსავლიანობა 78%-ია, შაქრიანობა 21%, მჟავიანობა- 8%.

ჩინური, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საუკეთესო საღვინე და სამაპანურე ჯიშა. კუპაჟი საუკეთესოა გორულ მწვანესთან, თავკვერის ჭაჭაპისთან ერთად.



## შავგაპიტო

შავგაპიტო წითელფურმნიანი საღვინე ვაზის შემთხვევა, პროდუქცია განკუთვნილია ხარისხიანი ღია წითელი ფერის ღვინოების დასამსადებლად. ფორმით მტკვანი ცილინდრულია, წონით 180 გრამამდეა, მოსავლიანობა 76%. სავეგეტაციო პერიოდი 180 დღეა, შეთვალვა იწყება აგვისტოს ბოლოდან, მასობრივ დამწიფებას იწყებს 15 ოქტომბრიდან, დაავადებათა მიმართ გამძლეა, ყინვას ცუდად ეგუება. შაქრიანობა 20%-ია, მჟავიანობა 7%.

ასპინძის რაიონის სოფელ საროს ზონაში დამსადებული შავგაპიტოს ღვინო-მასალა გამოიჩინება ლამაზი შეფერილობით, სასაიამოვნო ჯიშური არომატით, ალკოჰოლით და საერთოდ, ყველა იმ თვისებებით, რაც დამახასიათებელია ხარისხიანი სუფრის ღვინისა და საშამპანურე ღვინის მასალისათვის. ყურძენი დიდ ხანს არ ინახება და ნაკლებად ტრანსპორტაბელურია.

## ხიხვი

ხიხვი იძლევა მაღალხარისხიან სუფრის თეთრ ღვინოს, ასევე მაღალხარისხიან საცესერტო ღვინოს. მისი წარმოშობა V სუკუნეს განკუთვნება. იგი გავრცელებულია რქაწითელთან და მწვანესთან ერთად ფართობებში, დიდი რაოდენობით ის გადაშენდა რადგან დაავადებათა მიმართ სუსტი გამძლეობით ხასიათდება, ნაკლებ მოსავლიანია, მტკვანის საშუალო წონა 80-დან 200 გრამამდეა, მარცვალი ღიაჩალისფერია, კანი თხელი, წვენი უფერული, გემო სასამოვნო და კარგი ჯიშური არომატით და ბუკეტით, ხარისხი სუკეთესო, კუპაჟად იყენებენ რქაწითელთან და კახურ მწვანესთან. შაქრიანობა -24%, მჟავიანობა 7%, კარგად ხარობს ახალციხის რაონში, კურძოდ: აწყურის, წრიოხის, წინუბნის სოფელების მიდამოებში. ხალხური



გადმოცემის თანახმად ამ ჯიშის ყურძნის თავდაპირველფაზი  
სამშობლო იყო მესხეთი და აქედან გავრცელდა ქინეთმიმოვა.

## რქაწითელი

რქაწითელი უძველესი ვაზია, ივანე ჯავახიშვილის  
ცნობით იყი V საუკუნიდან არის ცნობილი, კახეთში ვენახის  
ფართობის 75-80% მას უკავია.

მტევანი საშუალო ზომის ცილინდრული ფორმისაა,  
მტევნის საშუალო წონა 200 გრამამდეა, ცალკეული კარგად  
განვითარებულის წონა 400 გრამამდე თავისუფლად აღწევს.  
მარცვალი მოოქროსფერო-ყვითელია, კანი თხელი აქვს,  
ხორციან-წვინიანია, წვენი უფერული, გემო სასიამოვნო და  
ჰარმონიული აქვს, შაქრიანობა 18-31% აღწევს, მუვანობა -  
8%, ყინვაგამძლეა, დაავადებათა მიმართაც გამძლეა.

რქაწითელი მაღალი ღირსებების მქონე ყურძნის  
უალკოჰოლო წვენს იძლევა, იყი მწვანესთან ერთად პირველ  
ადგილს იჭერს თავისი ლამაზი ოქროსფერ-მოყვითალო  
შეფერვით, სასიამოვნო გემოთი და ძლიერი ჯიშური არომატით,  
ასევე მაღალი ღირსების ყურძნის წვენს იძლევა. იგი  
გამოიყენება საჭმელ ფერძნად, მისვან მზადდება ბადავი, ჩამიჩი,  
ჩურჩისელა, თათარა და სხვადასხვა ტკბილული.

## პინო

პინო შავი ფრანგული წითელყურძნიანი საღვინე ვაზის  
ჯიშა, იგი იძლევა მაღალხარისხიან წითელ სუფრის ღვინოს,  
რომელსაც ახასიათებს საკმაო სხეულიანი ჰარმონიულობა,  
ლამაზი შეფერვა, მაღალი გემური თვისებები და შენახვის  
დიდი უნარი, ასევე იგი გამოიყენებულა საშამპანურე ღვინის  
დასამზადებლად. არსებობს აგრეთვე თეთრი, ნაცრისფერი,  
ისფერი, საფერეე, მწვანე, ოქროსფერი - პინო. ამათგან  
საუკეთესოა შავი პინო.

მტევანი მცირეა და ცილინდრული ფორმის, მარცვალი მუქი ლურჯია, თხელკანიანი, ნაკლებხორციანი და ზედუტად წვნიანი, სასიამოვნო ტკბილი გემოთი. სავეგეტაციო პერიოდი 155 დღეა, ყურძენი სრულ სიმწიფეს სექტემბრის შუა რიცხვებში აღწევს, მტევანი იწონის საშუალოდ 100 გრამს, უკეთესად ხარობს მაღალგორიან რაიონებში, ყინვაგამძლეა, დაავადებათა მიმართ სუსტია, შაქრიანობა 22%-მდე აღწევს, მუვაიანობა-8%-ია.

## თავკვერი

თავკვერი წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია, ასევე იგი იძლევა სუფრის ყურძენს. გარდა წითელი თავკვერისა არის: მავი, თეთრი, საფერავისებრი და დიდმარცვალა. დღი მტევნიანია, ფორმით კონუსისებრი, მარცვალი მრგვალი, წვნიანი და მუტად ტკბილი აქვს. ამ ჯიშის პროდუქციით აკეთებენ საუკეთესო ვაზის ჯიშთა ჯგუფს. კუპაჟი საუკეთესო თვისებებს ავლენს გორულ მწვანესა და ჩინურთან, საიდანაც გამოდის ღია წითელი ფერის ღვინო, რომელიც ცნობილია „ხიდისთავური წითელის“ სახელწოდებით. მტევნი ცილინდრულია, მარცვალი სქელკანიანია, საკმაოდ ხორციანია და უფრო წვნიანი, საკმაოდ ტკბილი და ოდნავ მომჟავო გემოთი. სავეგეტაციო პერიოდი 188 დღეს უდრის. ყურძნის წვენის გამოსავლიანობა 84%-მდე აღწევს, დაბალი შაქრიანობით ხასიათდება -20%, მუვაიანობა 11%, მტევნის საშუალო წონა 220 გრამა. ყინვაგამძლეა, დაავადებას ნაკლებად უძლებს.

მესხეთის რაიონებში ვერტიკალური ზონების მიხედვით შალვა წიქაძემ რეკომენდაცია გაუწია შეძლევი ვაზის ჯიშებს: ქვედა ზონა: 900-1000 მეტრი ზღვის დონიდან – პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, ჩინური, გორული მწვანე, შავკაპიტო, თაკვერი, რქაწითელი, ხიხვი. ადგილობრივი ჯიშებიდან: როკეთულა, ხარისთვალა, ცხენისმუძუ თეთრი, ბუდეშერი, საფარულა, ბეჭანა.

საშუალო ზონა: 1000-1200 მეტრი ზღვის დონიდან — პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, გორული მწვანე, ჩიტორი ადგილობრივი ჯიშებიდან: სამარიობო, ბუდეშური, ხარისხთვალა თეთრი, თამარის ვაზი.

მაღალი ზონა: 1201-1400 მეტრი ზღვის დონიდან — პინო შავი, პინო თეთრი, ალიგოტე, სამარიობო, ბუდეშური.

მესხური ვაზის ჯიშებზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“ დაბეჭდილ კონსტანტინე გვიშანის სტატიაში. ავტორი აღნიშნავს, რომ ხიზაბავრის მცხოვრები პავლე ხუციმვილი ასაბუთებდა ხიზაბავრის ტერასებზე შემდევი მესხური ვაზის ჯიშების არსებობას: საღვინებს, საფერავს, ხარისხთვალას, თითას, ცხენის ძუძუსა და ბუდეშურს. მესხი განმანათლებელი კონსტანტინე გვარამაძეს დასახელებული აქვს 10 მესხური ვაზის ჯიში: არავული, აღრული, ბეჟანა, საღვინე, ხარისხთვალა, თავუცხლა, ცხენისძუძუ, თითა, მელიკუდა და კლერტმაგარა.<sup>23</sup>

პროფესორმა მაქსიმე რამიშვილმა სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული ექსპედიციის შედეგად დააფიქსირა ვაზის 15 ადგილობრივი ჯიში. რომელთაგან პერსპექტიული განვითარებისათვის მიიჩნია მხოლოდ რვა ჯიში: გურკეთურია, თეთრი, ახალციხური, თეთრი ყურძენი, ცხენისძუძუ თეთრი, ცხენისძუძუ შავი, სამარიობო, ხარისხთვალა, და საწური.<sup>24</sup>

მესხური ვაზის ადგილობრივი ჯიშები ექსპედიციის დროს გამოიკვლია პროფესორმა დიმიტრი ტაბიძემ. მან აღწერა 40 ჯიში და გავრცელებისათვის რეკომენდაცია გაუწია რვა ჯიშს, რომელთაგან ხუთი წითელყურძნიანია და სამი თეთრყურძნიანი: საღვინე, კლდის შავი, ცხენის ძუძუ, შავი, ბეჟანა, ღობიერის წითელი, ცხენის ძუძუ თეთრი, ფაჩხა და გურკელური.



საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების შესახებ მეტყველებს ის უამრავი ღვინის ქვევრი, რომელიც უხვად აღმოჩნდა სხვადასხვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ამ საკითხზე მეტად საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის გიორგი ბარისაშვილს.<sup>25</sup> იგი გვამცნობს რომ ზოგადად, როგორც მესხეთში ასევე მთელ საქართველოში ქვევრების მოცულობა მერყეობდა 2-3 ლიტრიდან 6-8 ათას ლიტრამდე, თუმცა არსებობს ვარაუდი, რომ ძველად უკუთხმათ ასევე გიგანტი ქვევრებიც, რომელთა მოცულობა 10-15000 ლიტრამდეც კი აღწევდა.

მეღვინეობაში გამოიყენება სპეციალური თიხა, რომელიც აუმჯობესებს ღვინის ბიოლოგიურ სტაბილურობას და შეიწოვს სხვადასხვა მიკროორგანიზმებს (ბაქტერიები, საფუარი). მეცნიერების მიერ საქართველოს ბეტონიტური თიხა მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიოში. თიხას გააჩნია მრავალი სამკურნალო თვისება. მათ შორისაა: ავადმყოფობის შესრუტვა, ანტიბაქტერიული აქტივობა და მზის მაგნეტიზმი. გიორგი ბარისაშვილის მითითებით პირველი და ძირითადი სიკეთე ქვევრისა ის არის, რომ მასში ღვინის ტემპერატურა შენახვის დადგენილ ზღვარს არ სცილდება. იგი ზამთარსა და ზაფხულში სულ რამოდენიმე გრადუსით იცვლება. ის ტემპერატურა, რაც მიღებულია ღვინის შენახვისათვის, ქვევრში ბუნებრივადაა დაცული. ტემპერატურულ რეჟიმს არა მარტო ღვინის შენახვისათვის, არამედ ალკოჰოლური დუღილის პროცესისთვისაც ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. უფრო კონკრეტულად, როგორც წესი, ქვევრის გარეთა ზედაპირს კირით აღუღდაბებენ. ასევე დიდი ზომის ქვევრის კედლებს ადგილზე კირქვით ამოაშრობენ. კირქვით დაღუღდაბებული ქვევრის კედლები, ალკოჰოლური დუღილის დროს

წარმოქმნილ, გარემოსთან შედარებით, მაღალ ტექნიკურის უფრო დიდი ხნით შეინარჩუნებს, ვიდრე დაღუდაბეჭულითა ქვევრისა. როგორც ირკვევა ქვევრის კედლები სწორედ იმდენ ხანს ინარჩუნებს სითბოს, რა დროც მეორად დუღილს ესაჭიროება. აღნიშნული დუღილის პერიოდი დახსლოებით ერთ თვემდე გრძელდება.

შინაურ პირობებში ქვევრის ღვინის დაყენების დროს მეორე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი არის ქვევრში ღვინის დაღუდება-დავარგება. ქვევრი არამარტო ღვინოს კარგად ინახავს, არამედ მონაწილეობს კიდეც დუღილისა და დაღვინება-დავარგების პროცესში და იმაზე მეტად ვიდრე სხვა ჭურჭელი.

ქვევრის ღვინის ასეთი ერთგვაროვნება და არატიპიურობა გამორიცხულია, რიგი წესებით დაყენებული ქვევრის ღვინო ხასიათდება ტიპიურობით, ბუნებრივი სტაბილურობით, დამკელების დიდი პოტენციალით, ბუნებრივი სიკრიალითა და გამჭვირვალობით, გამორჩეული გემოთი და სურნელებით, ალკოჰოლისა და ექსტრაქტის მაღალი შემცველობითა და სხვა დადებითი თვისებებით.

ღვინო თავისავე ჭაჭაზე ხშირად ადრე გაზაფხულამდეც კი რჩება. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: თუ რითა განპირობებული ის მომენტი, რომ ამ დროს ღვინო არ განიცდის ლექის უარყოფით გავლენას? ეს გამომდინარეობს ქვევრის უნიკალური და დახვეწილი ფორმიდან, ქვევრის ძირი წაწვეტილ კონუსს წარმოადგენს. ალკოჰოლური დუღილის დასასრულს ფურძნის წიპწების დიდი ნაწილი მარცვალს მოსცილდება, იძირება და ვროვდება ქვევრის ძირში, რომელ პროცესსაც დიდად უწყობს ხელს ასევე ჭაჭის ჩარევაც. წნევის ზემოქმედებით ფურძნის წიპწას ლექი დაეფარება და საკმაოდ ძლიერად დააწვება, რის შედეგადაც ხდება ღვინისა და წიპწის ერთმანეთისაგან

იზოლირება. დუღილის დასრულების შემდეგ, რადგან ჭაჭა გარკვეული დროის განმავლობაში არ იძირება მათში ალკოჰოლური დუღილის დროს გამოყოფილი ნახშირორეანგის არსებობის გამო, მის ჩაძირვას ლექის დალექვა უსწრებს წინ, ხოლო შემდეგ უპვე ჭაჭა იწყებს ჩაძირვას. ამრიგად, ღვინოს შეხება მხოლოდ და მხოლოდ ჭაჭასთან აქვს, საღამისაც მას მაქსიმალურად გამოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნვთიერებები. ღვინო ტანინებით საკმაოდ მდიდარია, ის კი თავისთავად ბოჭავს ღვინოში არსებულ ცილებს, რომლებიც ამღვრევენ ღვინოს. ამიტომაც, ღვინოს აღარ ახასიათებს ამ ტიპის სიმღვრივისაკენ მიღრეკილება, ტემპერატურა დროთა განმავლობაში იწყებს კლებას და აციკლება, რაც ასევე დადებითად მოქმედებს ღვინის დაწმენდის პროცესზე და ღვინის ქვის გამოყოფაზე.

რაც შეეხება ღვინის ქვის გამოყოფას ღვინიდან, საყურადღებოა ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტი: ძველი ქვევრების კედლების გადანატეხებში შეიმჩნევა ძალზე წვრილად დამსხვრეული კაუის ქვის ნამტვრევები თიხაში მინარევის სახით, რასაც სავარაუდოდ შემდეგი დატვირთვა უნდა ჰქონოდა: როგორც ცნობილია, ღვინიდან ღვინის ქვის გამოყოფას ესაჭიროება ერთი მხრივ სიცივე, მეორე მხრივ ქვის კედლებში კაუის, ანუ სილიციუმის შემცველობა ძალზე დადებითად მოქმედებს თავად ქვევრის სიმტკიცეზეც.

ამრიგად, როგორც ზემოთ ითქვა, ქვევრი თავისი შინარსით, სწორედ რომ ფენომენალური ჭურჭელია, რომლის თვისებები და ღვინოზე დადებითად ზემოქმედება, სამწუხაროდ ჯერჯერობით ბოლომდე შესწავლილი არ არის.

ძველ მესხეთში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაზე მეტყველებს ის უამრავი ღვინის ქვევრი და მარანი, რომლებიც აღმოჩენილ იქნა ძველი ნასოფლარებისა და ნასახლარების გათხრების დროს.



ძალზედ საინტერესო მასალა მოგვაწოდა ამ კუთხით სამართლებრივი ბატონმა ვახტანგ ლიჩელმა (თსუ-ს პუმანიტპრეზიდენტის ფაქულტეტის არქოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის პროფესორმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდით. იგი გვამცნობს, რომ მიუხედავად მრავალჯერადი შემოსევებისა შუასაუკუნეების მთელს პერიოდში, რაც თთქმის ანადურუბლა ქვეყნის ეკონომიკას, მევენახეობის ტრადიცია მაინც შენარჩუნებული აღმოჩდა. ეს ფაქტები კარგადაა დადასტურებული სამცხის (სამხრეთი საქართველო) ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად. სოფელ აწყურში მარიამ ღვთისმშობლის ტაძრის ინტერიერში ჩატარებული გათხრების შედეგად გაირკვა, რომ VII-VIII საუკუნეებში აქ მდგარა დიდი, მყარ საფუძველზე აგებული შენობა, ჩემის აზრით, ტაძარი, რომლის სამხრეთით მარანი მოუმნებიათ. ჩვენ შევისწავლეთ მხოლოდ ამ მარნის მცირე ნაწილი, სადაც სამი სხვადასხვა ზომისა და მოცულობის ქვევრი გამოვლინდა – 100, 200 და დაახლოებით 800 ლიტრი ტევადობის.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანის X-XVI საუკუნის მრავალი საწნახელია მიკვლეული ამავე რეგიონში. კერძოდ, ადგილზე, რომელსაც მოსახლეობა ნავენახარს უწოდებს, გამოვლენილია შვიდი მარან-საწნახელი, რომლებიც XI-XVI საუკუნეებს განეკუთვნება. მათი კონსტრუქცია ზუსტად იგივე, რაც დღვევანდელ საწნახელებში გვხვდება. საინტერესოა, რომ რიგ შემთხვევებში თითო მარანში ორ-ორი საწნახელია გამართული, რაც შესაძლოა იმას მიანიშნებს, რომ აქ ერთი მეპატრონის კუთვნილი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი ერთდროულად იწურებოდა და სხვადასხვა თაღარში ჩაედინებოდა. მარნებში მიკვლეული საწნახელების ზომები სხვადასხვაგვარია: 2,8X1,5მ; აქვე მდებარე სხვა საწნახელის



## სიგრძე კი 11 მეტრია. საზოგადოდ საწნახელების ტევადობა 4-7 ტონაა.

მარნის კედლები ამოყვანილია დაუმუშავებელი ან ნაწილობრივ დამუშავებული ლოდებით. მათი ზომები გასხვავებულია, თუმცა საზოგადოდ მათი ქონფიგურაცია ერთოდაიგივეა.

საყურადღებოა, რომ ყველა მარანში აღმოჩნდა საწნახელთან საგულდაგულოდ გამართული რეზერვუარები, საქაჯავები, რომელშიც საწნახელში დაწურული ჭურქებიდან დარჩენილი მასა – ჭაჭა იყრებოდა და აქ კიდევ ერთხელ იწურებოდა მძიმე წნეხის ქვეშ. ამისათვის იყენებდნენ წისქვილის დოლაბის ქვებს ან სპეციალურად საქაჯავისათვის დამზადებულ მსხლის ფორმის ქვებს. მათი წონა დაახლოებით 150-200 კგ-ა.

საწნახელის ფსკერის ანაფხეკში, რომელიც ჰოლინოლოგიური ანალიზისათვის გაკეთდა, ხე-მცენარეთა შორის დომინირებს კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) მტვრის მარცვლების რაოდენობა – აღმოჩენილია მისი 12 მტვრის მარცვალი. არის აგრეთვე თხილის (*Corylus*) და ზეთის ხილის (*Olea*) მტვრის მარცვლები, რაც მებაღეობის განვითარებაზე მეტყველებს. მესამე ნიმუშში არის აგრეთვე კაკლის (*Juglans regia*) მტვრის მარცვლები (პროფ. ე. ფავააბის დასკვა).

ამ შენობაში ხდებოდა ღვინის დაწურვა და მიღებული წვენი გადაპქონდათ სოფელში, მარნებში შესანახად.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქართველი კაცისათვის მარანიც და საწნახელიც ყოველთვის წმინდა ადგილს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით საფურსადლებოა აწყურშივე გამოვლენილი №4 მარანი, რომლის ინტერიერში საკურთხეველი და წმინდა პურის ანუ კვერის პატარა საცხობი აღმოჩნდა. მარანში ჩასასხვლელი კიბის



მარჯვნივ, იატაკში ამოკვეთილ ოთხკუთხა ორმოში გამართული იყო ქვის ფილებისაგან შედგენილი საკურთხეველი. ესაა თხელი ფილებისაგან შეკრული ქაფუთი, რომელიც ასეთივე თხელი ფილებით იყო გადახურული.

მარნის წმინდა ადგილად გააზრების დასტურია აგრეთვე აქვე აღმოჩენილი სამკუთხა ფორმის თხის ფილა ქართული წარწერით „წმინდა გიორგი“. ეს მონაპოვარი IX საუკუნით თარიღდება.

განათხარი მარნები ქვითკირის საწნახელებითა და საქაჯავებით ნათლად წარმოგვიჩენენ ამ რეგიონში მეცნახეობა-მღვინეობის მნიშვნელოვან როლს მოსახლეობის მეურნეობაში. ამავე დროს ეს მარნები წარმოადგენენ შუასაუკუნეების ხალხური არქიტექტურის უაღრესად თავისებრუ ძეგლებს. საფურადლებოა, რომელ როგორც მარნები, ასევე საწნახელები ტიპოლოგიურად მსგავსია საქართველოს სახვა კუთხებში (კახეთი, ქართლი, ასუგის ხეობა) გათხრილი სინქრონული ძეგლებისა (რ. რამიშვილი, 1974, გვ. 21-29; გ. რჩეულიშვილი 1975, 1977, 1981, 1990, გვ. 101-103; ლ. ჭილაშვილი, 1975, გვ. 21-23). ამავე დროს, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ აქაურ მარნებში ვერ ვხვდებით ღვინის დასაღულებელ და შესანახ ქვევრებს. ჩვენი ზრით, ეს ნაგებობები საცხოვრებელი სახლებისაგან მოშორებით, ვენახებში იყო გამართული. ამას მოწმობს მსგავსი ვითარების დადასტურება არაგვის ხეობაში შუასაუკუნეებსა და გასული საუკუნის დასაწყისის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც (ნანობაშვილი ბ. 1960, გვ. 162; ჯ. სონდულაშვილი, 1974, გვ. 152).

ცალკე უნდა აღინიშნოს XV-XVI საუკუნეების №7 მარანში აღმოჩენილი წიპრების პალეობოტანიკური ანალიზის შედეგები. ირკვევა, რომ აქ შესაძლოა, ვაზის პრიმიტიულ ჯიშებთან გვაქვს საქმე. თუმცა არსებობს სხვა სახის ახსნაც – სამცხის, კონკრეტულად კი აწყურის მძიმე პილიტიკური

სიტუაციიდან გამომდინარე, რაც გაუთავებელ ომებში აისახა, შესაძლოა აქ ყოველთვის არ ტარდებოდა ყველა აგროტექნიკური (გასხვლა და ა.შ.) ოპერაცია. მევენახეობის განვითარების თვალსაზრისით ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დეტალია და კარგად შეესაბამება ამ ხანისათვის არსებულ ურთიერთებებს ისტორიულ პროცესებს. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული პროცესებისა, ისინი აფერხებდნენ, მაგრამ ვერ სპობდნენ ამ დარგის განვითარებას.

ამდენად, შეასაუკუნეების მევენახეობის შეფასების თვალსაზრისით უკანასკნელ წლებში აწყურის აღმოჩენები ასეთი დასკვნის საშუალებას იძლევა: გათხრების შედეგად მიღებული პალინოლოგიური მასალის შესაბამისად მეცამეტე საუკუნის ბოლო და შემდგომი სამი საუკუნე (XV-XVI სს) სამცხეში ხასიათდებოდა სულ სხვა ეკოლოგიური პირობებით. მუხის, ცაცხვის, ფშატის, ქაცვის, ხეჭრელის და ჯაგრცხილის არსებობა ტყეში იმაზე მეტყველებს, რომ აქ დღევადელთან შედარებით გაცილებით თბილი კლიმატი უნდა ყოფილიყო. თბილი კლიმატის არსებობის დასტურია აგრეთვე გვიმრა, გველის ენის, ტაბელას სპორების აღმოჩენა. გველა ჩამოთვლილი მცენარე დღეს იზრდება მხოლოდ ტყის ქვედა ზოლში და 700 მ ზემოთ არ იზრდება. აწყური კი ძღებარეობს 960 მ სიმაღლეზე. პილონოლოგ ელისო ყვავაძის დასკვნით, სწორედ ამ თბილმა კლიმატმა ხელი შეუწყო მევენახეობის მძლავრ განვითარებას.

ივარაუდება, რომ ამავე კლიმატის გამო ხარობდა აწყურში ზეთის ხილიც. მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს მომხდარმა ანომალურმა აციებამ თითქმის საბოლოოდ გაანადგურა მევენახეობა სამცხეში. აციება გლობალური და ხანმოკლე იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, სამცხის ტერიტორიაზე ახლაც არის შემორჩენილი ვაზის ჯიშები,



რომლებიც შესანიშნავადაა შეგუებული იქაურ მკაცრ კრისტენიზაცია  
და შესანიშნავადაც ხარობს.

მაგალითად: ვარძიის მთელ კომპლექსში აღმოჩნდა  
რამდენიმე მარანი. ზოგიერთ მარანში ქვევრების საკმაოდ  
დიდი რაოდენობა შეინიშნება. მაგ: 132-ე გამოქვაბულში 20  
ქვევრი იყო თავის დროზე, ხოლო 195-ე გამოქვაბულში -  
30 ქვევრი.

ვარძიაში ჩვენამდე მოღწეული და აღდგენილი 235  
ქვევრიდან ყველაზე მცირე 60 და 105 ლიტრი ტევადობისაა,  
ყველაზე დიდი კი 1782 და 1003 ლიტრი ტევადობის,  
უდიდესი რიცხვი ქვევრებისა 336 ლიტრის ტევადობისაა,  
ყველა ქვევრის საერთო ტევადობა კი დაახლოებით 91  
ათას ლიტრს შეადგენს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვარძიაში  
ღვინოს დერგებშიც ინახავდნენ. დერგების სიმაღლე, მისი  
ჩაკირვის მიხედვით, ერთი მეტრი უნდა ყოფილიყო. ამიტომ,  
ყოვლად შესაძლებელია, რომ ამ ქვევრებთან ერთად დერგებსაც  
ათავსებდნენ, აქედან გამომდინარე, დერგების საღვინე ჭურჭლად  
მცირე ორმოებიან საუნჯებში გამოყენებაც ჩვეულებრივ  
გარემოებად უნდა მივიჩნიოთ. ამის გამო ვარძიაში  
შესაძლებელი იყო მოყვანილ რიცხვზე გაცილებით მეტი  
რაოდენობის ღვინის შენახვა. ქვევრებს უმეტესად გარედან,  
ყოველ 8-12 სმ-ზე სალტევები-ქამრები გასდევს ლილვების  
სახით, მათი სიგანე 19-28 მმ-ია, სისქე კი საშუალოდ 12 მმ-  
ა. ზედა პირველი ქამარი ირიბი, წაგრძელებული ჭდევებითაა  
შემკული. ქვევრის ძირი ცილინდრული ფენით „პოჭოჭიკით“  
მთავრდება, რომელიც ან სწორეა, ან ზემოოქენ გაშლილი.  
ქვევრი შიგნიდან გლუვია და უმეტესად ხეხვისაგან  
მნიშვნელოვანი გაცვეთა უმჩნევა. საყურადღებოა ქვევრის  
ჩადგმისა და დაკირვის წესიც. ჩასადგმელი ქვევრების  
რიცხვისა და სიდიდის ვარაუდის დაჭერით წინასწარ ხდებოდა  
დაახლოებით ოთხჯუთხი ან გამოქვაბულის შესაბამისი ფორმის



დიდი ორმოს ამოჭრა 1,1-1,4 მეტრის, იშვიათად უფრო მეტრული სიღრმისა. შემდეგ თითოეული ქვევრის ზომის მანევრებით იმავალი მოსათავსებელი ქვევრებისათვის ორმოს გვერდების შესაბამისი გაგანიერებაც. კლდის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ხდებოდა ქვევრების ჩაკირვა, კლდეში ამოჭრილ ჩაღრმავებაში კირის ხსნარის ჩასხმისა და შიგ ქვევრის ჩაღვმის შემდეგ წარმოებდა ქვევრის ირგვლივ 30-40 სმ-ის სიმაღლეზე ქვევრებისა და ნამსხვრევი კერამიკის შემოწყობა და მიწის შემოფრა, ამის შემდეგ ადვილად ხორციელდებოდა კირის ხსნარის ჩასხმა ქვევრსა და ამ თავისებური ქვებისაგან შედგენილ კალაპოტს შორის, ქვევრის ირგვლივ ქვების შემოწყობა და კირის ხსნარის ჩასხმა მეორდებოდა. მანამდე, სანამ ქვევრი მოლიანად არ დაიკირებოდა ქვევრის ზედა ნაწილი მხოლოდ კირით გადაილესებოდა ხოლმე. ქვევრის დაკირვის შემდეგ წარმოებდა იატაკის მიწით მოსწორება და დატკეპვნა. ქვევრებს სარქველებად ჰქონდა ბრტყელი, დაახლოებით 10 სმ-ის სისქის და წრიული მოყვანილობის ქვები, რომელთა საკმაო რაოდენობამ დღემდე მოაღწია.

სადღეისოდ ვარძიაში მხოლოდ 18 ქვევრია მოლად დარჩენილი, ამ ქვევრების ფსკუზე, გაწმენდის დროს, ნანახი იყო ძველთაგან ჩარჩენილი ფურძნის წიპრა, ჩვენამდე მოლად მოღწეული ქვევრები ერთი გარკვეული ფორმის არაა. მათი უმრავლესობა ჩვეულებრივი მოყვანილობისაა, მცირე ნაწილი ფართოა. ამის გარდა, ჰორიზონტალურ კვეთში ყველა წრიული არ არის, არამედ ოდნავ ოვალურია, მათ შორის ისეთი ქვევრებიცაა, რომელთა დამეტრის სხვაობა თითქმის 10%-ს აღწევს. ქვევრის ფორმის ასეთი სხვადასხვაობა ვარძიის მარნების საერთო ტევადობის გარკვევას ართულებს.

ადგილობრივ მოსახლეობაში დღემდე შემორჩენილი საინტერესო გადმოცემა ვარძიაში ღვინის დაყენებისა და



მოხმარების შესახებ. კერძოდ, გადმოცემით, ტელად ვარიაცია  
მყოფი მამაკაცი ყოველდღიურად მოიხმარდა 1,5, ლიტრ  
ღვინოს, ხოლო ქალი 0,7 ლიტრს.

მარნის განხილვის შემდეგ, საჭიროა მათთან დაკავშირებულ  
ერთ-ერთ მოწყობილობას გავეცნოთ. ეს მოწყობილობა  
წარმოადგენს წნებს. ვარძიის კომპლექსში 9 ასეთი  
საწნახელია გადარჩენილი, მათი ზომა ასეთია: სიგრძე 40-  
50 სმ, სიგანე 30-35 სმ-დება, ხოლო სიღრმე 15-29 სმ-ია.  
ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მივდივართ იმ  
დასკვნამდე, რომ ვარძიის კომპლექსში იმ დროს არა მარტო  
ინახავდნენ ღვინოს, არამედ აყენებდნენ კიდეც.<sup>26</sup>

ვარძიის მახლობლად მდებარე სოფლებში ჭაჭკარსა და  
თორევში მიწის სამუშაოების ჩატარებისას ნანახსა ქვერებიც.  
ამ სოფლების მოსახლეობას ძველი მუურნეობის შესახებ  
ბევრი საყურადღებო ცნობა მეხსიერებაში ახლაც აქვს  
დარჩენილი. ამ მხრივ საგულისხმოა ქვევრის ნაწილების  
ტერმინები. ქვევრის იმ ზედა ნაწილს, საიდანაც სითხის  
ჩასხმა და ამოღება წარმოებს, ადგილობრივი მოსახლეობა  
„შურდოს“ ეძახის, ქვევრის ქვედა ნაწილს „ძირს“, ხოლო  
ზედას, განიერს - „გვამს“- ქვევრებზე გარედან მოვლებულ  
ზოლებს, რომელნიც სიმაგრისთვისაა განკუთვნილი „ქამრებს“  
უწოდებენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთში ჭურები კეთდებოდა  
ჯავახეთის თიხით. კერძოდ, სოფელ ვარგავის თიხით, რომელიც  
პროფესორ მერაბ ბერიძის გადმოცემით ერთ-ერთი საუკეთესო  
თიხა იყო ჭურის ამოსაყვანად. ამასთანავე, იგი აუცილებლად  
მთის წყაროს წყლით უნდა ზელილიყო.<sup>27</sup> საყურადღებოა  
ის ფაქტიც, რომ მესხეთში ჭურის სარქველად გამოიყენებოდა  
მხოლოდ ქვა, რომელსაც შეა ნაწილში ჰქონდა ხვრელი.  
ღვინოს დაღუღების შემდეგ ხდებოდა მისი შემოლესვა თიხით  
და ზემოდან აყრიდნენ ჩვეულებრივ მიწას.

მესხეთში აღმოჩნდა უამრავ მარანსა და ჭურებს შორის გვინდა კიდევ ერთ მარანზე გავამახვილოთ მკოტხველობის ფურადღება. ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევში, ერთ-ერთი ბინის საძირკვლის გათხრის დროს, შემთხვევით აღმოჩნდა მიწის ქვეშ მოქცეული ღვინის დიდი მარანი. მარანში ჩამარტული 10 ქვერიდან, 5 სავსე იყო სხვადასხვა ფერის ღვინით, ღვინო თუმცა გაწყალებული იყო, მაგრამ შენარჩუნებული პქონდა თავისი ფერი (ჩალისფერი, მუქი ჩალისფერი, თაფლისფერი, ღია ჩალისფერი და მუქი ჩაისფერი).

## ღვინის დაყვენება შინაურ პირობებში

საქართველოში ღვინის დაყენებას ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევოდა. რამდენადაც ღვინოს ქართველი კაცის ცხოვრებაში დიდი მისია პქონდა დაკისრებული. მას სამკურნალო დანიშნულებაც პქონდა. ამიტომაც, ღვინის დაყენება ხდებოდა მხოლოდ ყურძნის წვენით და ყოველგვარი დანამატების გარეშე. ეს იყო ქართული ღვინის უპირატესობა კვრიპულ ღვინოებთან. ღვინის დაყენების შესახებ მნიშვნელოვანია იღლა ჭავჭავაძის მოსაზრება. იგი 1887 წელს ქართული ღვინის რუსეთში გატანის საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ეხლა ჩვენი ღვინოს ბაზარი რუსეთია. ჩვენი გულითადი რწმენა ეს არის, რომ ჩვენი ღვინოები ამ დიდს ბაზარში ფეხს მოიკიდებს, თუ ჩვენი ძველებური პატიოსანი საგანი ღვინის კეთებისა არ შევცვალეთ. ამ ბაზარშა გული უნდა დააჯვროს რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა. რომ ჩვენს ღვინოში არა არის-რა, გარდა ყურძნის წვენისა. ჩვენებურს ღვინის კეთებას დღევანდლამდე ამის მეტი სხვა საგანი არა პქონია. თუ



ჰსურთ, რომ რუსეთის ბაზარში ჩვენმა ღვინომ აფგილი დაიჭიროს და ევროპულს ყალბს ღვინოებს აჯობოს და განვითარებას, დააცლევინოს, ეს მარტო იმით შესაძლოა მოხდეს, რომ გასამკლავებლად ევროპულს ყალბ ღვინოს ჩვენი მართალი ღვინო პირში წავუყენოთ. არ არის კაცი ქვეყანაზე, რომელმაც მართალი ყალბს არ ამჯობინოს.“<sup>28</sup> ამრიგად, ილია ჭავჭავაძე მოძღვრავდა ქართველ მეღვინეებს, რომ არ შეელახათ ქართული ღვინის ღირსება და მხოლოდ სუფთა ღვინო დაეყენებინათ.

როგორც ერთმა ხალგაზრდა ქართველმა პოეტმა აღნიშნა: „საქართველოში ყველაზე დიდი საოცრება არის ქვევრიდან ამოვარდნილი სურნელი. ამაზე კარგი, ამაზე ნაძღვილი, ამაზე ბებერი და უბერებელი ჩვენს ქვეყანაში არაფერია. ღვინო უკვდავია.“ ქვევრში დაყენებული ღვინო გამოირჩევა არაჩვეულებრივი გემოთი და მდიდარია სასარგებლო მიკროელემნტებით.

ღვინის დაყენება შინაურ პირობებში საკმაოდ აქტუალური თემაა როგორც საქართველოსათვის, ასევე მესხეთისთვისაც. დღესდღეობით შინაურ ღვინოს თითქმის ყველა ოჯახში აყნებენ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში, არ იცავნ შესაბამის ტექოლოგიურ პროცესებს, რაც ძალზე ხშირად ღვინის ხარისხს აუარესებს. ღვინის დაყენების მთავარი პირობაა სისუფთავისა და პიგინის დაცვა, რომელიც აუცილებელია მაღალხარისხოვანი ღვინის დასაყენებლად.

ღვინის ხარისხი ვენახიდან იწყება და ამრიგად ვენახისა და ფურინის მართებული მოვლა-მოყვანა, სწორი და დროული რთველი მაღალხარისხიანი ღვინის საწინდარია. ხშირად მწიფე მტევანს დაკრეფამდე საგრძნობლად აზიანებენ ქრაზანები და სხვა მავნებელი მწერები, რომლებიც ყურძნის ფიზიკურ დაზიანებასთან ერთად ხელს უწყობენ მომავალი ღვინის დამძარებასა და დაავადებას, რადგან გადააქვთ და

ავრცელებენ რძე-მუავა ბაქტირიებს. ამ არასასურველი პროცესის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ასეთ ხელზე: ხეივანში დაახლოებით ყოველ ხუთ მეტრზე ჩამოკიდებენ ბურახით ნახევრად სავსე ბოთლებს, ბურახის სუნი მავნებლებს იზიდავს და ისინი ბოთლში ცვივიან და იხრჩობიან. მოკრეფილი ფურძენი დაუყოვნებლივ უნდა გადამუშავდეს, ფურძნის დაყოვნება რეკომენდირებული არაა. თუ ფურძნის გადატანას ვაპირებთ, იგი უნდა გადავიტანოთ ხის ან პლასტმასის ფუთებით, არასასურველია დამტვერიანება და მექანიკური დაზიანება, მოსარიდებულია დაკრეფილი ფურძნის მხეზე დიდხანს გაჩერება. ეს ყოველივე უარყოფითად მოქმედებს საბოლოო პროდუქციის ხარისხზე<sup>29</sup>

## შურძნის დაწურვება

ფურძენს სწურავენ სპეციალურ მექანიკურ ხელის საჭყლეტში. საჭყლეტის ის დეტალები, რომლებსაც ფურძენი უშუალოდ ეხება, რკინის არ უნდა იყოს. ერთ-ერთ საუკეთესო ვარიანტს წარმოადგენს რეზინისბორბლებიანი საჭყლეტი, რომლის გამოყენების დროს გამოირიცხება როგორც დაჭყლეტილი ფურძნის რკინით „გამდიდრება“ (რაც აუარესებს ღვინის ფერსა და ხარისხს), ასევე მარცვლის წილების დამტვრევა და ამის შედეგად პროდუქციის გემოს გაუხეშება და გამწარება, რაც ძლიზე ხშირია. საწნახელის დასამზადებელი მასალებიდან უპირატესობა ეძლევა ცაცხვის ხეს, რადგან ცაცხვი არის მსუბუქი მასალა, დიდხანს ძლებს და არ გააჩნია რაიმე სუნი და გემო.

მესხეთში, საქართველოს სხვა გუთხეებისაგან განსხვავებით, ტრადიციულად – საუკუნეების მანძილზე ფურძნის საწურად



გამოიყენებოდა ქვის საწნახელები, რაზეც მიტყველებს შეუმოგუდებ  
მოყვანილი მასალაც. ამჟამინდელი ძღვომარეობით გამოიყენება  
თანამედროვე ხელით საწური საშუალებები.

## დუღილი

ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია ფურძნის ალკოჰოლური  
დუღილი. იგი დაახლოებით 7-14 დღე გრძელდება (მხაფრი  
და წყნარი დუღილი). შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესის  
დროს დაშვებულ შეცდომას (დუღილის პროცესის  
უკონტროლოდ ჩატარებას) გამოუსწორებული შედეგები  
მოჰყვება და ხშირად საქმე ღვინის გაფუჭებით მთავრდება.  
ალკოჰოლური დუღილი მთლიანად უნდა კონტროლდებოდეს  
და იმართებოდეს. ღვინის ხარისხის გაუარესების თავიდან  
ასაცილებლად. დუღილის პროცესმა თანაბრად და  
შეუჩერებლად უნდა ჩაიაროს. ხშირია შემთხვევა, როდესაც  
დუღილის პროცესი მის დასრულებამდე ჩერდება და  
ღვინო დაუდევდებული რჩება, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი  
მიზეზები აქვს. აღსანიშნავია, რომ თეთრი ღვინო, რაც უფრო  
დაბალ ტემპერატურაზე დაიდუღებს (დაახლოებით 8-12  
გრადუსი „ცივი დუღილი“) მთ უფრო არომატული გამოდის,  
მაგრამ ამ დროს დიდია დუღილის შეჩერების რისკი. ასევე  
დაბალი ტემპერატურის გამო დუღილის პერიოდი შეიძლება  
თვე ან თვენახევარი გაგრძელდეს, რის დროსაც შესაძლოა  
ღვინო დაავადდეს (დაძმარდეს). შეჩერებული დუღილის  
ბოლოძე მიყვანა, გარდა გამოსაკლისი შემთხვევებისა, თითქმის  
შეუძლებელია. ამიტომ, ყველა ღონე უნდა გამოიძენოს  
იმისათვის, რომ ალკოჰოლური დუღილის პროცესმა  
ოპტიმალურად ჩაიაროს და გამორიცხული იყოს ისეთი  
ელემენტარული შეცდომები, რომელთა თავიდან აცილება

შესაძლებელია. კურძოდ, დუღილის პროცესი შემთხვევაში შეაჩეროს მაღალმა (30 გრადუსზე ზემოთ) და დაბალმა (10 გრადუსზე ქვემოთ) ტემპერატურაში. ზედმეტად მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე, საფუარების აქტივობა ნელღება ან წყდება. ასევე აბრკოლებს დუღილის ფურძნის ძალზე მაღალი შაქრიანობა, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა და სხვა. დუღილის ოპტიმალურ ტემპერატურას მიიჩნევენ 23 გრადუსს. აღკოპოლური დუღილის შეჩერების მიზეზი შესაძლოა უპარობაც იყოს. დადუღებული ღვინო მასში შაქრების არსებობის გამო დაბალალკოლინი და მღვრიე გამოდის.

## ღვინის მოვლა და შენახვა

ახლად დადუღებული ღვინის ჭურჭელი ბოლომდე უნდა გადაივსოს, ხოლო ღვინო თავდაპირველად ხშირად უნდა გადაიღონ. ლექს ახასიათებს გახრწნა, რაც თავდაპირველად ცუდად მოქმედებს ღვინის ხარისხზე. მაღულარ არეს ესაჭიროება დარვა, ჭაჭას ურევენ დღეში 3-5 ჯერ, ეს ოპერაცია ემსახურება მაღულარი არის ზედაპირზე ამოტივტივებული ჭაჭის („ქუდის“) ჩარევას და ამით გამოირიცხება ამოტივტივებული ჭაჭის დაუანგვა, დაძმარების პროცესის დაწყება და ღვინის ხარისხის გაუარესება. თუკი დუღილის პროცესში ჰაერაცია და გარკვეული რაოდენობის სითბო დადებითად მოქმედებდა მაღულარ არეზე, დუღილდამთავრებულ ღვინოს ესაჭიროება ჰერმეტულობა და შენახვის დაბალი ტემპერატურა, ღვინოს ინახავენ არაუმეტეს 15 გრადუსზე. საერთოდ კი ღვინოს შენახვა კარგია დაბალ ტემპერატურაზე. ღვინო იმდენჯერ უნდა გადაიღო, რამდენჯერაც ის მოითხოვს.

## მუხის კასრი

მუხის კასრში შენახულ ღვინოს განსაკუთრებული გემო და ხარისხობრივი მახასიათებლები აქვს. იგი ღვინის დავარგებაშიც მონაწილეობს, აუმჯობესებს ღვინის გემოს და აძლევს მას მეტ სიმტკიცეს. ღვინის კასრის შეღებვა დაუშვებელია, საღებავი ავსებს ფორმებს და ზღუდავს მასში ფანგბადის მოძრაობას, რაც აუცილებელი პირობაა ღვინის დავარგებისათვის. ცარიელი კასრების ღია ცის ქვეშ შენახვა არ შეიძლება, რადგან ასეთ შემთხვევაში კასრი გამოშრება, დაკარგავს ჰერმენტულობას და მაღლე დაიშლება, იმისათვის რომ ცარიელ კასრებში შენახვისას ობის გამომწვევი სოკო არ განვითარდეს, მას თვეში ერთხელ უნდა ჩაუბოლდეს გოგირდი, რის შემდეგაც კასრს უკეთდება საცობი. გასათვალისწინებელია, რომ კასრის გამოსარეცხი წყალი უნდა იყოს სუფთა და სასმელად ვარგისი.

## მარანი და მისი პიგიენა

მარანი წარმოადგენს, როგორც ღვინის შესანახს, ისევე მის დასაღულებელ და დასაშუალებელ აღვილს. მარანი უნდა იყოს გრილი, მას უნდა ჰქონდეს კარგი სავინტილაციო სისტემა და სასურველია საკანალიზაციო გაყვანილობები, ასევე წყლის ონგანი. იმისათვის რომ მარანში იყოს ტექნოლოგიური პროცესებისათვის სასურველი ტემპერატურა (15 გრადუსი) და ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, (75-85%) მას ხშირად მიწის სიღრმეში აშენებენ, ხშირად სარდაფის კადლებსა და ჭერს ჰიგიენისათვის კირით ათეთრებენ. „ღვინოს უთქვამს მომიარე და მოგივლიო.“ მხოლოდ გულმოდვინე და წესიერი მოვლით დგება უზადო და საღი ღვინო...

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მესხეთში ჩატარებული ცდებისა და გამოკვლეულის დაღებითი შედეგის საფუძვლისა 1947 წელს ჩამოყალიბდა შამპან-კომბინატის წრიოსის მევნახეობის საბჭოთა მუზეუმი. 1950 წელს კი აშენდა ჰიდრავლიკური წნევებით აღჭურვილი ღვინის დიდი მარანი, რომელსაც შეიძლება დღედამეში 50 ტონა ფურმენი გადაემუშავებინა.



დავით და ლევან თამარაშვილები

ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ძირძველმა მესხებმა – ძმებმა დავით და ლევან თამარაშვილებმა, რომლებიც ამჟამად თელავში ცხოვრობენ, შექმნეს ღვინის ჩამოსასხმელი საწარმო, სადაც ჩამოასხეს საკუთარ ზვრებში დაკრეფილი რქაწითელი ყურძნის ტებილი, ღვინო ჩამოასხეს ბოთლებში და მას უწოდეს მათი და ჩვენი დიდი წინაპრის მიხეილ თამარაშვილის სახელი, რომელიც მიუძღვნეს მისი გარდაცვალების 100 წლისთავის. მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავის იუბილე აღნიშნეს

იტალიაშიც, კურძოდ ვატიკანში, სადაც გარკვეული დროის განძვლობაში მოღვაწეობდა მიხეილ თამარაშვილი. აღნიშნული ლვინის გარკვეული ნაწილი მესხეთის დელეგაციამ (ანზორ თამარაშვილი, ნუგზარ თამარაშვილი, ზაზა თამარაშვილი, ნიკოლოზ ბეგიშვილი), რომლებიც ობილებზე იყვნენ მიწვეულნი, იტალიის წარმომადგენლებს და ვატიკანში საქართველოს ელჩს ქალბატონ ქეთევან ბაგრატიონს გადასცეს საჩუქრად. საჩუქრამა დიდი მოწონება დაიმსახურა იტალიელებს შორის.

მარანს მესხეთში არცთუ ბევრ ადგილზე ვხვდებით, ძალზედ გემოვნებიანად აქვს აშენებული სოფელ თმოვეის მცხოვრებს ბატონ კლადიმერ ზაზაძეს. მის ეზოში ტერასებზე და ტალავერებზე გაშენებული აქვს თამარის ვაზი, სამარიობო, რომელსაც საკუთარ მარანში წურავს. მარანში თაროებზე დალაგებული აქვს საღვინე ჭურჭელი, როგოც ძველი, ისე ახალი წარმოების.

მარნის ერთი განუყოფელი ნაწილია ბუხარი. იგი წარმოადგენს ბუნებრივი ვენტილიაციის საშუალებას, ე.ი. ბუხრის საშუალებით მარანში მუდმივად მიმდინარეობს ჭარბი ტენის გაწოვა, ბუხარი ასევე მუშახელის გასათბობად გამოყენება და ბოლოს ბუხარი წარმოადგენს მარანში საქეიფო ადგილსაც, რომლის მსგავსი სხვა ხალხს არ აქვს.<sup>30</sup>

ასევე კეთილმოწყობილი მარანი აქვს ქალაქ ახალციხეში გიორგი ნათენაძეს, სადაც ჭურებში წურავს მესხურ ყურძენს, 2-3 წლის შემდეგ ასხავს ლამაზ ეტიკეტიან ბოთლებში. მის მიერ ჩამოსხმული მესხურ ლვინოს დიდი წარმატება ხვდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.



ღვინის სმის ხელოვნება ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმ კატეგორიის ღვინის დასალევად ჭიქის შერჩევას, ღვინის ტემპერატურის დაცვას და კერძოან შესაბამისობას.<sup>31</sup>

## ფიქის შერჩევა

ღვინის დასალევად გამოიყენება თხელი, გამჭვირვალე მინისაგან დამზადებული ჭიქა. შესაფერისი ჭიქის გამოყენებით ადამიანი შეიგრძნობს ღვინის არომატს, გემოსა და ფერს. ღვინის ფერის უკეთ შეგრძნების მიზნით, ოთახში უნდა იყოს ნორმალური განათება, ჭიქა უნდა გაირეცხოს თბილი წყლით, დაუშვებელია გამრუცხი საშუალებების გამოყენება. ჭიქა უნდა გაშმრალდეს სუფთა და შმრალი ტილოთი.

ღვინოს ამშვენებს გამჭვირვალე თხელი მინისაგან დამზადებული, ზომიერი მოცულობის (120-150მლ) ფეხიანი ნაზი ჭიქა, რომელიც უნდა შეიცხოს მისი მოცულობის 2/3-ით.

## ღვინის ტემპერატურა

სასურველ ტემპერატურაზე ღვინო მიყვანილ უნდა იყოს თანდათანობით, ღვინო უნდა იყოს გაციებული, მაგრამ არა გადაცივებული ან გაყინული.

ღვინის სასურველ ტემპერატურაზე მიყვანის მიზნით დაუშვებელია:

- ძლიერ გაციება ან გაყინვის ტემპერატურაზე მიყვანა;
- გასაციებლად საყინულის გამოყენება;



- გასაციებლად ჭიქაში ყინულის ნატეხების ჩაყრაჲ
- გათბობის მიწნით ბოთლის ცხელ წყალში მოჰქვეშებითა ან გასათბობად ბატარიაზე დადგმა.

სუფრაზე მიტანილი უნდა იქნას:

- შმრალი, თეთრი და ვარდისფერი ღვინოები -8-12 გრადუს ტემპერატურაზე;

- თეთრი, ნახევრადმშრალი, ნახევრადტკბილი ცქრიალა და შუშეუნა ღვინოები 6-8 გრადუს ტემპერატურაზე;

- შმრალი სხეულიანი წითელი ღვინოები 18-19 გრადუს ტემპერატურაზე;

- ნახევრადტკბილი, ნახევრადმშრალი და მსუბუქი წითელი ღვინოები 10-12 გრადუს ტემპერატურაზე.

უნდა გვახსოვდეს, რომ სუფრაზე ხდება ღვინის თვითგათბობა 6-8 გრადუს ტემპერატურაზე. გაციებული ღვინო ოთახის ტემპერატურაზე (18 გრადუსი) 10 წუთის შემდეგ, 10-12 გრადუსამდე თბება. სუფრაზე სხვადასხვა ღვინის მიწოდების შემთხვევაში უნდა შეიცვალოს ჭიქაც.

## ღვინის ბოთლის გახსნა

ღვინის ბოთლის გახსნა სათანადო ყურადღებას მოითხოვს. ბოთლს სპეციალური დანით უნდა შემოვაჭრათ ბოთლის ყელიდან 1 სმ-ის დაცილებით ლითონის ან პოლიეთილენის დალფაქის თავი და მოვწმინდოთ შმრალი, სუფთა ტილოთი. საცობის ამოსალებად უნდა გამოვიყენოთ საცობის კარგი ხარისხის ამოსალები, რომელიც საცობის ცენტრში უნდა ჩაიხრახნოს მის მთელ სიგრძეზე. ბოთლიდან ამოღებული საცობი მაშინვე უნდა დაყნოსოთ. თუ მას აქვს „საცობის სუნი“ ბოთლი უნდა შეიცვალოს, გახსნილი ბოთლის ყელი მოწმინდეთ სუფთა ტილოთი.

## შიდაში ღვინის ჩასხმა

ჭიქაში ღვინის ჩასხმის დროს ბოთლი არ უნდა დაიკავოთ ძალიან მაღლა. ბოთლის ყელი მიიტანეთ ჭიქასთან ისე რომ, ღვინო ბოთლიდან გადმოდიოდეს ნელა. გაფრთხილდით, რომ ღვინო არ ჩამოიღვაროს ბოთლის კედელზე. ბოთლის ყელი არ უნდა დააყრდნოთ ჭიქას. შეეცადეთ, რომ ღვინის ბოლო წვეთი არ დაეცეს სუფრაზე. ამისათვის საკმარისია ბოთლი ფრთხილად შეაბრუნოთ და ერთდროულად ასწიოთ მაღლა. ბოთლის ყელი მაშინვე მოწმინდეთ სუფთა ტილოთი, მანამ, სანამ დაუსხამდეთ მარჯვნივ მჯდომ სტუმარს, ბოთლი ისე უნდა დაიჭიროთ ხელში, რომ ჩანდეს ეტიკეტი, რომელიც წარმოადგენს ღვინის სავიზიტო ბარათს. ჭიქა არ გაავსოთ ბოლომდე.

## ღვინის საჭმელთან შესამება

ამა თუ იმ საჭმელთან ღვინის შეხამების წესი ჩამოყალიბებულია მრავალწლიანი პრაქტიკით. ღვინის სმის დროს უნდა შეინარჩუნოთ ტაქტი და არ მიირთვათ ზომაზე მეტი. უნდა გახსოვდეთ, რომ შმრალი ღვინო უნდა მიირთვათ ტებილზე ადრე, თეთრი შმრალი ღვინო - წითელზე ადრე, წითელი ღვინო - ლიქორული ტიპის ღვინოზე ადრე, ახალგაზრდა ღვინო - ყველაზე ადრე. ღვინო არ უნდა მიირთვათ ძმით შეზავებულ კერძებთან. ამ შემთხვევაში მიირთვით წყალი.

- თევზეულთან და ზღვის სხვა პროდუქტებთან შმრალი თეთრი ღვინო უნდა იქნეს გამოყენებული;
- საუზმესთან შმრალი თეთრი ან ნახევრადმშრალი და ვარდისფერი ღვინოები;



- თეთრი ხორცისაგან დამზადებულ საჭმელთან (ხბრის, ბატქნის, ღორის და ცხვრის ხორცისაგან დამზადებულ საჭმელთან) წითელი ღვინოები;
- ხილთან და დესერტთან თეთრი და წითელი ნახევრადმშრალი, ნახევრადტკბილი, ცქრიალა და შუშხუნა ღვინოები.

## სუფრა, თამადა, შეიფი

მესხეთში ადამიანის დაბადებას ლხინის სუფრით აღნიშნავენ. მისი ამ ქვეყნიდან გაცილებაც ჭირის სუფრით ხდება, საზეიმო სუფრას ქიფი ეწოდება, ხოლო სამგლოვიაროს ქლები. სუფრა მაგიდის გაწყობას, სტუმრების დაპურებას და ზეიმის მოელ ცერემონიალს გულისხმობს, რომელსაც ქიფი ეწოდება. წინაპართაგან, კერძოდ მერაბ მერაბიშვილის გადმოცემით, მესხეთში თამადას ოჩჩევს ოჯახის უფროსი თუ სუფრაზე 15 კაცზე მეტი მსხდომია, ან მასზე ნაკლებია, მაშინ ოჯახის უფროსი, ან ოჯახის რომელიმე წვერი გაწევს თამადობას. თამადა სუფრის მაგიდის თავს ნიშნავს. ენათმეცნიერები ამტკიცებენ, რომ როგორც „თამადა“ ისე „ღვინო“ ქართულ წიაღში წარმოშობილი სიტყვებია და უთარგმნელადაა შესული მეზობელი ხალხების ლექსიკაში.

თამადობა ხელოვნებაა და სუფრის გაძლოლას გამოუცდელი პირი ვერ შესძლებს. თამადა წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს, აკონტროლებს სუფრის მსვლელობას, ოჩჩევს სხვადასხვა სასმისს და არის სუფრის ერთპიროვნული ხელმძღვანელი. მაგრამ ნიჭითერი თამადის დიქტატურა სუფრის ყველა წევრისათვის მისაღები ხდება, რაღანაც სადღეგრძელოებს მოყვება სიმღერა, ცეკვა, ლექსი და სხვადასხვა ხელმრობა. თამადა ასევე უნდა იყოს კარგი მსმელი, იგი ბოლომდე სვამს სასმისებს, აპირქვავებს მათ და სხვებსაც

მოუწოდებს დაცლას. თამაღა განსხვავებულ სადღეგრძელობს განსხვავებული სასმისით სვამს, როგორიცაა: სხვადასხვაოւა ტევადობის ვაზა, თასი, ჭინჭილა, ჯამი და სხვა. ტრადიციულად სუფრაზე ყველაზე მეტად გავრცელებული განსხვავებული სასმისია ყანწი.

საუკეთესო თამადები უნდა იყვნენ გარკვეულწილად პოეტებიც და მოძღვრლებიც, მათ უნდა გაუკეთონ ორგანიზება მრავალხმან სიძღვრებს, რის გამოც წარმოუდგენელია ლხინის სუფრა. მესხურ სუფრას ახასიათებს მრავალხმანი მესხური სიძღვრები: „მესხური მრავალეამიერი“, „მამლიმუხა“, „ოთხი წყარო დის“, „ავთანდილ გადინადირა“, „სამურელო“, „მმნო“, „ოქრომჭედელო“ და ა.შ. ასეთ თამადებად მესხეთში ადრე მოიაზრებოდნენ ვალერიან ჯაფელი, კუპური თორდია. დღისათვის კი ომარ ჯაფელი (ახალციხის საპატიო მოქალაქე), ვასილ კვინცხაძე (პოეტი), შალვა კელოშვილი (პოეტი), ზაზა თამარაშვილი (ხალხური სიძღვრების უბადლო შემსრულებელი) და სხვები.

2009 წელს ქალაქ ახალციხეში ჩატარდა თამადების სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური კონკურსი. მასში მონაწილეობა მიიღეს ასპინძის წარმომადგენელმა მალხაზ სანდოროშვილმა, ალექსის წარმომადგენელმა შალვა კელოშვილმა, ახალციხის – ვასილ კვინცხაძემ, ახალქალაქის – მიქელაძემ და ბორჯომის – გიორგი ფერაძემ. თითოეულ მათვანს უნდა ეთქვა სამი სადღეგრძელო. კონკურსში გაიმარჯვა შალვა კელოშვილმა. მას მოუწია შემდეგი სადღეგრძელოს წარმოთქმა: ვაზის, დედის და სიყვარულის. მას, როგორც გამარჯვებულს – საჩუქრად გადაეცეა: ხმალი და ფულადი ჯილდო. ქართველი თამადების პაუქრობა შემდგომ გაგრძელდა ქალაქ გორსა და ბაკურიანში. ბაკურიანში ვახუშტი კოტეტიშვილმა შალვა კელოშვილი „აკურთხა“ სამცხე-ჯავახეთის თამადად.



მესხურ სუფრაზე სასიმღერო სუფრულები აღყდგინა და დაამუშავა ვალერიან მაღრაძემ შოთა ალთუნაშვილთან და ანზორ თამარაშვილთან ერთად. ბატონი შოთა ალთუნაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფორკლორულ ანსამბლს „მესხეთს”, რომელიც დაარსებულია 1949 წელს. ამჟამინდელი მდგომარეობით კი ანსამბლს ხელმძღვანელობს ზაზა თამარაშვილი – მესხეთის კოლორიტი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ახალციხის ციხის ტერიტორიაზე 2014 წლის 30 ივნის, ახალციხობის დღესასწაულზე, ანსამბლს გაუხსნეს ვარსკვლავი.

## ღვინო და ჯანმრთელობა

საქართველოში ღვინო უძველესი დროიდანვე გამოიყენებოდა, როგორც სასმელად ასევე სამკურნალო საშუალებად. აღნიშნულის დასაბუთებას წარმოადგენს ძველ ქართულ წყაროებში დაცული მდიდარი მასალა. ღვინო ხალხური მკურნალობის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად არის დასახელებული.

ამჟამინდელი მდგომარეობით მედიკოსთა მიერ მუციურულადაა შესწავლილი ღვინის სამკურნალო თვისებები. მათ მიერ დადგენილ იქნა, რომ ღვინის რამოდენიმე ჭიქა ღვინის მოხმარება სასარგებლოვა ადამიანის ორგანიზმისათვის და იცავს მას ონკოლოგიური დაავადებებისაგან. ღვინის ზომიერი მოხმარება (1-3 ჭიქა ღვინი) 45-48%-ით ამცირებს გულის შეტევების რიცხვს იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც საერთოდ არ სვამენ ღვინოს. ყურძნის წვენი ააქტიურებს ღვიძლის მუშაობას, ამცირებს ნაწლავებში შხამებს, შლის მათ და „ერეკება“ ღვიძლიდან, ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, დადებითად მოქმედებს ფილტვებისა

და თირკმელების დაავადებაზე, აწყნარებს ნერვებს და ამავე დროს ფურძენი ითვლება საუკეთესო დიეტურ საკვებადო როგორიცაა მარილის განვითარებისათვის.

დადგენილია, რომ ქიმიური შემადგენლობით ღვინო მართლაც ახლოსაა ადამიანის სისხლთან, ფურძნისაგან მიღებული ღვინო შეიცავს ორ ძირითად ამინომჟავას, რომლებიც აუცილებელია უჯრედის ზრდისა და განვითარებისათვის. ასევე 350 ქიმიურ ნაერთს, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროა ადამიანის სრულფასოვანი სიცოცხლისათვის. ღვინო შეიცავს სხვადასხვა ვიტამინს, უამრავ მიკროელემენტსა და მინერალს. ამ მართლაც ღვთიური სითხის სამკურნალო თვისებებიდან აღსანიშნავია მისი დადებითი გავლენა გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებებზე. დადგენილია, რომ ვინც ყოველდღიურად ორ ჭიქა სუფთა ღვინოს დაღვევს, მას სისხლძარღვოვანი გართულებების ორჯერ ნაკლები რისკი ექნება არამსმელებთან შედარებით.

## პილდოვბი

ქართულ ღვინოს, შამპანურსა და კონიაკს მიღებული აქვს ოთხასზე მეტი ოქროს და ვერცხლის მედალი. არაფერს ვლაპარაკობთ სხვა სახის ჯილდოებზე ბრინჯაოს მედლებსა და დიპლომებზე.

რაც შეეხება მესხურ ღვინოს სხვადასხვა დროს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს შემდგი: 1945 წელს თბილისში ჩატარდა სუფრის საუკეთესო ღვინის რესპუბლიკური კონკურსი. დასახელებული კონკურსის მონაწილენი იყვნენ მესხეთის (ახალციხის, აღიგენისა და ასპინძის) წარმომადგენლები. კონკურსის მონაწილეებმა: ახალციხის რაიალმასკომის სამიწათმომქმედო განყოფილების



უფროსმა აკრონომმა პეტრე მინდიაშვილმა, ახალციხეს  
მცხოვრებმა მიხეილ წალდაძემ და სოფელ საროს მცხოვრებმა გიორგი  
გიორგი მაღრაძემ დაიმსახურეს სიგელი და ფულადი ჯილდო.  
ალიგოტეს, ხიხვის, შავკაპიტოს, გორული მწვანის, ჩანურის  
და პინო-ფრანის ყურძნის ჯიშებიდან კარგი ხარისხის  
ღვინოების დაყენებისათვის.

2014 წლის ოქტომბრის თვეში ქალაქ გორში ჩატარებულ  
„ქართლის ღვინის ფესტივალზე“, ახალციხის მკვიდრის  
გიორგი ნათენაძის მიერ წარდგენილმა მესხურმა მწვანემ  
მიიღო „2014 წლის ქვევრის საუკეთესო ღვინის“ სიგელი.

\* \* \*

საქართველო ვაზის უძველესი სამშობლოა, რაც  
არქეოლოგიური მასალებით არაერთხელ იქნა დასაბუთებული.  
შესაბამისად მესხეთში ვაზის არსებობა, მისი მოვლა-ჰატრონობა  
და ღვინის დაყენება ათასეულ წლებს თვლის. ქრისტიანობის  
გავრცელებამ და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ  
კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ვაზის კულტურის  
შემდგომ განვითარებას. რამდენადაც ღვინოს უდიდესი მისია  
ჰქონდა დაკისრებული ღვინისმსახურებაში. ამასთანავე, მას  
მოსახლეობა იყენებდა სამკურნალო და სამეურნეო  
დანიშნულებით. ვენახსა და ღვინოს, როგორც საერთოდ  
საქართველოში, ისე მესხი კაცის ცხოვრებაში განსაკუთრე-  
ბული ადგილი ჰქონდა დაკავებული. აღნიშნულს ადასტურებს  
ჩვენაძე მოღწეული მესხური ვაზის უამრავი ჯიში, უძველესი  
საწნახელები, ქვევრები და მდიდარი ფოლკლორული მასალა.

1. დ. ფანდაშვილი, ვაზი საქართველოში 15 მილიონი წლისაა, ჟურნ. ვაზი და ღვინო, №1-2, გვ.26, 2000,
2. თ. კილურაძე, კულტურული მემკანეობისა და მეღვინეობის აკვანი, ჟურნ. „ვაზი და ღვინო“, № 1-2, გვ.29, 2000
3. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, გვ. 5-6, თბ. 2014
4. ნ. კეცხოველი, მ. რამიშვილი, დ. ტაბიძე, საქართველოს ამპეროლოგია, გვ.2, თბ. 1960
5. რ. გიქოშვილი, საველე დღიური, მთხრობელი მ. ბერიძე, 2014
6. რ. გიქოშვილი, საველე დღიური, მთხრობელი ზ. ქუჩიშვილი, 2013
7. რ. გიქოშვილი, საველე დღიური, მთხრობელი მ. ხარბედია, 2014
8. მ. ველიჯანაშვილი, ხიზაბავრის განთიადი, გვ.34, 1982
9. ლ. ისაკაძე, წყალი, მცენარე, მოსავალი, გვ.11. 1969
10. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის მასალები (შემდეგში ს.კ.ი.მ.ხ.ფ.) №2271
11. გაზ. „დროება“, 1881, №234, გვ.1
12. ჟურნ. „მოგზაური“, №1, გვ.61, 1901
13. ნ. ქრისტვილი, ხიზაბავრა, გვ. 95-96, 2009
14. ნ. ქრისტვილი, ხიზაბავრა, გვ. 96-98, 2009
15. მალხაზ ხარბედია, მასალა ინტერნეტიდან
16. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა დამსახურებული ფონდი №238
17. რ. გიქოშვილი, საველე დღიური, მთხრობელი პ. გვიშიანი, 2013
18. შ. წიქვაძე, მასალები, 1963, 1975, 1976 წლები
19. გ. ბარისაშვილისა და გ. წერეთლის მასალები





20. შ წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობრივი განვითარების პერსპექტივები მესხეთში, გვ.90 თბ. 1958
21. შ წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, გვ.90 თბ. 1958
22. შ წიქვაძე, მევენახეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები მესხეთში, გვ.96 თბ. 1958
23. კ გვიშანი, წმინდანად შერაცხული მცენარის ისტორია, გაზ. ლიტერატურული მესხეთი, № 10 (190), 2014
24. მ. რამიშვილი, მევენახეობის განვითარება მესხეთში, თბ. 1943
25. გიორგი ბარისაშვილი, თიხის ტრადიციული ქართული საღვინე ჭურჭელი, თბ. 2012
26. კ. მელითაური, ვარძის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ. 1959.
27. რ. გიქოშვილი, საველე დღიური, მთხოობელი მ. ბერიძე, 2014
28. ილა ჭავჭავაძე, ღვინის ქართულად დაყენება, 1887
29. გიორგი ბარისაშვილი, ღვინის დაყენება შინაურ პირობებში, ბროშუა „ელგანა“, 2008
30. გ. ბარისაშვილი, ღვინის დაყენება შინაურ პირობებში, ელგანა, 2008.
31. თამაზ კანდელაკი, საზეიმო სუფრაზე ღვინის სმის ხელოვნება, უკრნ. „ვაზი და ღვინო“ № 1-2, გვ. 64, 2000

## ვოტოდოპუმენტური მასალა



ტერასები წუნდის კლესიასთან (ასპინძის რაიონი)









თამარის ვაზი

Tamaris Vazi




მეხური შავი

Meskuri Shavi



საპერავი


Saperavi



წითელი ბუდეშური  
Tsiteli Budeshuri




ხარისთვალა შავი  
Kharistvala Shavi




სასურავი  
Satsuravi

მესავთაში გავრცელებული თეთრყვრპნიანი  
კაზის ჯიშები




გორული მწვანე

Goruli Mtsvane




ალიგოტე

Aligote




ჩინური

Chinuri




ბობზი

Khikhvi



Տամարածութեա (ախալցունիս ցոնիս թյառասեծո)




Բօդրուստալա (ախալցունիս ցոնիս թյառասեծո)


მასხათში გავრცელებული  
ზოთელზურმინანი ვაჭის ჯიშები



თავკვერი




პინი



შავკაპიტი

Shavkapito

მესხეთი მოძიებული ვაჭის ჯიშების გამოსაკვლევპლატფორმა  
(საგურამოს დაბორიატორიიაში გამოსაკვლევპლატფორმა  
გაგზავნილი)











მესხური ღვინო – ხარისთვალა, მესხური შავი, ცხენისძუძუ  
თეთრი





გილორები ნათენაძე, ჩიტიძესკვერცხა შავი, ახალციხე, სოფ. მინაძე



მესხური მწვანის დაწურვა ქვევრში



გიორგი ნათენაძის მარანი, ქ. ახალციხე



— მაღაზია „მესხური ბრენდი“ - ახალციხის ციხე.  
ნიკოლოზი და ქესარია



მესხური ხარისხოვალა (თეთრი)  
ასპინძა, სოფ. ნიკოლოზი

ასპინძა, სოფ. ნიკოლოზი, ასპარიძე-  
ფანას გერგელის საგვარეულო  
საწნახელი, XVIII ს-ის ბოლო



მესხური დარბაზი, სოფ. სარო, ასპინძის რაიონი



ქაჩაბერ ასპანიძე





მარნები, ასპინძა, სოჭ. ნიკავორი





მესხური რქაწითელი, ახალციხე, სოფ. ზიკილია,



ემზარ გაჩეჩილაძე, ვარძია



მესხური რქაწითელი მაღლნარზე, ახალციხე, სოფ. ჭიკილია



მესხური შავი მაღლნარზე, ახალციხე, სოფ. ჭიკილია



ჩიტის კურცხა შავი, ახალციხე, სოფ. ზიქილია



ტალავერი კაშარ განეჩილაძის ეზოში, ახალციხე, სოფ. ზიქილია

ჯილაურას სანერგე მუნიციპალიტეტი ვაზის მყნობის პროცესში რეალური  
პრაქტიკის




ნამყენი ვაზი



ვაზის ტირილი (გ. ბარისაშვილის ფოტო)



ვაზის კვირტი (გ. ბარისაშვილის ფოტო)



ვაზის ყვავილობა (ვ. ბარისაშვილის ფოტო)



ფურძნის განასკვა (თ. ღლონტის ფოტო)





ვაზი გაშენებული შპალზე, დაბლნარი (ჯილაური)




ვაზის ტალავერი (მაღლნარი), ახალციხე, სოფ. სლესარი, კოდი 100-000



ვაზის ტალავერი, ვარძია





მესხური ვაზი კლარჯეთში (ზანძთის მონასტერთან)



მესხური ვაზი ტალში ოთხთას მონასტერთან, გიორგი ბერიძე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ა. ჯავახიშვილის  
სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი



ჭური - გვიანი ანტიკური წანის



რიტონი (სასმისი)  
ძვ.წ. II ათასწლ.



ვაზის სასხლავი დანა,  
ძვ.წ. II ათასწლ. დას. III-I სს.

ახალციხისა და ტაოკლარვეთის ეპარქიის რეზიდენცია



გიორგი თაბუნიძე




რეზო გიქოშვილი და ნატო ქაფაიანიძე

მესხური ვაზი რამაზ თელორაძის სახლის ეზოში








მესხური ვაზი, ნასოფლარი ღლოვა













ଶେଷା ନାତ୍ରେନାମଦିସା ରା ଏମାତ ଦେଇଲାମିଦିଲି ରାଜାସାମ୍ବର୍ଗେବେଳିର  
କ୍ରମପଲ୍ଲେଜ୍‌ସି (ପାରିଦା)







საწინაპელები, სოფელი ჭავჭარი (ასპინძის რაიონი)






ცხენისძუძე თეთრი 400 წლიანი ვაზი (ჭაჭკარი, ასპინძა)





საწნახელი








月白  
る春の氣



დევნოსაძის თეთრი -  
ასწლიან ხეზე ასული  
გიორგი დევნოსაძის  
ენოში  
(ხოფ. ქლდე,  
ახალციხის რაიონი)





უძველესი მესხური ვაზით თენგიზ ზუმბაძის ეზოში  
(სოფ. კლდე, ახალციხე)





გორუელი მწვანე ოთარ განეჩილაძის ეზოში (სოფ. აწყური, ახალციხე)





მესხური, ქართლური, გერმანული, იტალიური, ფრანგული ყურძნის  
ჯიშები რეზო გიქოშვილის საკარმილამი ნაკვეთი, სოჭ. აწყური კოთავა  
(სლესა) ახალციხის რ-ნი



ფიული შარტავას სახელობის წყარო მესხეთში რეზო გიქოშვილის  
საკარძილამი ნაკვეთში (აწყური, სლესა)



მესხური ფურძნის ნობათი, მარიამ უუსუნაძის მიერ დამზადებული  
(სოფ. მუსხი, ახალციხე)





Հայության ժողովրդական ամառային համեստությունը, 1971 թ.



Դաշտավայրում անվելված հիմքը, 2014 წ.

ფრენების კულტურული აქსამბლი „მესხეთი“-ს ვარსკვლავის გახსნა, 2014წ.





მესხური სუფრა, თამადა ზაზა თამარაშვილი



ღვინის სასმისები ზაზა თამარაშვილის ბუხართან

## შინაარსი

რედაქტორისაგან	5
წინასიტყვაობა	7
ვაზის ისტორია საქართველოში	41
ვინც ვერა გაშენებას აპირებს	44
ჭიგოზე ვაზის აყვანა	44
ვაზის კულტურა შპალზე	45
წვრილმავთულიანი შპალერი	46
ვაზის სხვლა	47
ვაზის მავნებლები და მათ წინააღმდევ პრძოლის მეთოდები	48
ვაზის წამლობა	49
ვაზის მწვანე ოპერაციები	49
ვაზის მორწყვა	50
როგორ დავიცვათ ვენაზი ყინვისგან	51
ტყის მნიშვნელობა ვაზის ზრდა-განვითარებისათვის	53
რჩევები მოყვარულ შევენახებს	54
მესხური თეორეტურმნიანი ვაზის ჯიშები	61
მესხური წითელფურმნიანი ვაზის ჯიშები	65
მესხეთში გავრცელებული ვაზის ჯიშები	70
ქვევრი – საღვინე ჭურჭელი	76
ღვინის დაყენება შინაურ პირობებში	86
ყურძნის დაწურვა	88
ღეღილი	89
ღვინის მოვლა და შენახვა	90
მუხის კასრი	91
მარანი და მისი ჰიგიენა	91
ღვინის სმის ხელოვნება	94
ჭიქის შერჩევა	94
ღვინის ტემპერატურა	94
ღვინის ბოთლის გახსნა	95
ჭიქაში ღვინის ჩასხმა	96
ღვინის საჭმელთან შეხამება	96
სუფრა, თამადა, ქერფი	97
ღვინო და ჯანმრთელობა	99
ჯილდოები	100
გამოყენებული ღიიტჭატურა	102
ფოტოდოკუმენტური მასალა	104



ფასი სახელშეკრულებო  
ტირაჟი 500

გამომცემლობა  
„გეორგია“

დაკაბადონდა სიმური თარხნიშვილის მიერ  
კომპიუტერულ ცენტრში „ცოდნა“  
ქ. აზალციხე, მიქუტიშვილის ქ. №1

F109.605  
3  
09月30日  
2023年9月30日

